ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს
საინფორმ. ცირო-განყოფილების
კომპლექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამს. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 6 გვერდს

კვირა, 12 აპრილი 1925 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 83 (1238)

დღიური

გადადგა ერრიოს მთავრობა.
ფინანსიური კრიზისი საფრანგეთში მწვავე ხასიათს იღებს.
რუმინეთი აძლიერებს შეიარაღებას.
გარდაიცვალა სპარსეთის ყოფილი შაჰი.
იაპონიაში პარლამენტის დათხოვნას მოელიან.

ორშაბათს, 13 აპრილს, დილის 11 საათზე,
სასახლის წითელ დარბაზში მოწვეულია
საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის
პირველი სესია
ცაკის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.
ცაკის მდივანი ს. თოდრია.

ორშაბათს, 13 აპრილს, დილის 10 ნახ. საათზე
სასახლის წითელ დარბაზში,
შესდგება
საქ. ცაკის კომფრაქციის სხდომა

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობისათვის

ამიერ-კავკასიის საბჭოთა მესამე ყრილობის დღის წესრიგის ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს ამიერ-კავკასიის საბჭ. ფედ. რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი ტექსტის საბოლოოთ დამტკიცება საბჭოთა კავშირის ძირითად კანონთან შეფარდებით.

ამ ტექსტის პროექტი, რომელიც მოწონებულია ამიერ-კავკასიის ცაკის უკანასკნელ სესიაზე, განხილული იქნა ამ დღეებში დამთავრებულ რესპუბლიკანურ საბჭოთა ყრილობებზე სომხეთში, აზერბეიჯანში და საქართველოში.

ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედ. რესპუბლიკის კონსტიტუციის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ამიერ-კავკასიის ფედერაციის ფუნქციების სრულიად გარკვეულ, საერთო ნორმებში ჩამოყალიბება და აგრეთვე ამიერ-კავკასიის ფედერაციის და მის შემადგენლობაში შემავალ სუვერენულ ეროვნულ რესპუბლიკების—სომხეთის, აზერბეიჯანის და ჩვენი საქართველოს კომპეტენციების განსაზღვრა.

დიდმა ოქტომბერმა დაანგრია ძველი იმპერიალისტური რუსეთი, რომელსაც თავის უღლის ქვეშ ჰყავდა მრავალი ერები.

ყოფილ რუსეთის იმპერიის ცენტრში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე გამოქვეყნებული იქნა საბჭოთა სახელმწიფოს ორი მთავარი პრინციპი—პროლეტარიატის დიქტატურა და მშრომელ ხალხთა ეროვნული თვითგამორკვევა.

ამ ორ საფუძველზე შეურყევლად და მტკიცეთ შენდებოდა საბჭოთა ხელისუფლება; ამავე პრინციპებზე მოეწყო და მოქმედებენ როგორც ჩვენი ამიერ-კავკასიის ფედერაცია, ისე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების მთელი კავშირი.

განმტკიცდა რა ჯერ რუსეთში, საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა, რომლის შემადგენლობაში შევიდა მთელი რიგი ავტონომიურ ეროვნულ რესპუბლიკებისა და ოლქებისა. სამოქალაქო ომის პროცესში ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივ წესწყობილებისაგან განთავისუფლებული ყოფილი რუსეთის იმპერიის დანარჩენი ნაწილები მოეწყვენ ხალხთა თავისუფალ თვითგამორკვევის პრინციპის მიხედვით დამოუკიდებელ ეროვნულ რესპუბლიკებათ და შეიმუშავეს თავიანთი ძირითადი კანონები—კონსტიტუცია.

ამ წესით შეიქმნენ ამიერ-კავკასიაში აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკები.

დამოუკიდებელ არსებობის პირველსავე დღიდან კლასიურმა სოლიდარობამ, პროლეტარულ რევოლუციის მონაპოვართა საერთო ძალღონით დაცვის საჭიროებამ, საერთო ეკონომიურმა და სამეურნეო ამოცანებმა და ბოლოს, საერთო ინტერესებმა საერთაშორისო ურთიერთობაში აიძულეს საბჭოთა რესპუბლიკები გაერთიანებულიყვნენ ერთ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში.

საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების პროცესი დაიწყო სუვერენულ საბჭოთა სახელმწიფოების შორის ხელშეკრულებების დადებით. ამიერ-კავკასიის სამმა ეროვნულმა რესპუბლიკამ, მათში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, ხელშეკრულება დასდეს რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკასთან.

ამიერ-კავკასიის მშრომელ ხალხთა საერთო ეკონომიურმა და სამეურნეო ინტერესებმა და მათ შორის ეროვნულ მშვიდობიანობის განმტკიცებამ აიძულეს სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს რესპუბლიკები გაერთიანებულიყვნენ ჯერ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კავშირში, ხოლო შემდეგ უფრო მჭიდრო ფედერაციაში—ამიერ-კავკასიის სოც. ფედერატ. საბჭ. რესპუბლიკაში. უკანასკნელის საშუალებით სომხეთი, აზერბეიჯანი და საქართველო შევიდნენ ყველა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში. ამიერ-კავკასიის ფედერაციის დღემდის მოქმედი კონსტიტუცია ითვალისწინებდა ამიერ-კავკასიის ფედერაციის, როგორც სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს გაერთიანების, მხოლოდ უფლებრივ საფუძვლებს, ვინაიდან ეს კონსტიტუცია შედგენილი იყო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის მოწყობამდე და წარმოადგენდა, ასე ვსთქვათ, მის ჩანასახს ამიერ-კავკასიის მასშტაბით.

1922 წ. 30 დეკემბრის ხელშეკრულების ძალით სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის დაარსების და უკანასკნელის კონსტიტუციის შედგენის შემდეგ საჭირო გახდა ამიერ-კავკასიის ფედერაციის კონსტიტუციის ტექსტის შეცვლა, რადგან ამიერ-კავკასიის ფედერაციის ფუნქციების ერთი ნაწილი გადავიდა კავშირის ხელში. ამიერ-კავკასიის ფედერაციის კონსტიტუციის ახალი ტექსტი შეთანხმებულია ამ მხრივ საბჭოთა კავშირის ძირითად კანონთან.

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში გაერთიანებულ მშრომელ ხალხის სურვილით ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე შედგენილი იქნა კავშირის ძირითადი კანონი, (კონსტიტუცია) რომელიც ითვალისწინებს საბჭოთა ხელისუფლების შედგენის პრინციპს.

ორი ძირითადი პრინციპი პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც იცავს ერების საერთო კლასიურ ინტერესებს, ეროვნული სუვერენიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს მშრომელი ხალხის დამოუკიდებელ განვითარებას—დაედო საფუძვლად საკავშირო კონსტიტუციას.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალ ტექსტსაც, კავშირის ძირითად კანონთან შეთანხმების პროცესში, უნდა დადებოდა საფუძვლად ეს ორი მთავარი პრინციპი. ამიტომ ამიერ-კავკასიის ფედერაციის კონსტიტუციას დასჭირდა შესწორება და იქიდან ყველაფერ იმის ამოშლა, რაც არ ეთანხმება საბჭოთა სახელმწიფოებრივ მმართველობის მთავარ პრინციპებს, რომელიც შემდეგ საერთო საკავშირო ხელისუფლებამ გამოაქვეყნა.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის კონსტიტუციის ახალი ტექსტის წინასწარი განხილვა რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობებზე და მათი აზრი ამ ტექსტის შესახებ იძლევა სრულ გარანტიას იმისას, რომ ამიერ-კავკასიის ფედერატიულ ხელისუფლების კომპეტენცია და მისი ურთიერთობა ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებთან გამოხატული იქნება ზემოაღნიშნულ მთავარ პრინციპების მიხედვით. სისწორით და გარკვეულად იქნება გატარებული ამ ძირითად პრინციპების თანახმად, მიჯნა, რომელიც განსაზღვრავს ეროვნულ რესპუბლიკების სუვერენულ ფუნქციებს, ფუნქციებს ამიერ-კავკასიის ფედერატიულ ხელისუფლებისას.

ი. ვარძიელი.

საბჭოთა მესამე ყრილობა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა

9 აპრილს დასრულდა სრულიად საქართველოს საბჭოთა მესამე ყრილობა. თავისი შემადგენლობით ის საგრძნობლად განსხვავდებოდა წინა ყრილობებისაგან: თუ გასული წლის ყრილობაზე უპარტიო დელეგატები 10 პროცენტსაც ვერ აღწევდნენ, დღეს მათ 25 პროცენტს გადააჭარბეს. ეს უთუოდ დიდი მიღწევაა. ჩვენ თანდათანობით და მტკიცედ ვანხორციელებთ ჩვენს ერთ ძირითად დებულებათაგანს ქვეყნის აღმშენებლობითი მუშაობაში, რაც შეიძლება მეტ უპარტიოთა ჩაბმის შესახებ.

მესამე ყრილობის დამახასიათებელი მეორე გარემოება არის განსაკუთრებული საქმიანი ხასიათი, რომელსაც ატარებდა ყრილობა. პირველ სხდომიდანვე მთავრობის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში იჩინა თავი ამ საქმიანობამ: არც ერთი ზედმეტი სიტყვა, არც ერთი უადგილო გამოსვლა; ყველა დელეგატი ეხებოდა მხოლოდ იმ მტკივნეულ საკითხებს, რომლებიც აწუხებენ დღეს როგორც ცენტრს, ისე პერიფერიას—ჩვენს სოფელს.

მთავრობის მოხსენების შემდეგ ყრილობის ყურადღება მიქცეული იყო ჩვენი სასოფლო და სატყეო მეურნეობის აღდგენა-განვითარებისაკენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სრულიად საქართველოს მესამე ყრილობის ცენტრალური საკითხი იყო ჩვენი ქვეყნის სასოფლო და სატყეო მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის ნორმალური პირობების და ღონისძიებათა გამოძებნა. ისეთ სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაში როგორსაც საქართველო წარმოადგენს, სხვა ნაირად არც შეიძლებოდა. ყრილობა სრული შეგნებით მიუდგა ამ საკითხს და დაასახელა მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომელთა განხორციელებით, ეჭვს გარეშეა, გამოსწორდება ჩვენი სასოფლო და სატყეო მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა.

სასოფლო და სატყეო მეურნეობის აღსადგენად და განსავითარებლად ყრილობის მიერ დასახელებულ ყოველი ღონისძიება იმდენად მნიშვნელოვანი და უსაჭიროესია, რომ თუ ხელოვნურად არა, ისე შეუძლებელია რომელიმე მათგანის გამოყოფა, გამოცალკევება.

მიწათ-მოწყობის დამთავრების დაჩქარება,*) საახალშენო საქმის მოგვარება, შინასაბალახოების გამოყოფა და საძოვრებით სარგებლობის საკითხის მოწესრიგება, მესაქონლეობის, როგორც ყველაზე უფრო დაზარალებულ სასოფლო-სამეურნეო დარგის განვითარებისათვის ყოველნაირად ხელის შეწყობა, საგადასახადო პოლიტიკის შეფარდება სასოფლო-მეურნეობის ინტერესებთან, კოოპერატიულ ნიადაგზე სოფლის მეურნეთა შეკავშირებისათვის ხელის შეწყობა და სხვ. აი ის მთავარი და აუცილებელი ღონისძიებანი, რომელთა გატარება დაავალა საქართველოს საბჭოების მესამე ყრილობამ სრულიად საქართველოს აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს, სახალხო კომისართა საბჭოს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კერძოდ სატყეო მეურნეობას. ტყის გამოკვლევა და მოწყობა, მოსახლეობის საჭიროების დასაფარავად ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოყოფა, ტყის განახლება-კულტურა, რომელსაც დღემდე არ ჰქონდა სათანადო ყურადღება მიქცეული, ტყის სარგებლობის მიზანშეწონილად დაყენება და სატყეო მეურნეობის საკუთარ ანგარიშზე გადაყვანა ყრილობის მიერ მიჩნეულია სატყეო მეურნეობის გადარჩენისა და განვითარებისათვის აუცილებელ პირობებად.

ყრილობამ უყურადღებოდ არ დასტოვა აგრეთვე სოფლის მეურნეობის დამხმარე—შინამრეწველობის დარგი, რომელსაც დღემდე არავითარი ანგარიში არ ეწეოდა. სალსრების უქონლობის გამო ის მცირედი მუშაობა, რომელსაც აწარმოებდა ამ დარგში მიწ. მოქ. სახ. კომისარიატის შინამრეწველობის განყოფილება, დამაკმაყოფილებელი ვერ იყო. მესამე ყრილობამ საჭიროდ აღიარა ამ დარგის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გადაყვანა სახელმწიფო ხარჯზე, რაც აუცილებელი პირობათაგანია ამ მუშაობის გაფართოვებისათვის.

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს მოუხდება მთელი თავისი გამოცდილება, ძალები და ენერგია მოახმაროს დასახულ ღონისძიებათა სავსებით განხორციელებას.

ჩვენ ვფიქრობთ რესპუბლიკის მთავრობა და მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი შესძლებენ სრულიად საქართველოს საბჭოთა მესამე ყრილობის დავალებათა შესრულებას და ერთი წლის შემდეგ საშუალება მოგვეცემა წარვსდგეთ საბჭოთა მეოთხე ყრილობის წინაშე სასოფლო და სატყეო მეურნეობის ფრონტზე მიღწეულ დიად შედეგებით.

ი. ჟვანია.

---

*) ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რომ გავასწორო ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში, რომელიც გაზეთებში იყო გამოქვეყნებული შეპარული შეცდომა. მეცხრე პუნქტი უნდა იკითხებოდეს ასე: 9) დაბალ და საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების ქსელის გაფართოება, მათი სათანადოთ დაყენება და სამიწისმზომელო სასწავლებლის დაუყოვნებლივ გახსნა".

საბჭოთა მესამე ყრილობა და სასოფლო-სამეურნეო კრედიტი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მესამე ყრილობამ სხვათა შორის გამოიტანა დიდ მნიშვნელოვანი დადგენილება.

რადგან საქართველოს ეკონომიური ძალ-ღონე თითქმის სავსებით დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, ამ უკანასკნელისათვის კი უძლიერეს საშუალებას წარმოადგენს სათანადოთ მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო კრედიტი. ყრილობამ აღიარა, რომ საბჭოთა ხელისუფლების ამ საქმეში მიზანშეწონილი პოლიტიკა შეადგენს ნამდვილს და უმთავრეს ღერძს საქართველოს გლეხურ მეურნეობის აღორძინება-განვითარებისათვის.

ყრილობამ სცნო, რომ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მიზნების მისაღწევათ საჭიროა, რომ საქართველოს სას.-სამ. ბანკს მიენიჭოს საკრედიტო საქმის ხელმძღვანელ ცენტრის უფლება, რადგან სას.-სამ. კრედიტი უნდა გატარდეს წინასწარ განსაზღვრულ და გაერთიანებულ გეგმით, რომელიც უნდა დაემყაროს და შეეგუოს სახელმწიფოს საერთო საფინანსო და საკრედიტო პოლიტიკას.

ამ საკრედიტო გეგმის განხორციელება ყრილობის აზრით შესაძლო და საიმედო იქნება იმდენათ, რამდენადაც ფართე მასშტაბით და მიზანშეწონილად იქნება მოწყობილი სოფლის საკრედიტო ამხანაგობები.

გაითვალისწინა და მოიწონა-რა საქ. სას.-სამ. ბანკის მოქმედება, ყრილობამ გამოიტანა შემდეგი მთავარი სახელმძღვანელო დებულებანი:

კრედიტით დახმარება პირველ რიგში უნდა მიეცეს ღარიბ და შუათანა გლეხობას. უნდა მიექცეს აგრეთვე ყურადღება კოოპერატიულ და კოლექტიურ ორგანიზაციების კრედიტობას. ხოლო სესხი მოხმარდეს თავის დანიშნულებისამებრ საწარმოო მიზანს.

ყრილობამ სავსებით მიზანშეწონილად სცნო სას.-სამ. კრედიტის სავაჭრო ოპერაციებისათვის გაცემის აღკრძალვა. ეს კრედიტი პირველყოვლისა უნდა მოხმარდეს სოფლის მეურნეობის საწარმოო მიზანს; მან ფართეთ უნდა განავითაროს საშუამავლო ოპერაციები საწარმოო საგნების მიწოდებით (სას.-სამ. იარაღმანქანით, მასალებით და სხვა) და დაეხმაროს გლეხის მეურნეობის ნაწარმის გასაღებას.

სესხი უნდა მიეცეს გლეხს რაც შეიძლება გრძელ-ვადიანი და ნაკლები სარგებლით, და მას უნდა გაუადვილდეს სესხის მიღება.

სას.-სამ. კრედიტის სისტემა უნდა ჩამოყალიბდეს რაც შეიძლება მარტივ და ადვილად მისაწვდომ ფორმებში თავიდან ბოლომდის, და თვით კრედიტის მიწოდება ხდებოდეს უმთავრესად საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საქ. სას.-სამ. ბანკის და დასაწყისი საკრედიტო კოოპერაციის ძირითადი თანხის გაძლიერებას.

განსაკუთრებულ ენერგიით უნდა სწარმოებდეს გლეხთა ანაბარების მოზიდვა საკრედიტო დაწესებულებებში.

თავის საკრედიტო გეგმა საქართ. სას.-სამ. ბანკმა უნდა შეუთანხმოს მიწად-მოქმედების გეგმას.

რათა სესხი მიეცეს უმთავრესად ულარიბეს გლეხობას და მოხმარდეს უმთავრესად სოფლის მეურნეობას, რათა სოფლის კრედიტით ისარგებლოს გლეხობის რაც შეიძლება მეტმა ნაწილმა საჭიროა, რომ საკრედიტო ამხანაგობებთან მოეწყოს სესხის გამცემი კომიტეტები გლეხკომების, სას.-სამ. და მომხმარებელი კოოპერაციის, აღმასკომების და სხვა სოფლის ორგანიზაციის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

აღიარა რა ძვირფას მცენარეების: მევენახეობის, ნარინჯის, ჩაის და სხვა კულტურის დიდი მნიშვნელობა საქართველოსთვის, ყრილობამ საჭიროთ სცნო წინადადება მისცეს საქართველოს სას.-სამ. ბანკს გამონახოს ამ კულტურების საკრედიტოთ გრძელვადიანი თანხა, რათა შესაძლო იქნეს სესხის გაცემა 7 წლამდის, რაც შეიძლება მცირე სარგებლით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს გლეხობა დიდის კმაყოფილებით შეხვდება ზემოაღნიშნულ დადგენილებას და მომავლისათვის გაძლიერებულ ენერგიით და იმედებით შეუდგება თავის მეურნეობის განვითარებას. ყველა ცხადათ დაინახავს, რომ ეს დადგენილება წარმოადგენს მკვიდრს საფუძველს საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმატებისათვის.

თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დრომდის სასოფლო-სამეურნეო კრედიტი ხმარდებოდა თითქმის მხოლოდ მსხვილ მემამულეს, საბჭოთა ხელისუფლება ეხმარება მხოლოდ და მხოლოდ გლეხს და პირველს რიგში ულარიბეს-ეკონომიურად ჩამორჩენილ გლეხს. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ თვით გლეხმა მიზანშეწონილად და მართლაც თავის მეურნეობის სასარგებლოდ გამოიყენოს ხელისუფლების მიერ მისთვის განზრახული ეს დიდი სალსრები. ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც გლეხობა დაკვირვებით და შეგნებით ჩაებმება საქ. სას.-სამ. ბანკის მიერ დაარსებულ საკრედიტო ამხანაგობების საქმიანობაში, თუ რომ იგი საუკეთესო თავის ძალებს ჩაუყენებს სათავეში ამ ამხანაგობებს და მართლაც დაადგება იმ მიზნების განხორციელებას, რომლებსაც გულისხმობს ყრილობის ზემოაღნიშნული დადგენილება.

ქ. კაკაბაძე.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობებით)

ერრიოს მთავრობა გადადგა

პარიზი. 10 აპრილი. 156 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 132 ხმისა სენატმა უარყო რეზოლიუცია ერრიოს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების შესახებ და შემდეგ მიიღო მთავრობისადმი უნდობლობის რეზოლიუცია. ამის შემდეგ ერრიოს კაბინეტის ყველა წევრები გაემგზავრენ გარეშე საქმეთა სამინისტროში **გადადგომის შესახებ კოლექტიურ განცხადების წარსადგენად. საღამოს 10 საათზე ერრიო და დანარჩენი მინისტრები გამოცხადდნენ პრეზიდენტ დუმერგთან და გადასცეს მას ეს განცხადება. პრეზიდენტმა მიიღო კაბინეტის გადადგომა.**

სენატში ერრიოს კაბინეტი უმცირესობაში დარჩა.

პარიზი, 10 აპრილი. როგორც უკვე იტყობინებოდნენ, სენატში სახალხო განათლების სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს ერრიომ დასვა ნდობის საკითხი. სენატმა ნდობა გამოუცხადა მთავრობას 142 ხმით წინააღმდეგ 140-სა.

შემდეგი ცნობების მიხედვით, ორმა სენატორმა შესწორება შეიტანა კენჭის ყრაში. მათ განაცხადეს, რომ ხმა მისცეს მთავრობის წინააღმდეგ.

ამრიგათ, ერრიოს კაბინეტი უმცირესობაში დარჩა.

საბჭოთა კავშირი და იაპონია

ამხ. კარახანის დეპეშა

ვლადივოსტოკი. 11 აპრილი. კარახანმა ხარბინში დეპეშა გამოუგზავნა ვიკონტ გოტოს, რომელშიაც მწუხარებას გამოსთქვამს, რომ მას დროის უქონლობის გამო არ შეუძლია პირადათ შეხვდეს მას.

საუბარი ვიკონტ გოტოსთან

ვლადივოსტოკი. 11 აპრ. „როსტა"-ს წარმომადგენელთან საუბრის დროს ვიკონტ გოტომ განაცხადა: „სამწუხაროდ, იაპონიის შოვინისტები, რომლებიც სარგებლობდენ თავისი გავლენით, ცდილობენ ხელი შეუშალონ ხელშეკრულების დადებისათვის საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის, ხოლო ხელშეკრულების დადების შემდეგ ყოველივე ძალ-ღონით წინააღმდეგობას უწევდენ ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარებას. შოვინისტებს ყველაზე უფრო ეშინიათ იაპონიაში კომინტერნის იდეების გავრცელების.

იაპონიის კაპიტალის მონაწილეობას საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთის სიმდიდრეთა დამუშავებაში აფერხებს ის გარემოება, რომ იაპონიის მრეწველები სავსებით არ არიან გაცნობილი საბჭოთა კავშირის სამრეწველო კანონმდებლობასთან.

ხარბინის პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს გოტომ განაცხადა, რომ ხარბინის გაზეთები, ზოგიერთის გამოკლებით, საბჭოთა კავშირის ამბებს მხოლოდ უარყოფითად აშუქებენ. ეს განსაკუთრებით შეეხება იაპონიის პრესას ხარბინში. იაპონია-საბჭოთა კავშირის კონფერენციის მოწვევის დაგვიანებას გოტო ხსნის იოშიზავას ავადმყოფობით.

გოტომ აგრეთვე აღნიშნა, რომ სავაჭრო ხელშეკრულების დადება შესაძლებელია მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ორივე მხარე დაწვრილებით შეისწავლის ერთი-მეორეს პირობებს.

გოტომ განაცხადა, რომ ის გულწრფელი მეგობარია საბჭოთა კავშირის. გოტომ ხაზი **გაუსვა, რომ ნაყოფიერი იქნება მხოლოდ** ეკონომიური **კავშირი.**

7 აპრილს გოტო გაემგზავრა იაპონიაში. ხარბინში ის დაესწრო იაპონია-საბჭოთა კავშირის ინსტიტუტის გამოშვებას. ინსტიტუტი დაამთავრა 146 იაპონელმა.

გერმანიის „საგანგებო კომისიის" საქმე

ლეიპციგი. 10 აპრილი. ათავებს რა სიტყვას, დამცველი ვოლფი (კომპარტიის წევრი) აღნიშნავს, რომ 1923 წლ. შემოდგომაზე და შემდეგ კომპარტიის მიზანს შეადგენდა თავდაცვა ფაშისტურ საშიშროებისაგან. ეგრედწოდებული „მუშაობა რეიხსვერის ნაწილების გასახრწნელად სინამდვილეში წარმოადგენდა, პარტიის იმ წევრთა საგანმანათლებლო მუშაობას, რომელნიც ატარებდენ სამხედრო ფორმას.

რამდენიმე საათი ვოლფი დეტალურად არჩევდა ბრალდების მასალას და ამტკიცებდა მის სრულ უსაფუძვლობას. ამავე დროს დამცველი აშკარავებს საბრალმდებლო მასალის წარმოშობას და აღნიშნავს, რომ პოლიციის აგენტების ჩვენებას არავითარი დამარწმუნებელი ხასიათი არ აქვს.

ვოლფი აცხადებს, ე. წ. „საგანგებო კომისიის" ჯგუფის წინაშე ბრალდების წამოყენების საბაბი იყო არა კომპარტიის მოღვაწეობა, არამედ ნეიმანის სულით ავადმყოფობა. ნეიმანს არასოდეს არ მიუღია დავალება პარტიისაგან.

ვოლფი აღნიშნავს, რომ არ დამტკიცდა ნეიმანთან აღმოჩენილ ბაცილების იგივეობა იმ ბაცილებთან, რომელიც პროფესორებმა გამოიკვლიეს და სცნეს საშიშროდ. ნეიმანისაგან ჩამორთმეული ბაცილები გადაიოდა პოლიციის მრავალ აგენტების ხელში.

დამცველი აცხადებს, რომ ის, როგორც კომუნისტი არ სთხოვს ბურჟუაზიულ სასამართლოს მოწყალებას და არ უნდა გააფრთხილოს იგი ტერორისტულ განაჩენის გამოტანისაგან.

ათავებს რა თავის სიტყვას, ვოლფი ამბობს: „მმართველი კლასის მხრივ ასეთი მოპყრობა სასახელოა ჩვენთვის—კომუნისტებისათვის. **ისტორია გადააბიჯებს ამაზე. ვერაფერი ვერ გვაიძულებს ჩვენ, კომუნისტებს შევსწყვიტოთ ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურისათვის, რევოლიუციონურ სამართლიანობისა და მშრომელთა ინტერესებისათვის".**

პრეზიდენტის არჩევნები გერმანიაში

მარქსი და ჰინდენბურგი.

ბერლინი. 10 აპრილი. სოციალ-დემოკრატების, დემოკრატების და ცენტრის საარჩევნო მოწოდებაში (ეს პარტიები გაერთიანდენ მარქსის კანდიდატურის გარშემო) წამოყენებულია ლოზუნგი „სამშობლო, სახალხო სახელმწიფო, რესპუბლიკა".

მემარცხენე გაზეთებმა მსხვილი შრიფტით მოათავსეს იარესის და ჰინდენბურგის დეპეშები. იარესმა მიმართა ჰინდენბურგს თხოვნით „შესწიროს მსხვერპლად თავისი თავი და მიიღოს კანდიდატურა" თავის საპასუხო დეპეშაში ჰინდენბურგი გამოსთქვამს მწუხარებას იმის გამო, რომ „არასასურველმა საარჩევნო პერსპექტივებმა" უარი ათქმევინა იარრეს თავის კანდიდატურაზე.

ამ დეპეშების დაბეჭდვის დროს მემარჯვენე გაზეთებმა გამოსტოვეს ჰინდენბურგის ეს ფრაზა.

რუმინეთი იარაღდება

ვენა. 10 აპრილი. რუმინეთის ნაციონალურ გაზეთ „ლუპტას" ცნობით რუმინეთის მთავრობას განზრახული აქვს მოაწყოს ფლოტის ბაზა შავ ზღვაზე არა კონსტანცში, არამედ ტუკირგიოლში. (14 კილომეტრის მანძილზე კონსტანციდან). ეს ნავთსადგური 17 მეტრით უფრო ღრმა არის, ვიდრე კონსტანცის ნავთსადგური.

ამავე დროს მთავრობას განზრახული აქვს შეუდგეს მცირე სამხედრო გემების გაყიდვას და დიდი გემების შეძენას და აგრეთვე სახელმწიფო სავაჭრო ფლოტის რეორგანიზაციას.

იაპონიაში

პარლამენტის დათხოვნის მოლოდინში.

ტოკიო, 10 აპრილი. გენერალმა ბარონ-ტანაკამ, ყოფილმა სამხედრო მინისტრმა ყოველგვარ პირობების გარეშე მიიღო სეიუკაის პარტიის (მსხვილ მიწათმფლობელთა პარტიის) პრეზიდენტის თანამდებობა. ფიქრობენ, რომ სესიის დაწყების შემდეგ პარლამენტი დაუყოვნებლივ იქნება დათხოვნილი, ვინაიდან პარტია კენსეკაი განხეთქილებით ემუქრება მმართველ კოალიციას და ფიქრობს მომავალ არჩევნებში აბსოლიუტურ უმრავლესობის მიღებას. მაგრამ, ფიქრობენ, რომ სხვა ჯგუფების გაერთიანებელი ძალები, კენსეკაის პარტიას საშუალებას არ მისცემენ დათხოვნილი იქნას პარლამენტი და მისთვის საჭირო მომენტში ჩატარდეს ახალი არჩევნები. ეს აიძულებს მთავრობას გადადგეს პარლამენტის სესიის დაწყებამდე.

ფინანსიური კრიზისი საფრანგეთში

მდგომარეობა რთულდება.

პარიზი. 10 აპრილი. პალატაში დიდი მღელვარება გამოიწვია საფრანგეთის ბანკის ერთი კვირის ბალანსის გამოქვეყნებამ, რაც ამტკიცებს, **რომ საკრედიტო ძალების ბრუნვა უდრის 43 მილიარდს და მაშასადამე 2 მილიარდით აღემატება 1920 წლის კანონით გათვალისწინებულ რაოდენობას.** ამ გარემოებამ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა ერიო და დე-მონზი.

საფინანსო კომისიის დადგენილება.

პარიზი, 10 აპრილი. დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიამ დაადგინა კენჭი ეყაროს დაუყოვნებლივ ფულის ტრიალის გადიდებას იმ მოსაზრებით, რომ ფინანსიურ გაჯანსაღების კანონი ძალაში შევიდეს არა უგვიანეს 1925 წლის ივლისისა.

მორიგი იერიში.

პარიზი, 10 აპრილი. ფრანსუა მარსალმა, დაასაბუთა რა სენატში შეტანილი შეკითხვა ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ, ხაზი გაუსვა, რომ ძველი მთავრობები არასოდეს არ გასცილებიან ქაღალდის ფულების გამოშვების საზღვარს.

სპარსეთში

სპარსეთის ყოფილ შახის გარდაცვალების გამო.

თეირანი. 10 აპრ. საფრანგეთში გარდაიცვალა სპარსეთის ყოფილი შახი მაჰმედ-ალი, რომელიც განდევნილი იყო სპარსეთიდან 1908 წელს. ამის გამო შახთან დაახლოვებული წრეები, რომლებიც მოითხოვენ შახის დაბრუნებას სპარსეთში, სცდილობდენ ყოფილ შახის გარდაცვალებისათვის მიეცათ პოლიტიკური მნიშვნელობა.

8 აპრილს დეპუტატების ერთი ჯგუფი სცდილობდა გაეტარებია მეჯლისში წინადადება შახისათვის სამძიმრის დეპეშის გაგზავნის შესახებ მაჰმედ-ალის გარდაცვალების გამო. ამ წინადადების შეტანის შემდეგ, დეპუტატების ერთი ნაწილი წავიდა, ქვორუმი აღარ იყო და საკითხი ღიად დარჩა.

თეირანში ინგლისის და ევროპის სხვა ქვეყნების მისიებმა დაუშვეს დროშები გარდაცვალებულ ყოფილ შახის პატივისცემის ნიშნად.

მარტის წერილი ზინოვიევისადმი

მოსკოვი. 10 აპრ. „ძვირფასო ამხანაგო, ვტოვებ რა საბჭოთა კავშირის ტერიტორიას, ერთხელ კიდევ მივესალმები მუშურ-გლეხურ რესპუბლიკის რევოლიუციონურ პროლეტარიატს და კომინტერნის აღმასკომს—მსოფლიო რევოლიუციის შტაბს.

პირველად მე გავიცანი საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური პროლეტარიატი 1918—1919 წ.წ. მძიმე დღეებში. მე მაშინ აღტაცებული ვიყავი **გმირული ბრძოლით, რომელსაც ის აწარმოებდა ჩვენი მასწავლებლის ლენინის ხელმძღვანელობით კონტრ-რევოლიუციის, ევროპის კაპიტალის ლაქიების და აგრეთვე კომუნის წინაშე შექმნილ მრავალ დაბრკოლებათა წინააღმდეგ.**

მე, როგორც ბევრი სხვა, აღტაცებული ვიყავი რუსეთის პროლეტარიატით და შემიყვარდა იგი.

ჩემ ამხანაგებთან ერთად „თავისუფალ" საფრანგეთის ციხეებში ყოფნის დროს ყველას ჩვენ გვაწუხებდა ერთი გარემოება: მოახერხებს თუ არა რუსეთის პროლეტარიატი გამარჯვების მოპოვებას? როდესაც ვასერილი და დაჭმუჭნილი გაზეთი ჩაივარდებოდა ხელში, ჩვენ ხარბად ვეძებდით ცნობას საბჭოთა რუსეთიდან. ჩვენ ვიტანჯებოდით საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად და გახარებული ვიყავით, როდესაც ისინი იმარჯვებდენ.

მე არ შემიძლია დავფარო, რომ საბჭოთა რუსეთის საზღვარზე გადასვლის დროს, მიუხედავად მთელი ჩემი რწმენისა მუშურ-გლეხურ რუსეთის პროლეტარიატისადმი, მაფიქრებდა ერთი კითხვა: ვაი თუ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი დამთვრალია ხელისუფლების სათავეში 9 წლის განმავლობაში ყოფნით, ხომ არ გადაგვარდა მისი რევოლიუციონური ავანგარდი—რუსეთის კომპარტია და ვაი თუ შეწყდა თვით რევოლიუციის განვითარება?

ამიტომ მე ზედმიწევნით ვსწავლობდი საბჭოთა რუსეთს, როგორც კომუნისტი და როგორც ობიექტიური მეთვალყურე და ხშირად თავს ვაბეზრებდი ენერგიულ და რევოლიუციის საქმისათვის თავდადებულ ამხანაგებს. ამისათვის ვთხოვ მათ პატიებას.

მე ძალიან მოხარული ვიყავი, როდესაც ვხედავდი, რომ უდიდესი საბჭოთა ქვეყანა იმყოფება ღრმა გარდაქმნის პროცესში და დამდგარის კომუნიზმის გზაზე.

მე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ საბჭოთა ქვეყანა წარმოადგენს შეურყეველ კლდეს, რომელზედაც შეუძლია დაეყრდნოს კომინტერნი თავის მუშაობაში.

მე დავრწმუნდი იმაში, რომ თანდათან უმჯობესდება ეკონომიური მდგომარეობა და იზრდება მუშათა კლასის იდეოლოგიური თვითშეგნება.

ჩემთვის ნათელი გახდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება იმდენ ყურადღებას აქცევს გლეხობას, როგორსაც არ აქცევს არც ერთი მთავრობა მსოფლიოში. მე ხელახლა დავინახე, რომ ძველი ბოლშევიკური პარტია განაგრძობს ილიჩის საქმეს, მაგრამ ეხლა ამ პარტიაში არსებობს ახალი თაობა, კომკავშირელები, ახალგაზრდა პიონერები, რომლებიც კომუნიზმს იხილავენ.

თქვენ გაიგებთ, თუ როგორი აღტაცებით და გულწრფელად უცხადებ დასავლეთ ევროპის მშრომელებს, რომ დღეს, სოციალ-დემოკრატიულ ფინიებმა იყეფონ, ისინი ხელს ვერ შეუშლიან ბურჟუაზიის დაღუპვას. მისი დღეები დათვლილია.

ერთად-ერთი მსოფლიო რევოლიუციონური ძალა—კომინტერნი, მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა, დღითი-დღე აძლიერებს თავის პრესტიჟს და სპობს კაპიტალის ბატონობას.

მე დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ ბრძოლაში საფრანგეთის პროლეტარიატი და კომპარტია ღირსნი იქნებიან არა მარტო 1871 წლის კომუნარებისა, არამედ, განსაკუთრებით, 1917 წ. ოქტომბრის კომუნარებისა.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მშრომელებს! გაუმარჯოს კომინტერნს! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!"

გლეხთა საერთაშორისო საბჭოს პლენუმი

მოსკოვი. 10 აპრილი. გლეხთა საბჭოს მეორე პლენუმის სხდომაზე 10 აპრილს **ორლოვმა** გააკეთა მოხსენება აგრარულ საკითხის და თანამედროვე გლეხთა მოძრაობის შესახებ.

ციფრებით ხელში მომხსენებელმა დაამტკიცა დასავლეთ-ევროპის და ამერიკის გლეხობის გაღატაკება იმპერიალისტურ ომის შემდეგ. ამავე დროს იზრდება გადასახადები. გლეხობა იწყებს გამოღვიძებას საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა მაგალითის მიხედვით. ღარიბ-გლეხთა გაერთიანებისათვის ნიადაგი მომზადებულია. **ბურჟუაზიის ძლიერება შერყეულია.**

გლეხთა საერთაშორისო საბჭომ უნდა მიიღოს მხედველობაში გლეხობის სულიერი განწყობილებაში მომხდარი გარდატეხა და მთელი თავისი ძალ-ღონე მიმართოს ამ განწყობილების გასაღრმავებლად და გლეხობის გასაერთიანებლად. ამასთანავე ეს გაერთიანება უნდა განხორციელდეს თვითეულ ქვეყნის პირობების და თავისებურებათა მიხედვით.

გლეხობის მოთხოვნილებანი მრავალგვარ და საბჭომ დღევანდელ პლენუმზე უნდა გამოააშკარავოს ეს მოთხოვნილებანი და შექმნას პირობები, რომელიც უზრუნველყოფდეს გლეხთა საჭიროებათა მიზანშეწონილად დაკმაყოფილებას.

ორლოვის მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ჩეხო-სლოვაკიის, საფრანგეთის, კროაციის, გერმანიის და იტალიის წარმომადგენლებმა.

პროფმოძრაობის მთლიანობა აღდგენილი იქნება

ინგლის-საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენელთა კონფერენციის დეკლარაცია

ლონდონი. 10 აპრილი. ინგლის საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენელთა კონფერენციამ პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხის შესახებ გამოაქვეყნა დეკლარაცია. დეკლარაცია შეიცავს შემდეგ მუხლებს:

1) პროფმოძრაობის მთლიანობა როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო მასშტაბით, უნდა იქნეს ცნობილი პირველ უმნიშვნელოვანეს პირობათ, რომელიც საშუალებას აძლევს პროფმოძრაობას დაიცვას მუშათა კლასი კაპიტალის შემოტევისაგან და განახორციელოს შეკავშირებულ მუშათა მოძრაობის სოციალური და პოლიტიკური მიზნები;

2. პოლიტიკური მდგომარეობა მეტწილ ქვეყნებში ხასიათდება რეაქციის ბატონობით, რასაც ადასტურებს პროფმოძრაობის მოღვაწეების დევნა;

3) მთელი მსოფლიო კაპიტალისტები წარმოების და ეკონომიკის დარგში გამოდიან ერთიანი ფრონტით, **მუშები კი დაყოფილი არიან ერთიმეორეს მოწინააღმდეგე ჯგუფებათ;**

4) თითქმის ყველა ქვეყნებში, კაპიტალისტების ძლიერების ზრდის და მუშათა კლასს შორის მთლიანობის უქონლობის გამო, უკანასკნელი დროებით ჰკარგავს თავის მონაპოვართ, კერძოთ იზრდება სამუშაო დღის ხანგრძლივობა;

5) ევროპა განიცდის ეკონომიურ კრიზისს, რასაც ამტკიცებს უმუშევართა არმიის ზრდა და სამუშაო ხელფასის მასიური შემცირება;

6) მუშათა წრეებში უკეთესი მომავლის იმედი შესცვალა უიმედობამ, ბრმა რწმენა, რომელიც აიძულებდა მუშებს სისხლი დაეღვარათ თავთავიანთ მთავრობისათვის მსოფლიო ომის დროს, როცა მილიონობით გაჟლიტეს მუშები, შეირყა;

7) ეხლა უკვე აშკარაა, რომ მზადდება ახალი, კიდევ უფრო საშინელი ომი, ხოლო ეგრეთწოდებული განიარაღების კონფერენციები მხოლოდ ბადებენ საშიშ ილუზიებს, რომლებითაც თვალს უხვევენ მუშებს;

8) ერთად-ერთ ძალას, რომელსაც შეუძლია ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცდენა, წარმოადგენს მუშათა კლასი, თუ ის კარგად არის შეკავშირებული, თუ მას აქვს საკმაო დისციპლინა და ერთგულება თავისი საქმისადმი, გადაწყვეტილი აქვს ებრძოლოს ყველაფერს, რასაც შეუძლია ხელისშეშლა მისი საბოლოო განთავისუფლებისათვის. მუშათა კლასი, როცა ის გაერთიანებული იქნება ნაციონალურ და საერთაშორისო მასშტაბით, შექმნის დაუძლეველ დაბრკოლებას კაპიტალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ და იქნება ზავისა და ეკონომიური მშვიდობიანობის შეურყეველი დასაყრდენი.

მუშებს შეუძლიათ ყველა იმათი დამარცხება, ვინც თავისი რეაქციონური ზრახვების გულისთვის მხარს უჭერს განხეთქილებას მუშათა მოძრაობაში. სანამ არსებობს კაპიტალისტური სისტემა, არსებობს ომის საფრთხეც.

იღებენ რა ყოველივე ამას მხედველობაში, **ინგლისის და რუსეთის პროფკავშირების წარმომადგენლები ადასტურებენ შეთანხმებას,** რომელიც **დაიდო მოსკოვში ინგლისის და რუსეთის შეკავშირებულ მუშების წარმომადგენლებს შორის იმ მიზნით, რომ** განამტკიცონ მუშებს შორის მისწრაფება საერთაშორისო მთლიანობისაკენ, რომელიც წარმოადგენს ნამდვილ საშუალებას საერთაშორისო მთლიანობის დასაცავად.

კონფერენციაზე მიღწეულ შეთანხმების შემდეგ **ინგლისის დელეგაცია მიიღებს ზომებს, რათა აიძულოს ამსტერდამი დათანხმდეს** ყოველგვარი წინასწარი პირობების **გარეშე კონფერენციის დაუყოვნებლივ მოწვევაზე რუსეთის პროფმოძრაობის წარმომადგენლებთან თავისუფალი აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიზნით.**

ამავე დროს ჩვენ აღვნიშნავთ ჩვენს გადაწყვეტილებას **მხარი დავუჭიროთ მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობას ინგლისის და რუსეთის პროფმოძრაობათა შორის.**

ინგლისის და რუსეთის პროფმოძრაობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ **მზად არიან გააკეთონ ყველაფერი შესაძლებლობის ფარგლებში, რათა შეერთებული ძალებით განახორციელონ საერთაშორისო მთლიანობა.**

ჩვენ, ვიცით რა, რომ მთლიანობა გვაძლევს ძალას, დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ქვეყნის მუშები ხელს გაუწოდებენ ერთმანეთს და ერთად იბრძოლებენ განთავისუფლებისათვის.

ჩვენს საერთაშორისო დროშაზე უნდა დარჩეს შემდეგი ლოზუნგები: **„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“,** და **„გაუმარჯოს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას“.**

შეთანხმება

კონფერენციამ დაადგინა აგრეთვე გამოაქვეყნოს შემდეგი შეთანხმება:

„იმ წინადადების საპასუხოდ, რომელიც მოითხოვს სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს და ინგლისის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს შეთანხმებულად გამოსვლას საერთაშორისო მთლიანობის განსახორციელებლად, ინგლისის ტრედიუნიონების კონგრესის წარმომადგენლები, რომლებიც დაესწრნენ ამ კონფერენციას, აცხადებენ შემდეგ:

1) ჩვენს მიზანს წარმოადგენს ყოველმხრივი თანამშრომლობა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან ყოველთვის, როგორც კი ეს საჭირო იქნება საერთაშორისო მთლიანობის ცხოვრებაში გასატარებლათ;

2) ამ მიზნით უნდა შეიქნეს ხელსაყრელი პირობები იმ დოკუმენტების თავისუფალი გაცვლა-გამოცვლისათვის, რომლებიც შეეხებიან პროფმოძრაობას რუსეთში და ინგლისში;

3) უნდა მოეწყოს მემორანდუმების გაცვლა-გამოცვლა ორივე მხარისათვის საინტერესო სპეციალურ საკითხების შესახებ, რათა შეთანხმებულათ იქნეს განხილული უმთავრესი პრინციპები;

4) უნდა შეიქმნეს შესაძლებლობა ორივე მხარის შორის კავშირის გაფართოებისათვის, რათა განვითარებული იქნეს რაც შეიძლება უფრო მეტი დახმარების აღმოჩენა ურთიერთისადმი;

5) უნდა მოეწყოს გაერთიანებული სათათბირო კომიტეტი რუსეთის და ინგლისის პროფმოძრაობის წარმომადგენლებისაგან, რომელშიაც შევლენ ორივე მხარის თავმჯდომარეები და მდივნები და აგრეთვე სამი წევრი სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსი და სამი წევრი გენერალურ საბჭოსი;

6) გაერთიანებული გამოსვლის პრაქტიკულად განხორციელების მიზნით სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენლები თანახმა არიან დაარსდეს სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან საგარეო ურთიერთობის კომისია და შესაფერი საგარეო ურთიერთობის კომისია ინგლისის ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოსთან“.

უკანასკნელი ცნობები

კაბინეტის კრიზისის გარშემო

პარიზი, 11 აპრილი. ჰავასის სააგენტო იუწყება: ახალ კაბინეტს, რომელიც ვსთქვათ დაემყარებოდა მემარცხენე ბლოკს და რომელსაც თავმჯდომარეობას გაუწევდა ახალი პრემიერი თუნდ ისეთი, როგორიც არის პენლევე, პალატაში ექნებოდა ხმის დიდი უმრავლესობა, მაგრამ მას შეხვდებოდენ მტრულად სენატში, რომელმაც მიიღო რეზოლიუცია კონცენტრაციულ მთავრობის შედგენის შესახებ.

ამჟამად შეუძლებელია იმას თქმა, თუ რით დასრულდება „კრიზისი, რომლის გადაჭრაც უსათუოდ მოითხოვს ორივე პალატის მხრივ ერთიმეორისათვის დათმობას.

პოლონეთის პანების ბანაკში

ვარშავა, 11 აპრილი. „ექსპრეს პორანნი“ იუწყება, რომ, თითქოს, აპრილის შუა რიცხვებში პოლონეთის აღმოსავლეთ ნაწილში უნდა მომხდარიყო აჯანყება. თავის დროზე მიღებულ რეპრესიულ ზომების წყალობით აჯანყებისათვის მზადება ჩაქრობილ იქნა. მოხდენილ იქნა 2.000 ჩხრეკა, დაპატიმრებულია 361 კაცი, რომელთაც ბრალი ედებათ პარტიზანულ რაზმებში მონაწილეობის მიღებაში. ჩამორთმეულია დიდძალი იარაღი.

საბჭოთა საქონლით დაინტერესება

ოდესა, 11 აპრილი. ოდესაში ჩამოვიდა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის მთავარი ინსპექტორი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს მან განაცხადა, რომ იტალიის სავაჭრო წრეები მეტად დაინტერესებულნი არიან საბჭოთა საქონლით, განსაკუთრებით ნავთით, ნახშირით და მადნეულობით. საბჭოთა ნავთი იტალიაში კონკურენციას უწევს ამერიკის ნავთს.

ნავთის მრეწველობის საბჭოში

მოსკოვი, 11 აპრილი. ნავთის მრეწველობის საბჭოში მოისმინეს მოხსენება შავი ზღვის ნავთსადგურების ფოთისა და ბათომის გამოკვლევის შესახებ, რაც დაკავშირებულია „აზნეფტის“ წინაშე მდგარ ბაქოდან ნავთსადენის მოწყობის პრობლემასთან.

ნავთის მრეწველობის საბჭომ ფოთი შეუფერებელ ადგილად სცნო ბაქოს ნავთის პროდუქტების საგარეო ბაზარზე გატანისათვის, რადგანაც ფოთი მდებარეობს ჭაობიან ადგილას, რაც უვარგისია ნავთის გადასაქაჩავ ქარხნებისა და მუშათა ბინების მოსაწყობად; ფოთის ნავთსადგურის გადაკეთება ნავთის საექსპორტოდ დაჯდება არა ნაკლებ 6 მილიონი მანეთის. ბათომი წარმოადგენს უფრო მოხერხებულ ადგილის ნავთის საექსპორტო ბაზის მოსაწყობად.

მაგრამ, რადგანაც ბათომის ნავთსადენი პატარა არის, საჭიროა ამ უახლოეს წლებში შევუდგეთ მის გაფართოებას, რომ ერთდაიმავე დროს შესაძლებელი იყოს ნავთით გავსება ათამდე გემისა.

მუშათა მღელვარება ჰოლანდიაში

ბერლინი. 6 აპრილი. ფართოვდება ჰოლანდიის მუშათა მოძრაობა ფრისლანდიის და დრენტეს პროვინციებში. ეს მოძრაობა გამოხატავს მუშათა კლასის სოლიდარობას სასოფლო-მეურნეობის უმუშევარ მუშებისადმი, რომლებიც იბრძვიან დაქირავების პირობების გასაუმჯობესებლად. ითქმის ყველგან როგორც გლეხთა, ისე მემამულეთა მეურნეობაში ხდება სოლიდარობის გაფიცვები.

მთავრობამ გაგზავნა სამხედრო ნაწილები ტყვიის-მფრქვეველებით აჯანყებულ ადგილებში. ადგილობრივმა ხელისუფლებამ აკრძალა **ყოველგვარი კრებები. ფრისლანდიაში იარაღით ჩაშლილი იქნა პატარ-პატარა მიტინგები.** მიტინგზე გამოსული ანარქისტების ლიდერი ჯოდეგიასი დაპატიმრებული იქნა.

ჰოლანდიის კომპარტიის ორგანო „ტრიბუნე“ მოუწოდებს ქალაქის პროლეტარიატს შეუერთდეს მოძრაობას.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

შეღავათი სათესლე სესხით სარგებლობაში.

მოსკოვი. 10 აპრ. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დააკმაყოფილა ადგილებიდან შემოსული შუამდგომლობა, რათა შეღავათიანი 10 პროცენტიანი დანართი სათესლე სესხით სარგებლობისათვის გავრცელდეს აგრეთვე ყველა გუბერნიებზე და მაზრებზე, რომელთაც მიღებული აქვთ სათესლე სესხი 1924 წლის შემოდგომაზე და 1925 წლის გაზაფხულზე.

ძვირფასი აღმოჩენა.

ლენინგრადი, 10 აპრ. გეოლოგიურ მუზეუმის თანამშრომელმა გარტმან-ვეინბერგმა წარადგინა სამეცნიერო აკადემიაში ახლად დამთავრებული შრომა, რომელსაც მთელი გადატრიალება შეაქვს იმ ცხოველთა ნაშთების მომზადების ტეხნიკაში, რომელნიც დარჩენილი არიან მთის ფენებში. ეს აღმოჩენა საშვალებას იძლევა რენტგენის სხივებით ორგანიული ნაშთების არა მარტო ძებნა, არამედ ფოტოგრაფიული სურათის გადაღებაც.

ამ გამოგონების გამო აკადემიკოსმა ფერსმანმა „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ გარტმან-ვეინბერგის აღმოჩენა მნიშვნელოვან მოვლენას წარადგენს სამეცნიერო ცხოვრებაში.

მოსკოვის გუბერნიის საბჭოთა მეშვიდე ყრილობა

მოსკოვი, 11 აპრ. 10 აპრილს გაიხსნა მოსკოვის გუბერნიის მეშვიდე საბჭოთა ყრილობა. მთავრობის სახელით მოხსენება განვლილ მუშაობის შესახებ გააკეთა **კამენევმა.**

ამხ. კამენევის მოხსენება

მომხსენებელი მოკლეთ ეხება განვლილი წლის შედეგებს, აღნიშნავს ფულის რეფორმის ჩატარებას, ლოზუნგის—„პირი სოფლისაკენ“ მიღებას, მრეწველობის საერთო პროდუქციის და წარმოებებში მომუშავე მუშების რაოდენობის გადიდებას და აგრეთვე მუშების საშუალო სამუშაო ხელფასის ზრდას. მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მიღწეული შედეგები მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რათა გლეხს მივაწოდოთ მრეწველობის პროდუქცია დაკლებულ ფასებში გადიდებულ სამუშაო ხელფასის დაცვით და წარმოების რაციონალურად მოწყობის გზით.

მაგრამ ჩვენი მრეწველობის გაფართოება, სთქვა კამენევმა, მჭიდროდ არის დაკავშირებული გლეხთა მასების კეთილდღეობის დონესთან. ამ კეთილდღეობის აღორძინება წარმოადგენს ჩვენი პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

მეორე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საგლეხო კრედიტის მოწყობა. დღის წესრიგშია აგრეთვე კანონთა გადასინჯვა მიწით სარგებლობის, მოჯამაგირეების დაქირავების, იჯარის, შეგირდობის შესახებ და ბევრი სხვა ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია სოფლის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობების შექმნისაკენ.

დასასრულ კამენევი მოკლეთ შეეხო ეხლანდელ საერთაშორისო მდგომარეობას.

ყრილობას მიესალმენ: გლეხთა ინტერნაციონალის სახელით—**დომბალი,** საფრანგეთის მშრომელი გლეხობის სახელით—**გაზი,** ჩრდილოეთ ამერიკის ზანგების სახელით—**დევიხი;** ამას გარდა ყრილობას მისალმებით მიმართეს იტალიის პარლამენტის დეპუტატმა **მილიორიმ,** ბავარიელმა გლეხმა **პაუტსმა** და სხვებმა.

სასარეწაო გადასახადის რეფორმა

მოსკოვი. 11 აპრილი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატის სახელმწიფო გადასახადების სამმართველოში შემდეგნაირად დაახასიათეს მომავალი სასარეწაო გადასახადების რეფორმა.

სასარეწაო საპატენტო გამათანასწორებელ გადასახადებით დაბეგვრის რეფორმა შეეხება უმთავრესად, კერძო კაპიტალს. კოოპერაციისათვის შეღავათების მინიჭება არაა გათვალისწინებული. მრეწველობაში სწარმოებს მუშაობა საპროცენტო გადასახადებით დაბეგვრის დიფერენციაციის მოსახდენად და ფართო მოხმარების საგნებზე ამ გადასახადის მაქსიმალურად შესამცირებლად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეხლა პირობები ერთბაშად შეიცვალა, უწინარეს ყოვლისა სახელმწიფო ბიუჯეტის სიმტკიცის და აგრეთვე იმის გამო, რომ შემჩნეულია ტენდენცია ნორმალურ კალაპოტში იქნას ჩაყენებული ვაჭრობა. ჩვენ პირველ რიგში წამოვაყენეთ სასარეწაო გადასახადით დაბეგვრის მოწესრიგება კერძო ვაჭრობის დარგში. ამისათვის ჩვენ ვაკისრებთ საფინანსო ინსპექტორებს პასუხისმგებლობას ბრუნვის არა მარტო ნაკლებობასა, არამედ გადაჭარბებისათვისაც.

მაგრამ გადასახადებით დაბეგვრის მთელი სიმძიმე კერძო ვაჭრობის მიმართ ყველა ქალაქებში მდგომარეობს არა სახელმწიფო გადასახადებით ზედმეტად დაბეგვრაში, არამედ კომუნალურ და თვითნებითი გადასახადებით დაბეგვრაში. მანამ, სანამ ჩვენ არ მოვახდენთ საბინაო ქირის რეფორმას, არ ჩავაყენებთ ნორმალურ კალაპოტში საიჯარო გადასახადებს, არ მოვაწესრიგებთ ადგილობრივ გადასახადებს და არ მოვსპობთ თვითნებითი გადასახადებს, ზედმეტია ლაპარაკი კერძო ვაჭრობის დაბეგვრის მოწესრიგებაზე.

პირველ რიგში ჩვენ ვაყენებთ საკითხს კერძო ვაჭრობის ყველა გადასახადების რეფორმის შესახებ. ადგილობრივი ორგანოები, ხშირად არღვევენ საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტებს და ვაჭრებს თვითნებითი დაბეგვრით ახდევინებენ სხვადასხვა გადასახადებს. მომავალში საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატს განზრახული აქვს აუკრძალოს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს მონაწილეობის მიღება ნებაყოფლობითი გადასახადების აკრეფაშიაც კი.

საფინანსო თათბირი

მოსკოვი, 11 აპრილი. 8 აპრილს საფინანსო თათბირზე მოსმენილი იქნა ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალუტო სამმართველოს უფროსის მოხსენება **სახელმწიფოებრივ** კრედიტის შესახებ.

კავშირის სახელმწიფო ვალი უდრის 269 მილიონ მანეთს, **რაც უდრის ბიუჯეტს 10 პროცენტს,** ხოლო სახალხო შემოსავალთან შედარებით 2 **ნახ.** პროც. ამავე დროს მეფის მთავრობის დავალიანება ომის წინ უდრიდა 8,8 მილიარდ მანეთს, ე. ი. **სახელმწიფო ბიუჯეტის 300 პროც.** და სახალხო წლიურ შემოსავლის 35 პროცენტს. სახელმწიფო კრედიტის წინაშე იშლება ფართო შესაძლებლობანი. სესხის სისწორით გამოყენების და განაწილების მიზნით საჭიროა ბაზრის შექმნა. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ პროცენტული ქაღალდებით ვაჭრობა სპეკულიაციის უხალოვდებოდეს.

ახალი 5 პროცენტიანი სესხი გამოშვებულია შეგნებულათ. რათა ხელი შეუწყოთ საფონდო ბაზრის შექმნას. სესხზე ხელის მოწერა კარგად მიმდინარეობს. სესხი დაფარული იქნება ორჯერ-სამჯერ, რაც ამტკიცებს იმას, რომ კერძო ბაზარმა უკვე შეიგნო, რამდენად ხელსაყრელია მისთვის სახელმწიფოს სესხი. მორიგი ამოცანაა—გლეხთა სესხის გამოშვება, რაც განზრახულია აპრილის მეორე ნახევარში. ახალ საგლეხო სესხის პირობები ხელსაყრელი უნდა იყოს ობლიგაციების მქონე გლეხობისათვის.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო სოკოლნიკოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დღევანდელ მომენტში მიზანშეწონილად არ შეიძლება ჩაითვალოს სპეციალური და ადგილობრივი სესხები. გლეხთა სესხის გასანაღდებლად საჭიროა ყველა ძალების დაჭიმვა, რათა წელს სოფელში გავავრცელოთ ამ სესხის ობლიგაციები. ამ სესხს აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა მესამე ყრილობა

მეორე სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. ამბარცუმიანი.

ამხ. ბუნიად-ზადე ა.-კ. მთავრობის მოხსენებას თარგმნის თათრულად, რის შემდეგ იწყება

კამათი

ამიერ-კავკასიის მთავრობის მოხსენების გარშემო

ამხ. დვალი

(დელეგატი სვანეთიდან)

ყრილობას აცნობს სვანეთის დღევანდელ მდგომარეობას, სვანეთი დღემდე რჩება მოწყვეტილი საქართველოს ქალაქებს. წინად ამ უბედურ კუთხეს არ ექცეოდა არავითარი ყურადღება. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სვანებმა შეიგნეს, რომ მხოლოდ არსებული წყობილების დროს არის შესაძლებელი გამოვიდეს სვანეთი სიბნელიდან და ეკონომიური სიბეჩავიდან. გასაბჭოებისათანავე სვანეთში დაიწყო საბჭოთა მშენებლობა, მაგრამ დღემდე გაწეული შრომა ფუჭი იქნება, თუ სვანეთი არ ეღირსა გზებს. გზას მოკლებული სვანეთი წარმოადგენს ღრმა ხეობას, სადაც 9 თვის განმავლობაში მძვინვარებს მკაცრი ზამთარი.

მხოლოდ აგვისტოში ხდება შესაძლებელი დაუბრკოლებლათ მიმოსვლა საქართველოსთან და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან. თუ მთავრობა არ მიეშველა სვანეთს, ხალხი იძულებული გახდება აიბარგოს მამაპაპეულ მიწებიდან; რადგან უგზოობის გამო აქ მუშაობას ყოველგვარი ფასი ეკარგება. სვანების დავალებით მე ვსთხოვ მთავრობას ამიერიდან მიაქციოს უფრო მეტი ყურადღება ამ დაჩაგრულ მხარეს, რომელსაც თავის ბუნების სიუხვით შეუძლია 2—3 წელიწადში აანაზღაუროს მასზე გაწეული ხარჯები, ვინაიდან ამ კუთხეში ბლომად მოიპოვება სხვადასხვა სიმდიდრენი.

ალი-ტაგი-ზადე.

(დელეგატი აზერბეიჯანიდან)

აცხადებს, რომ სოფელს ამჟამად აწუხებს მიწათმოწყობის, მორწყვის და ერთიანი სამეურნეო გადასახადის საკითხები, რომელნიც ვერ არიან სათანადოთ გადაჭრილი. ორატორის აზრით, საჭიროა მომავალმა მთავრობამ ამ საკითხების გადაწყვეტას მთავარი ყურადღება მიაქციოს.

ამხ. მალხაზიანი

(სომხეთიდან)

ყრილობის ყურადღებას აპყრობს საბინაო საკითხისაკენ, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში მწვავე ხასიათს ღებულობს. საბინაო კრიზისის გადაჭრა ადგილობრივი ძალებით არ შეიძლება. ცაკმა საბინაო კრიზისს უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება და გამონახოს გამოსავალი გართულებული მდგომარეობიდან.

ადგილობრივი ბიუჯეტის გასატარებლად, ორატორს საჭიროდ მიაჩნია ბიუჯეტის შედგენის დროს ანგარიში გაეწიოს ადგილების მოსაზრებებს და მათ მიერ წამოყენებულ დასკვნებს.

ორატორი მოითხოვს აგრეთვე გზების აღდგენას და გაყვანას.

ამხ. ელისაბედაშვილი

(კახეთიდან)

ჩერდება საძოვრების საკითხზე, რომელიც დღემდე მოუგვარებელია, რის გამოც მეჯოგე გლეხები დიდ დაბრკოლებებს ხვდებიან. ორატორს საჭიროდ მიაჩნია ა. | კ. ცენტრ. აღმასრულებელმა კომიტეტმა საძოვრების საკითხი მოაგვაროს საჩქაროთ, როგორც ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებთან ისე მეზობლად მყოფ მთის რესპუბლიკებთან შეთანხმებით.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სრული შეუკრებლობის მიზეზად ორატორი სთვლის გადასახადების გაწერის საკითხის მოუგვარებლობას, რასაც ორატორის თქმით უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება.

ბახტაძე

(აფხაზეთიდან)

ეხებ რა გზატკეცილების ცუდ მდგომარეობას საერთოდ, ამბობს, რომ ამ მხრივ აფხაზეთი განსაკუთრებულ გაჭირვებას განიცდის, რადგან აფხაზეთს მიმოსვლის სხვა საშვალება არ აქვს გარდა გზატკეცილებისა, რომელნიც დღეს სავსებით დანგრეული და განადგურებულია.

აფხაზეთს არ გააჩნია სასოფლო გზებიც, რომელიც ხშირი წვიმებისა და მეწყერების გამო პერიოდულად ფუჭდება. უგზოობით გლეხობა დიდ გაჭირვებას განიცდის, რადგან მოკლებულია საშვალებას ქალაქში—ბაზარზე ჩამოიტანოს თავის მეურნეობის პროდუქტები, რომელიც ხშირად გზის უვარგისობის გამო გზაზე ილუპება.

ეხება რა შავი ზღვის სანაპირო რკინისგზის დამთავრების საკითხს, ორატორი გადასცემს ყრილობას აფხაზეთის მშრომელი ხალხის სურვილს, რომ რკინისგზა გაყვანილი იქნეს არა მარტო ზუგდიდამდე, არამედ სოხუმამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში გზა აფხაზებისათვის კარგავს ყოველგვარ ეკონომიურ მნიშვნელობას. შემდეგ ორატორი ახასიათებს რა გალის მაზრის (სამურზაყანოს) მძიმე მდგომარეობას მიწის სივიწროვის გამო, გალის მაზრის გლეხობის დავალებით მოითხოვს მთავრობისაგან გაყვანილ იქნეს არხები მაზრის მდიდარი მიწების მოსარწყავად.

ორატორის აზრით საჭიროა აგრეთვე ა | კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსაგან ყურადღება მიექცეს მდინარეთა ნაპირების გამაგრებას და ჭაობების ამოშრობას, რადგან ადიდებული მდინარეები ემუქრებიან მოსახლეობის ყანებს და კარმიდამოს, ხოლო ჭაობები ანოტიებენ და სწამლავენ აფხაზეთის სააგარაკო ადგილებს.

დასასრულ ორატორი მოითხოვს ხელისუფლების ქვედა აპარატის გაჯანსაღებას, რისთვისაც საჭიროა გადიდებულ იქნეს სოფელში მომუშავე ამხანაგთა ხელფასი.

მამედხანოვი

(ყარაბაღიდან).

ამბობს თუ მთავრობა ყარაბაღის საჭიროებას შესაფერ ყურადღებას არ მიაქცევს, იქ ისეთივე ამბავი განმეორდება რაც იყო ნახიჩევანში. უპირველესად ყარაბაღი საჭიროებს წყლის მეურნეობის მოწესრიგებას და გზატკეცილების აღდგენას და გაყვანას. უგზოობის გამო ყარაბაღის ცალკე რაიონები თვეობით მოწყვეტილი არიან ცენტრს, საიდანაც იშვიათად თუ მოევლინება სოფელს ცენტ. ხელისუფლების წარმომადგენელი. მომავალში მთავრობამ, ყრილობის დავალებით, ერთად-ერთ ამოცანად უნდა დაისახოს ყარაბაღის მდგომარეობის შესწავლა და გაუმჯობესება ყოველმხრივ.

აკოპიანი

(მთის ყარაბაღიდან)

აღნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების გავლენის ზრდას ყარაბაღელ მოსახლეობის შორის.

მემედ გოგიბერიძე

(აჭარისტანიდან)

აღნიშნავს აჭარისტანის პოლიტიკურ და კულტურულ წინმსვლელობას, ამბობს, რომ ეკონომიურად აჭარისტანის ფუხარა ხალხი ხელმოკლეობას განიცდის. წინად აჭარისტანის ქარხნებში მუშაობდა 3 ათასამდე აჭარელი, დღეს ეს ქარხნები გაუქმებულია. მთავრობამ უნდა მიიღოს ღონისძიებანი მათ აღსადგენად ხოლო სოფლებს და ქალაქებს შორის მიმოსვლის დასამყარებლად საჭიროა შეკეთდეს ბათომ-ახალციხის გზატკეცილი და ხიდები.

ამხ. ელიასოვი

(ქურთისტანის მაზრიდან)

იწონებს რა მთავრობის მოქმედებას, მოითხოვს მომავლისათვის მეტი ყურადღება მიექცეს ქურთისტანის მაზრას, რომელიც რამდენიმე წელიწადია იტანჯება ერთის მხრივ უგზოობით და მეორეს მხრივ უწყლობით. მთავრობამ ამ ორი მთავარი საკითხის მოგვარებით უნდა აღადგინოს ეს დანგრეული კუთხე.

მამედ-საიდ-დრაიმოვი

(გეოკჩაის მაზრიდან)

ესალმება ყრილობას გეოკჩაის მუსულმან გლეხების და გლეხ-ქალების სახელით და აცნობს მას თავის კუთხის საჭიროებებს.

შერბაკოვი

მთის დელიჟანის გლეხობის სახელით მოითხოვს ყურადღება მიექცეს საძოვრების საკითხის მოწესრიგებას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს დელიჟანის მთიულთათვის, რომელნიც უმთავრესად მისდევენ მესაქონლეობას.

შირიმ-ბაბა-კიზი

(ქალი-დელეგატი აზერბეიჯანის სალიანიდან)

(მის გამოჩენას სცენაზე ყრილობა მქუხარე ტაშით ეგებება). ასურათებს სალიანის მაზრის მდგომარეობას. გასულმა ზამთარმა სალიანის მოსახლეობა მეტად დააზარალა. ყინვებმა დააზრეს დათესილი ყანები, გაახმეს ხეხილი, გააფუჭეს პურის ნათესები და სხვა, მთავრობა მოვალეა მხედველობაში მიიღოს მცხოვრებთა დაზარალება, შეუმსუბუქოს გადასახადი და აგრეთვე გაუწიოს მას სხვა ნივთიერი დახმარებაც.

ალი გიულ-ზადე

(გლეხი დელეგატი წალკის რაიონიდან)

სჩივის მიწის უთანასწორო გაწესრიებაზე. მიწის მზომელნი მიწის განაწილების დროს მხედველობაში არ იღებენ მიწის ნაჭრების ღირსებებს და ხშირად განაწილების დროს სარწყავ ადგილების რაოდენობას უფარდებენ ურწყავ ადგილების იმავ რაოდენობას, რაც უკანონოდ უნდა ჩაითვალოს.

იალდუზ გეორქიანი

(დელეგატი ქალი სომხეთიდან)

ეხება უმთავრესად კოოპერაციას, რომელიც მიაჩნია ვაჭრობის მოწესრიგების ერთ-ერთ საშუალებად. გლეხობამ კოოპერაციის ეს მნიშვნელობა შეიგნო და აქტიურად ჩაება მასში. შემდეგ ორატორი აღნიშნავს საზოგადოებრივ ცხოვრების გაცხოველებას სოფლად, სადაც გლეხობას შემოაქვს ქალაქელი მუშის კულტურა.

ამხ. დევდარიანი

(დელეგატი ქუთაისის მაზრიდან, ფუპარტეთ)

ესალმება ყრილობას ქუთაისის მაზრის გლეხობის სახელით.

ამხ. ნასიბოვი

(დელეგატი გლეხი ზაქათალიდან)

ამბობს, რომ ზაქათალის გლეხობას აწუხებს მიწის საკითხის მოუგვარებლობა. ზაქათალისა და სიღნაღის მაზრებს აქვს საერთო სადავო მიწები—საძოვრები, რომლით სარ[illegible] მიექცეს გზების გაყვანას და ვაჭრობის მოწესრიგებას.

ამხ. ნასიბოვის სიტყვის შემდეგ ყრილობის მეორე სხდომა იხურება.

მესამე სხდომა

თავმჯდომარეობს **მიხა ცხაკაია.**

გრძელდება კამათი მთავრობის მოხსენების გარშემო.

ამხ. მანას ლარიბიანი

აღნიშნავს, რომ ადგილობრივი ორგანოები ხშირათ არ ასრულებენ ჩვენს კანონებს და ცენტრის განკარგულებას. ორატორი მოითხოვს ადგილობრივი საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებას. ამასთანავე ორატორი აღნიშნავს დეფექტებს რკინის გზაზე და ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის საქმეში.

ამხ. მაგომეტ რაფიევი

(ბორჩალოს მაზრა)

აღნიშნავს ცუდ ჰაერს და წყლის უქონლობას ბორჩალოს მაზრაში, რაც აიძულებს გლეხებს მიატოვონ დაბლობები და გავიდენ მთებში. რაფიევი ხაზს უსვამს იმას, რომ ბორჩალოს მაზრის გლეხობამ შეიგნო საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელობა და ის მთელი თავისი არსებით საბჭოთა ხელისუფლების მხარეზეა, მხოლოდ სთხოვს მთავრობას იზრუნოს მიწათმოწყობის, წყლის გაყვანის და საძოვრების საკითხების მოგვარებაზე.

ამხ. სოლოლაშვილი

(გარე-კახეთი)

გარე-კახეთის გლეხობის სახელით ესალმება ამიერ-კავკასიის საბჭოთა მესამე ყრილობას და აღნიშნავს, რომ გარე-კახეთის გლეხებს არ აქვთ სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ამიტომ სთხოვს მთავრობას, რომ მან დახმარება გაუწიოს გლეხებს მანქანების შეძენაში.

შემდეგ ორატორი ახასიათებს კოოპერაციის სუსტ მუშაობას გარე-კახეთში და დასასრულ დასძენს, რომ გარე-კახეთში აუცილებელია სარწყავი არხების გაყვანა და გზატკეცილების შეკეთება.

ამხ. სემქოვი

აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის მუშათა კლასმა შრომის ხელფასის სფეროში ჯერ კიდევ ვერ მიაღწია იმ მდგომარეობას, რომელიც იყო ომის წინა ხანებში; ამიტომ ამიერ-კავკასიის მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ თანდათან გააუმჯობესოს მუშათა კლასის და გლეხების მდგომარეობა.

ამხ. იბრაგიმ-კიზი

(ლენქორანის მაზრა)

ლენქორანის მაზრის ქალების სახელით ესალმება ყრილობას; ორატორი სთხოვს ყრილობას და მთავრობას მიიღოს ზომები ქალაქ ასტარას აღსადგენათ. ამასთანავე მოითხოვს გზების გაყვანას და სკოლების აგებას ლენქორანში.

ტრაპაიძე

(გურია)

გურიის გლეხობის სახელით ესალმება ყრილობას და აღნიშნავს, რომ გურიის გლეხობა გაერკვა იმაში, რომ მენშევიკების უკანასკნელი გამოსვლა იყო ავანტიურა; ის დარწმუნდა ამაში და საბოლოოთ დადგა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე.

ამხ ორახ სა სიტყვ

ამხ. მამია ორახელაშვილის საბოლოო სიტყვა

თავისი სიტყვის დასაწყისში ამხ. მამია ორახელაშვილმა პასუხი გასცა პრეზიდიუმში შეტანილ შეკითხვებზე რის შემდეგაც განაცხადა შემდეგი:

— ამხანაგებო! მეორე ყრილობიდან მესამე ყრილობამდე გასული დროის განმავლობაში ჩვენ დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ყველა კმაყოფილია, რომ ყველას მდგომარეობა საბოლოოთ გაუმჯობესებულია. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მივაღწიეთ ერთგვარ მტკიცე დონეს, ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლება იმდენათ განმტკიცდა, რომ მას საშუალება აქვს გამონახოს წყაროები მუშათა კლასის და გლეხობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

მთავრობა არ უარყოფს იმ ნაკლულევანებათ, რომლებზედაც მიგვითითებდენ დელეგატები. ისინი უმთავრესათ ეხებოდენ მიწათ-მოწყობის, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, წყალის და ბიუჯეტის საკითხებს.

ამხანაგებო! ჩემს მოხსენებაში მე უკვე აღვნიშნე ის დიდი მიღწევები, რომლებიც ჩვენ გვაქვს წყლის მეურნეობის დარგში. მე მგონია, რომ გასული წლის განმავლობაში ჩვენ ამ სფეროში იმაზე მეტს ვერ მივაღწევდით, რაც გავაკეთეთ და რასაც ეხლა ვაკეთებთ. ახალი საბიუჯეტო წელი შორს არ არის, მანამდი დარჩა სულ ექვსი თვე და ჩვენ ფართო პერსპექტივა გვეშლება წინ თანხების მიღების მხრივ საერთო-საკავშირო ბიუჯეტიდან; ახალი თანხების მიღების შემდეგ კი ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიერებთ მუშაობას წყლის მეურნეობის დარგში.

მეორე საკითხი, რომელსაც ყურადღება მიაქციეს დელეგატებმა, ეს არის გზების საკითხი. მე უკვე ვსთქვი, რომ გზატკეცილების აღსადგენათ გადადებულია 1.250.000 მანეთი. ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვიძლია ყველა გზების ერთბაშათ აღდგენა, სამისო თანხები ჩვენ არ გვაქვს, ნაწილობრივი მუშაობა კი სწარმოებს და მომავალშიაც იწარმოებს.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიწათმოწყობის, საძოვრების და ტყეების საკითხებს, რომლებსაც აგრეთვე დელეგატებმა ყურადღება მიაქციეს. თუ ჩვენ სწორათ ვერ გადავწყვიტეთ ეს საკითხები, მაშინ ჩვენი ამიერ-კავკასიის ფედერაციის შენობიდან გამოცვივა მრავალი ქვები, რომლებიც ჩაყრილია მის საძირკველში.

ამიერ-კავკასიის ცაკთან დაარსებული იყო სპეციალური კომისია, რომელიც იხილავდა საძოვრებს და სხვა სადაო საკითხებს. ერთი წლის განმავლობაში ამ კომისიამ ბევრი რამ გააკეთა. გადაწყვეტილია საძოვრებთან დაკავშირებული ყველა სადაო საკითხები სომხეთსა და აზერბეიჯანსა, ქურთისტანსა და ზანგეზურს შორის.

რთული და მეტად მნიშვნელოვანი საკითხია მიწათმოწყობის საკითხი. განსაკუთრებით ძნელია მისი სასწრაფოდ გადაწყვეტა საქართველოში, სადაც მრავალი წვრილი მეურნეობებია, რომელთა მიწები საკმაოდ დიდ მანძილზეა დაშორებული ერთიმანეთისაგან. ამ საკითხის სასწრაფოდ მოსაგვარებლად საჭიროა დიდი თანხები და ამასთანავე რამოდენიმე ასეული კარგად მომზადებული მუშაკი. ჩვენ ჯერ-ჯერობით არ გვაქვს საკმაო თანხები, ამიტომ ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა უახლოესი ერთი-ორი წლის განმავლობაში მოსახერხებელი არ იქნება.

რაც შეეხება საბინაო აღმშენებლობას, უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი ჯერჯერობით მწვავეთ სდგას. ჩვენ არა გვაქვს იმდენი თანხები, რომ გავადიდოთ საბინაო ამხანაგობების ძირითადი კაპიტალი. მაგრამ ჩვენ მაინც მივიღებთ ყოველგვარ ზომებს, რომ გავაუმჯობესოთ და ფეხზე დავაყენოთ ეს საქმე.

დელეგატების გამოსვლამ ყრილობაზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა. ისინი აღნიშნავდენ ჩვენს მიღწევებს საბჭოთა აღმშენებლობის ყველა დარგებში. მაგრამ მთავრობა არ დაკმაყოფილდება ასეთი გულლია მიღებით, ის, პირიქით, გააძლიერებს თავის ენერგიას, რომ გააუმჯობესოს ამიერ-კავკასიის ყველა კუთხეების მდგომარეობა. დელეგატების გამოსვლა ამტკიცებს, რომ ჩვენ მიერ არჩეული გზა სწორია, ჩვენი მუშაობა სწორათ არის მიმართული.

საბჭოთა ხელისუფლება ღრმათ შეიჭრა ხალხის გულში, ხალხმაც შეიგნო მისი მნიშვნელობა და გვერდში ამოუდგა მას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი შემდეგი ყრილობა იქნება ჩვენი კიდევ უფრო დიდი მიღწევების დემონსტრაცია.

(ხანგრძლივი, მქუხარე ტაში).

რეზოლიუცია

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. მთავრობის მოხსენების გამო.

ამხ. მამია ორახელაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია.

„მოისმინა რა ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის—ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება ამიერ-კავკასიის მთავრობის მოღვაწეობის შესახებ, საბჭოთა მესამე ყრილობა სავსებით იწონებს შესრულებულ მუშაობას, რომელიც მიმართული იყო სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული აღმშენებლობის განმტკიცებისა და განვითარებისაკენ ამიერ-კავკასიის ყველა ერების ძმური თანამშრომლობის და ნაციონალური მშვიდობიანობის საფუძველზე“.

ს. ს. ს. სახ. კომისართა საბჭოს საინფორმაციო-განყოფილების კომპლექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

(მომხსენებელი ამხ. გუსეინოვი)

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი,—ამბობს მომხსენებელი არის არა მარტო—ეკონომიური, არამედ პოლიტიკური საკითხი, რადგან იგი ეხება ჩვენი გლეხობის ინტერესებს. თუ საბჭოთა ხელისუფლებამ პირველ ხანებში ვერ შესძლო შეემცირებია სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, ეს მიტომ, რომ საამისოდ არ იყო სათანადო ობიექტიური პირობები. 1921 წლიდან მდგომარეობა იცვლება და თუ ჩვენ შევადარებთ 21 წლის მომყოლ წლებს, ერთი მეორეს, დავრწმუნდებით, რომ გადასახადი თანდათან მცირდება. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ძირითადი მომენტი ის არის, რომ მეურნეობის ყოველი დარგი გადაყვანილია სახნავ ერთეულზე. გაწერის ერთეულად ითვლება ერთი დესეტინა სახნავი მიწა.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ა. | კავკასიაში

ა. | კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი განსხვავდება საბჭ. კავშირის გადასახადისაგან, თუმცა ძირითადი პრინციპი გადასახადისა ერთი და იგივეა. ა.-კავკასია თავისი სამეურნეო მდგომარეობით არსებითად განსხვავდება სხვა რესპუბლიკებისაგან. ა. | კავკასიის თავისებურება ის არის, რომ შედარებით მცირე ტერიტორიაზე ჩვენ ვხვდებით მრავალფეროვან კულტურას.

მეორე განსხვავება ამიერ-კავკასიის და საბჭოთა კავშირის შორის ის არის, რომ ჩვენ არ გვაქვს ისე მტკიცედ ჩამოყალიბებული ფინანსიური აპარატი, როგორიც არის საბჭოთა რუსეთსა და უკრაინაში.

ამ ორი მთავარი მიზეზის გამო საჭირო შეიქნა შეცვლა იმ დეკრეტისა, რომელიც საბჭოთა-კავშირმა გამოსცა 1924 წელს. ჩვენი დეკრეტის მთავარი ძირითადი განსხვავება არის შემდეგი; გასაწერად მთელი მეურნეობა დაყოფილია 9 ჯგუფად სახნავი მიწის რაოდენობის მიხედვით, გარდა ამისა დაწესებულია 11 ხარისხი მოსავლიანობის მიხედვით ე. ი. იმის მიხედვით, თუ როგორი მოსავალი იქნება მიმდინარე წელს.

ამასთანავე ჩვენი დეკრეტის ძალით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განსაზღვრული პროცენტი იდებოდა ადგილების სასარგებლოდ.

ძველი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დეფექტები.

ჩვენს სასოფლო-სამეურნეო გადასახადს ახასიათებს მრავალ ნაკლულევანებანი, რომელიც აუცილებელია იმ დროს, როდესაც სწარმოებს სახელმწიფოს მშენებლობა სულ ახალ საფუძვლებზე.

მთავარი დეფექტები, რომელიც თან სდევდა ჩვენს სასოფლო-სამეურნეო გადასახადს იყო შემდეგი: 1) გადასახადის ერთგვარი სიმძიმე; 2) გამოანგარიშების მეტის მეტი სირთულე.

3. გადასახადის რაოდენობის დაწესება არა გაზაფხულზე, არამედ შემოდგომაზე. გადასახადის რაოდენობა დამოკიდებული იყო წლის მოსავლიანობაზე. ამიტომ გლეხმა არ იცოდა რამდენი უნდა გადაეხადა და როგორ უნდა შეედგინა თავისი ბიუჯეტი.

4. საქონლის და მაღალ კულტურის სახნავ ერთეულზე გადაყვანის მაღალი კოეფიციენტი.

5. გადახდის ვადის ხშირი შეცვლა და სხვა.

მომავალ სასოფლო-სამეურნეო წელს ამიერ-კავკასიაში გატარდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ერთიანი დეკრეტი, რომელიც მიღებულია მთელი საბჭოთა კავშირისათვის.

ახალ საგადასახადო სისტემაში გამორიცხულია ყველა ის დეფექტები, რომელიც წინანდელ გადასახადს ახასიათებდა.

ცვლილებები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სისტემაში.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აგებულება რჩება იგივე, რაც იყო—ესე იგი იბეგრება მხოლოდ მიწა და საქონელი, გაწერის ერთეულად რჩება იგივე სახნავი მიწის ერთი დესეტინა, რომელზედაც გადაყვანილი უნდა იქნეს მეურნეობის სხვადასხვა დარგი.

მომავალი წლიდან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სისტემაში შემოდის შემდეგი ცვლილება: სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სახნავ მიწაზე გადაყვანის კოეფიციენტი და გადასახადის რაოდენობა წესდება მთელი რიგი წლების საშუალო მოსავლიანობის მიხედვით და არა იმის მიხედვით, თუ როგორი იყო მოსავალი მიმდინარე წელს. გადასახადი ცხადდება გაზაფხულზე და რჩება უცვლელი საგადასახადო წლის დასრულებამდე, ამ მომავალ წლიდან მტკიცეთ იქნება განსაზღვრული გადასახადის შეტანის ვადა, რომელიც შემდეგისათვის არ შეიცვლება. საქონლის სახნავ ერთეულზე გადაყვანის კოეფიციენტი მცირდება ერთი მესამედით მაინც. ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით უნდა შეიცვალოს აგრეთვე სხვადასხვა კულტურის სახნავ ერთეულზე გადაყვანის კოეფიციენტი.

მარტივდება გადასახადის რაოდენობის ცხრილი და გადასახადის გამოანგარიშება.

სასოფლო სამეურნეო გადასახადი საგრძნობლად მსუბუქი ხდება.

თემის პოლიტიკურ და სამეურნეო მდგომარეობის განსამტკიცებლად მთელი გადასახადის ერთი მესამედი შედის სათემო ბიუჯეტში.

შემდეგ მომხსენებელი ყრილობას აცნობს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შედარებით სიმძიმეს 1924—25 წ. და 1925—26 წლებისას.

დასასრულ მომხსენებელი გამოსთქვამს იმედს, რომ დელეგატები გაუმარტავენ გლეხობას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სისტემაში მომხდარ ცვლილებებს და შეაგნებინებენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მნიშვნელობას ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წარმატებისათვის.

ამხ. გუსეინოვის მოხსენების შემდეგ სხდომა საღამოს 9 საათზე იხურება.

ბეჭდვითი სიტყვის გამოფენა

ქ. ტფილისის ყველა პარტიულ, ახკომკავშირის, საბჭოთა, პროფესიონალურ, ჯარის და სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

რუსეთის კომპარტიის (ბ) ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებამ ამიერ-კავკასიის საბჭოთა მე-III ყრილობას თფილისში შეურჩია ამიერ-კავკასიის ბეჭდვითი სიტყვითი გამოფენა.

გამოფენა გაიხსნება 12 აპრილს ფიზიკურ კულტურის უმაღლეს საბჭოს შენობაში (ყოფ. სამხედრო ტაძარი) და გაგრძელდება 2 კვირას; გამოფენაზე შესვლა შეიძლება ყოველ დღე დილის 11 საათიდან 2-მდე და საღამოს 5 საათიდან 8-მდე. შესვლა თავისუფალია.

იმ მიზნით, რომ ორგანიზაციულად მოეწყოს გამოფენის დათვალიერება, მყარდება შემდეგი წესი:

1. ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის დელეგატები დაუბრკოლებლივ შედიან გამოფენაზე მისი გახსნისას.

2. მუშათა ორგანიზაციები თავისი კოლექტივებით შედიან რაიონებისა და ფაბკომების მიხედვით ყოველდღიურად.

3. მოწაფეთა და ბავშვთა ორგანიზაციები შედიან სკოლებისა და რაიონების მიხედვით სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

4. ყველა დანარჩენი მოქალაქენი ორშაბათობით და პარასკეობით დღის 10-დან 2 საათამდე.

იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნეს გამოფენის ნახვის სურათი, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილება სთხოვს ყველა ორგანიზაციებს წარმოადგინონ შენობაში შესვლისას თავის კოლექტივთა სიები იმის აღნიშვნით თუ რომელი ორგანიზაციის, სოც. მდგომარეობის და პარტიის წევრნი არიან ისინი.

დანარჩენი მოქალაქენი უნდა ჩაეწერონ შესვლის დროს.

რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილება.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო.

იტალიის გემის გარიყვა ფოთში.

ფოთი. 11 აპრილი. ამას წინათ იტალიის გემი „როანნა" გაირიყა ფოთის ნავთსადგურში. განუწყვეტელი მუშაობით 3 აპრილს შესაძლებელი გახდა გემის განთავისუფლება. 7 აპრილს 37.200 ფუთი შავი ქვის გადმოტვირთვის შემდეგ გემი გაყვანილ იქნა ნავთსადგურიდან.

გემის განთავისუფლებისათვის გაწეული ხარჯები და საერთო ზარალი უდრის 30,000 მანეთს.

კომისიამ, რომელმაც დაათვალიერა გემი გამოარკვია, რომ ავარია გამოწვეულია სტიქიური მოვლენით რომლის თავიდან აცდენა ყოვლად შეუძლებელი იყო. გემის კაპიტანი სავსებით დაეთანხმა ავარიის კომისიის ამ დასკვნას და მიიღო რა სათანადო ცნობა, ლლოიდის დამზღვევი საზოგადოებისაგან, სადაც დაზღვეულია გემი, იკისრა თავის გემის მიერ ზარალი ფოთის ნავთსადგურის სარჩელის მიხედვით. გაწეულ ხარჯების ანგარიშში კაპიტანმა უკვე შეიტანა ნავთსადგურის სამმართველოში 8,000 მანეთი. დანარჩენი თანხა გადმოგზავნილი იქნება გემის იტალიაში დაბრუნების შემდეგ.

8 აპრილს გემი „როანნა" დაიტვირთა და წავიდა სტამბოლში.

აფხაზეთი

ნავთსადგური გაგრაში

სოხუმი. 10 აპრ. გაგრაში სწარმოებს სასწრაფო მუშაობა ნავთსადგურის მოსაწყობად. ნავთსადგურის გახსნა მოხდება ა | წ. 1 ივლისს.

მოსავლის გამომრკვევი კომისია

სოხუმი. 1 აპრილი. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ხელმძღვანელობით დაარსდა ექსპერტთა რესპუბლიკანური კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს მოსავლის მდგომარეობა და გამოიანგარიშოს მისი რაოდენობა. ასეთივე კომისიები სათანადო მასშტაბით მოეწყობა, აგრეთვე მაზრებში და რაიონებში.

სახალხო განათლების ფურცელი № 3

კულტურული მუშაობა სოფლად

(სოფლის სკოლა. მასწავლებლის საზოგადოებრივი მუშაობა)

კულტურულ მუშაობაში ჩვენ განსაკუთრებით სერიოზულ ყურადღებას ვაქცევთ პირველდაწყებით განათლებას, სოფლის სკოლას. სოფლის საზოგადოებრივ ძალებიდან პირველი ადგილი უჭირავს სოფლის მასწავლებელს.

სასკოლო საქმე გურიაში საკმაოთ დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. იშვიათად შეხვდებით ისეთ სოფელს, სადაც არ იყოს სკოლა, ანდა არ შენდებოდეს სკოლის შენობა. თითქმის არ არიან სკოლის გარეთ დარჩენილი ბავშვები. თუ არის შემთხვევები, როდესაც ბავშვებმა შესწყვიტეს სკოლაში სიარული, ისინი არიან შვილები ყველაზე უფრო ღარიბი გლეხებისა, რომელთაც საშვალება არ აქვთ ტანისამოსი უყიდონ თავის ბავშვებს.

„რაც არ უნდა მომივიდეს, ბავშვებს სკოლიდან მაინც არ გამოვიყვან!"—გაიგონებ ხშირად გლეხებისაგან.

შეიძლება ითქვას, რომ მაზრაში გატარებულია საყოველთაო სწავლება.

ამ დიდ მიღწევებთან ერთად სასკოლო საქმეში არის სერიოზული დეფექტებიც.

უმეტეს შემთხვევებში, სკოლების შენობები თვითონ გლეხების მიერ აგებული იყო ჯერ კიდევ რევოლიუციამდი. უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენ არავითარი რემონტი არ გაგვიკეთებია. ჩვეულებრივი სურათია, როდესაც სკოლაში წვიმა ჩამოდის და ფანჯრების მინები ჩამტვრეულია. ერთი ჯგუფი მეცადინეობის დროს ხელს უშლის მეორე ჯგუფს, რადგან ოთახები ერთმანეთისაგან გაყოფილია ფიცრის თხელი კედლებით.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლები ტყეებს შორის არის მოთავსებული, სათბობი მასალით ისინი მაინც უზრუნველყოფილი არ არიან. სკოლებში არ არის საკმაო პარტები; თითო პარტაზე ზის ოთხი-ხუთი ბავშვი.

თითქმის არც ერთ სკოლას არ აქვს დამხმარე სასწავლო საგნები. იშვიათი მოვლენაა, თუ კედელზე დაინახავთ დახეულ რუკას. ჩვენ მიერ გამოკვლეულ სკოლებს შორის მხოლოდ ერთ შვიდწლედშია საკმაო დამაკმაყოფილებელი ფიზიკური კაბინეტი, მეორე სკოლას კი თვითონ დაუმზადებია საჭირო ხელსაწყოები.

სკოლებში ცოტაა წიგნები. ნორმალური მოვლენაა, როდესაც ათ ბავშვზე მოდის ერთი სახელმძღვანელო. უმეტეს შემთხვევებში სკოლებს არ აქვთ ბიბლიოთეკები. ერთ სკოლას აქვს 1300 წიგნი, მაგრამ ყველა რუსულ ენაზეა.

მასწავლებლების სიტყვებით, მათ ძვირფასი ნივთივით უფრთხილდებიან ცარცს და ჯიბით ატარებენ მას. ერთი შვიდწლედის გამგის სიტყვებით,—ამ შვიდწლედში სწავლობს 450 ბავშვი,—სამეურნეო ხარჯებისათვის წარსულ სასწავლო წელში სახალხო განათლების განყოფილებიდან მიღებული იყო მხოლოდ ერთი მანეთი.

სოფელი საჭიროებს ახალ სკოლას რომელიც ახლო უნდა იდგეს გლეხობასთან და გლეხთა მეურნეობასთან. ასეთია სასოფლო-სამეურნეო სკოლა. სკოლამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს აგრონომიული ცოდნის და აგრონომიულ პროპაგანდას. თითქმის ყველა სკოლები უზრუნველყოფილია მიწის ნაკვეთებით, არის საჩვენებელი ბაღის გაშენების და ახალი კულტურების შემოღების ცდები, მაგრამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ყველაფერი ეს ჩაკვდა. კავშირი სწავლებასა და სოფლის მეურნეობის შორის არ არის. იშვიათი გამონაკლისია შვიდწლედი ბ—ში, სადაც სკოლას აქვს სამი დესეტინა ხეხილის და დეკორატიული ბაღი, ამასთანავე სკოლის შტატში არის ერთი მებაღეც.

სუსტი კავშირია დამყარებული სახალხო განათლების სამაზრო განყოფილებასა და აგრონომიულ განყოფილების შორის.

სოფლის მასწავლებლები არ ეწინააღმდეგებიან ახალ პროგრამებს, ახალ შრომის სკოლას. მაგრამ ფაქტიურად პროგრამების გატარება ცხოვრებაში ძნელია, რადგან არ არის სახელმძღვანელოები, პედაგოგიური ლიტერატურა, ამას გარდა თვითონ მასწავლებლებს არ აქვთ საკმაო გამოცდილება და მომზადება. საჭიროა ისეთი პედაგოგიური ორგანო, რომელმაც უნდა შესძლოს სკოლის სადღეისო საკითხების გაშუქება; საჭიროა მოსკოვის „სახალხო მასწავლებლის"-ს ტიპის ორგანო. ჟურნალები „ახალ სკოლისაკენ" და „განათლების მუშაკი" ვერ ემსახურებიან და ვერ აკმაყოფილებენ მასწავლებლებს. პედაგოგიური განყოფილების შემოღებას „კომუნისტი"-ს ფურცლებზე შეუძლია დიდი სამსახურის გაწევა და არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ განსაკუთრებით განათლების ქვედა საფეხურის მუშაკები სიხარულით შეხვდებიან ამას.

ჯერჯერობით სკოლებში დარჩენილია სწავლების ძველი მეთოდები, უკეთეს შემთხვევებში შემოღებულია ექსკურსიები ჩვენი ქვეყნის შესწავლის მიზნით და გლინვა (лепка).

სწორი დასკვნა იქნება, თუ ვიტყვით, რომ სოფელში ჩვენ არა გვაქვს ძველი სკოლა, მაგრამ ჯერ კიდევ არა გვაქვს არც ახალი შრომის სკოლა. ეხლა შრომის სკოლა გარდატეხას განიცდის.

რამოდენიმე სიტყვა თვით მასწავლებლობის შესახებ.

არა მარტო ყრილობებზე და თათბირებზე, არამედ პროვინციაშიც, უშუალოთ სოფელშიაც საგრძნობია დიდი აღტყინება და აღფრთოვანება მასწავლებელთა შორის. უპირველეს ყოვლისა თვალში გეცემათ მასწავლებლობის მუშაობა, რომლის მიზანია პედაგოგიური კვალიფიკაციის და პოლიტიკური დონის ამაღლება. მასწავლებლები ჯგუფ-ჯგუფად გროვდებიან და სწავლობენ პოლიტიკურ ეკონომიას, ისტორიას, პედაგოგიკის საკითხებს და ერკვევიან მიმდინარე საბჭოთა-პარტიულ პოლიტიკაში.

მე დავესწარი ერთი ძველი გამოცდილი პედაგოგის გაკვეთილს. მან მშვენივრათ გამოიყენა კომპლექსიური მეთოდი თავისი რაიონის შესწავლის მაგალითზე. გაკვეთილის შემდეგ დაიწყო გაცხოველებული საუბარი მასწავლებლის ამხანაგებს შორის, რომლებიც მოვიდნენ მახლობელ სოფლებიდან.

მასწავლებელი თანდათან ებმება საზოგადოებრივ მუშაობაში. ის თავმჯდომარეობს გლეხკომში, მუშაობს კოოპერაციაში, მონაწილეობას იღებს სამკითხველოს მუშაობაში, მასწავლებელი-კომკავშირელი ხელმძღვანელობს პარტიულ წრეს და სხვა.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ მასწავლებლობამ შეიგნო ეხლანდელი ეპოქის მნიშვნელობა, ის თანდათან გრძნობს, რომ თავისი ყოველდღიური მუშაობით მას შეუძლია აქტიური მონაწილეთ გახდეს ახალი საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

მაგრამ, სამწუხაროთ, ყველგან და საკმაოთ ვერ არის დამყარებული სწორი თანამშრომლობა ჩვენს ორგანოებსა და მასწავლებლობის შორის.

ზოგან ჩვენმა ქვედა საფეხურის პარტიულმა ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს სოფლის ინტელიგენციის სავსებით გამოყენება. ჩვენს წინაშე ეხლა უდიდესი მნიშვნელობის ამოცანაა დასმული, ეს არის „კულტურული რევოლიუციის" მოხდენა, ამიტომ „საჭიროა სისტემატიურათ გაძლიერება მუშაობისა სახალხო მასწავლებლების დასარაზმავათ, რომ ისინი ბურჟუაზიული წესწყობილების დასაყრდენის მაგივრათ, რომელსაც ისინი წარმოადგენენ აქამდი ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში, გავხადოთ საბჭოთა წესწყობილების დასაყრდენათ, რომ მათი საშუალებით გლეხობა ჩამოვაშოროთ ბურჟუაზიას და დავუკავშიროთ პროლეტარიატს" (ლენინი).

გ. ხაჭაპურიძე.

სოციალური აღზრდის მთავარმმართველობის ოთხი წლის მუშაობა *)

საბავშვო გამომცემლობა

სკოლის რეფორმის სინამდვილეში გატარება და ნამდვილი შრომის სკოლის შექმნა აუცილებელ პირობათ გულისხმობს მთელ რიგს დამხმარე ფაქტორებისას, ურომლისოდ რეფორმა მარტო ქაღალდზე დარჩება.

ასეთ დამხმარე ერთ-ერთ ფაქტორად შესაფერი საბავშვო ლიტერატურა უნდა ჩაითვალოს.

ქართული საბავშვო მწერლობა საზოგადოთ ღარიბია და სიღარიბე სიღატაკემდე მივა თუ არსებულ მწერლობას მივუდგებით ახალი შინაარსის მოთხოვნილების თვალსაზრისით,—ისეთი შინაარსის, რაც შეეფერება განათლების სისტემას საბჭოთა აღმშენებლობაში, რაც შეეფერება საბჭოთა შრომის სკოლას.

ამ გარემოებამ მოითხოვა სოციალური აღზრდის მთავარმმართველობისაგან ლიტერატურო-სამხატვრო სექციის მოწყობა, რომლის დანიშნულებას შეადგენს გამოსადეგი საბავშვო ლიტერატურის დამუშავება და შექმნა. სექციამ 1921 წლის ივნისში დაიწყო მუშაობა; მისი მოღვაწეობა ორი მიმართულებით მიმდინარეობდა: საბავშვო ჟურნალების გამოცემა და მხატვრულ-მეცნიერული წიგნაკების გამოცემა. მიუხედავად იმისა, რომ სექციის განკარგულებაში მეტად მცირე ნივთიერი საშუალება მოიპოებოდა, მან მაინც შესძლო საქმის რიგიანად დაყენება და დღეს თვალსაჩინო მიღწევები აქვს. ყოველთვიური ჟურნალი გამოდის სამი: „წითელი სხივი", „ჯეჯილი", „ნაკადული" და სომხური: „კარმირ წილერ"; რაც შეეხება მხატვრულ-სამეცნიერო და პოლიტიკური შინაარსის ლიტერატურას, ამ დარგში დღემდე 60 სხვადასხვა სახელწოდების წიგნია გამოცემული; გამოცემულ ჟურნალების და წიგნების რაოდენობა, წლების მიხედვით, ასეა განაწილებული:

1921	წ. გამოცემულია	72,700	ცალი
1922	„ „ „ „	29,000	„
1923	„ „ „ „	85,000	„
1924	„ „ „ „	116,300	„
	სულ	303,000	ცალი

აქედან ქართულ ენაზე 275,000 ცალი, სომხურზე 26,200 ცალი და თათრულზე 1500 ცალი.

1921 წლის თითქმის მთელი გამოცემა უფასოდ დაურიგდათ სკოლებს, შემდეგი წლების გამოცემის მოზრდილი ნაწილიც უფასოდ მიეცათ, რაც მძიმე ტვირთად აწევა სექციას.

სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავათ დიდი საჭიროებისა, წიგნები და ჟურნალები ვერ აღწევს სოფლის სკოლამდე იმ შემთხვევაში, თუ უფასოდ არ მივაწოდეთ მთელს რესპუბლიკაში 1,716 შრომის სკოლა და საბავშვო დაწესებულებაა, ამათში ადგილობრივი ალმასკომები უწერენ თითო ცალს — ჟურნალს თუ წიგნს —მხოლოდ 670 სკოლას და დაწესებულებას, დანარჩენი 1.046 რჩება უწიგნოთ და უჟურნალოდ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საქართველოში შრომის სკოლებში და საბავშვო დაწესებულებებში სწავლობს 250.000-მდე ბავშვი, და იწერენ კი მხოლოდ 899 ცალს საბავშვო ჟურნალს, დავრწმუნდებით ზემოთქმულის ჭეშმარიტებაში,—რომ პროვინციის სკოლა სრულიად რჩება უწიგნოთ და უჟურნალოდ. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია: საჭიროა ადგილობრივმა ორგანოებმა მეტი ყურადღება მიაქციონ სკოლის მოთხოვნილებას და ის მაინც მოაწოდონ თავიანთ მაზრების სკოლებს, რასაც განათლების სახალხო კომისარიატი მეტად შეღავათიან ფასებში უშვებს.

სოციალური აღზრდის მთავარმმართველობის დიდ მიღწევად საბავშვო გამომცემლობის სფეროში უნდა ჩაითვალოს გაზეთ „მოწაფის ხმის" გამოცემა. გაზეთი ჯერ-ჯერობით ყოველკვირეულია: პირველი №-რი გამოვიდა ოქტომბრის რევოლიუციის შვიდი წლის თავზე—7 ნოემბერს. 1925 წლის იანვრამდე გამოვიდა 8 №-რი. სარედაქციო კოლეგია შესდგება თბილისის სკოლების მოწაფეთა წარმომადგენლებისაგან. მოწაფეების შეკავშირება, დარაზმვა და თანადროულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი აქტიურად ჩაბმა—ესაა გაზეთის დანიშნულება. მისი მუშაობის შედეგი უკვე თვალწინ გვაქვს: მოწაფეობა ამაღლდა, გამოცოცხლდა. გაზეთის ტირაჟი—3000 ცალია. მეტი რაოდენობა თბილისის გარეთ ვრცელდება. ეს გაზეთი—პირველი მაგალითია საბჭოთა რესპუბლიკების მთელს კავშირში.

სალიტერატურო-სამხატვრო სექციის მუშაობაში მხურვალე მონაწილეობას იღებს ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირი, როგორც მასალის შერჩევის, ისე ლიტერატურული თანამშრომლობის მხრივ. საბავშვო გამომცემლობის და ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობა საბავშვო ლიტერატურის შექმნა-ხელმძღვანელობაში თავდებია იმის, რომ ჩვენ ახალ სკოლას უზრუნველვყოფთ შესაფერი ლიტერატურით, რომელიც თავის შინაარსით და მიმართულებით ხელს შეუწყობს ახალი თაობის კომუნისტურ აღზრდის საქმეს.

სახელმწიფო-სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექცია

მიმდინარე აკადემიურ წელში სოციალური აღზრდის მთავარმმართველობის ერთ დიდ მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექციის შექმნა. აქამდის ყველა საკითხები, როგორიცაა სკოლის პრინციპები, პროგრამული, მეთოდიური, სახელმძღვანელოების და სხვა მუშავდებოდა და წყდებოდა ან თვით განყოფილებების გამგეების, ან ინსტრუქტორთა კოლეგიის და ან დრობით შეკრებილ კომისიების მიერ. ამ ორგანოთა ამა თუ იმ საკითხის გარშემო მუშაობა ატარებდა არა მთლიანი საქმის სისტემატიურ დამუშავების სახეს, არამედ მთლიანი მუშაობიდან ამოღებულ უფრო საშურ საკითხთა დამუშავება-გადაწყვეტის ხასიათს; ამის შედეგი იყო საერთო მუშაობის მიმართულების გაურკვევლობა და დაყოვნება. ავტორიტეტული და მთლიანი ორგანო იყო საჭირო, რომელიც ხელს მოჰკიდებდა სოციალური აღზრდის მთავარმმართველობის მთელ იდეურ მუშაობას და რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევდა ყველა განყოფილებათა მუშაობას და მათ ერთ მთლიან ჩამოყალიბებულ მიმართულებას მისცემდა. სწორედ ასეთ ორგანოს წარმოადგენს პედაგოგიური სექცია, რომელშიაც მუშაობენ სოციალური აღზრდის მთავარმმართველობის კოლეგიის ზოგიერთი წევრნი, გამოცდილი მეთოდისტები და სკოლაში უშუალოთ მომუშავე პრაქტიკოსი მასწავლებლები. სოციალური აღზრდის მთელი მუშაობის საკითხები ამ სექციაში იღებს გაშუქებას და შეფასებას. სექციის სათავეში დგას ბიურო, რომელიც ქვესექციათა თავმჯდომარეებისაგან შესდგება. ქვესექცია ხუთია: სასკოლო, სკოლის ასაკამდე, საბავშვო სახლების და უსახლკარო ბავშვთა, სახელმძღვანელო წიგნების და სამხატვრო-სალიტერატურო და პედაგოგიური განათლების. **სოციალური აღზრდის მთავარმმართველობა იმედოვნებს, რომ, როგორც უკვე მოკლე ხნის გამოცდილებამ დაგვანახვა, პედაგოგიური სექციის მუშაობა დიდათ ნაყოფიერი იქნება და ბევრ ახალს, ძვირფასს შეიტანს ჩვენი სკოლის ცხოვრებაში და ახალ მომუშავე ძალებს წამოაყენებს მომავალ მუშაობის გასაღრმავებლად და გასაღვივებლად.**

საინსტრუქტორო კოლეგია

ყველაზე უჩინარ და შეფასებისათვის ძნელ მასალას წარმოადგენს ინსტრუქტორთა ყოველდღიური და გამუდმებული მუშაობა. ინსტრუქტორი, მეტადრე გასაბჭოების პირველ წლეებში, იყო არამც თუ პედაგოგიური საკითხების გადამწყვეტი და გამტარებელი, არამედ მის მოვალეობას შეადგენდა სკოლების, ბავშვთა სახლების და ბავშვთა ბაღების სამეურნეო საქმეების მოწყობა-მოწესრიგებაც. ყველა ზემო აღნიშნული სასწავლო პროგრამების არამც თუ დამუშავებაში მონაწილეობის მიღება, არამედ მის გამოცემის ტეხნიკური მხარეც კი ინსტრუქტორთა უშუალო მონაწილეობას თხოულობდა.

მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსების პროგრამის გამომუშავება, თვით კურსების ხელმძღვანელობა, მეთოდიურ და პრინციპიალურ საკითხთა მოხსენებების და წერილობითი სახით გაშუქება, რესპუბლიკის სკოლების დათვალიერება და პედაგოგიური ხელმძღვანელობა, სახელმძღვანელოების გადათვალიერება და შეფასება, სხვადასხვა კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მიღება, პედაგოგიურ ჟურნალში თანამშრომლობა და სხვადასხვა პერიოდიულ გამოცემათა სარედაქციო კოლეგიებში მუშაობა—აი ყველა ის უჩინარი, მაგრამ მძიმე სამუშაო, რომლის გამტარებელნი იყვნენ და არიან ჩვენი ინსტრუქტორები.

სოციალური აღზრდის მთავარმმართველობის მოკლე ანგარიში არ იქნება სრული, თუ ბავშვთა უფლებრივ სოციალურ დაცვაზე არ ვიტყვით ამაზე შემდეგ.

მარიამ ორახელაშვილი.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. „კომუნისტი" № 71.

სწავლა-განათლების საქმე

დვაბზუს თემში (გურია)

ამ თემში არსებობს ორი შვიდწლედი და 5 ოთხწლედი. გლეხობა ძალიან ბეჯითად ეკიდება სწავლა-განვითარების საქმეს, აარსებენ სამკითხველოებს, აგებენ სკოლის შენობებს, სახალხო სახლებს და სხვა. ამ ჟამად დვაბზუს თემში 5 ქოხ სამკითხველო არსებობს. აგებენ დაბა ცხემლისხიდზედ დიდ სასკოლო და სახალხო სახლის შენობას.

სწავლა-განათლების ფრონტზე მხოლოდ ერთი გარემოება არის დვაბზუს თემისათვის სავალალო. გასულ წელს ამ თემის ორ სოფელში, დვაბზუში და უჩხობში, არსებოდა სახალხო უნივერსიტეტი, სადაც სოფლის მასწავლებლები უკითხავდენ გლეხობას ლექციებს სხვადასხვა დარგიდან. გლეხობა ძალიან დაინტერესებული იყო ამ საქმით. ბევრი ხალხი ესწრებოდენ ლექციებს. მუშაობამ სასურველი ნაყოფიც გამოიღო. წელს კი დვაბზუს თემის მასწავლებლობას მიეძინა და მოუსპეს გლეხებს ეს კულტურული დაწესებულება. საჭიროა გამოფხიზლდენ ხსენებული მასწავლებლები და ჩააბან სოფლის გლეხობა კულტურულ მუშაობაში.

ლუკა მაღლაფერიძე.

რეზოლიუცია

განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენების გამო

მიღებული საქართველოს საბჭოთა მესამე ყრილობის მიერ

1. სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოთა მესამე ყრილობამ, მოისმინა რა სახალხო განათლების კომისარის მოადგილის მარიამ ორახელაშვილის მოხსენება საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის 4 წლის მუშაობის შესახებ, სცნო იგი სავსებით დამაკმაყოფილებლად.

2. საბჭოთა წყობილების წინაშე დაყენებული ამოცანების განხორციელება სახალხო განათლების საქმის გაფართოება-გაღრმავებაზეა დამოკიდებული; თანადროულობის ძირითადი ამოცანები, როგორიცაა: სოფლის დაკავშირება ქალაქთან, წარმოების აღდგენა და განვითარება, მშრომელთა ფართო მასების საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობაში ჩაბმა და სხვ.—ამ ძირითადი საკითხების გადაწყვეტას იმდენად შევსძლებთ, რამდენადაც დავაჩქარებთ მთელი რესპუბლიკის მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებას.

ამ გარემოებით აიხსნება ის განსაკუთრებული ყურადღება, რომლითაც საბჭოთა ხელისუფლება სახალხო განათლების საქმეს უდგება; სახალხო განათლების სფეროში ახალი დარგების შექმნა,—ისეთი დარგების, რომლებსაც სრულიად არ იცნობდა ბურჟუაზიული წყობილება. როგორიცაა: სკოლის ასაკამდე აღზრდა, შრომის სკოლის ორგანიზაცია, უმწეო ბავშვთა აღზრდა, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, ფაბრიკო-საქარხნო სკოლები, სოფლის ახალგაზრდობის სკოლები, უმაღლეს სასწავლებლების პროლეტარიზაცია, ეროვნული კულტურის განვითარება და სხვა—ყველა ეს საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობის შედეგია. რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობის თანდათანობითი გაუმჯობესებასთან ერთად სახალხო განათლების საქმეც იზრდება როგორც ნივთიერად, ისე იდეურად.

3. მშრომელი ინტელიგენციის,—კერძოდ მასწავლებლების პროლეტარული რევოლიუციის დროშის ქვეშ გარკვეულად და მტკიცედ დადგომა განათლების საქმის განვითარებისა და ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდის მთავარი პირობაა, რაც განათლების კომისარიატის მიერ მთლიანად უნდა იქნას გამოყენებული.

4. რევოლიუციის პირმშო შვილის—მოსწავლე ახალგაზრდობის—ფართოდ ჩაბმა თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირისა და პიონერთა ორგანიზაციების სახით, სკოლის მუშაობას სრულიად ახალს და დიდმნიშვნელოვან ამოცანებს უყენებს.

5. სკოლის ასაკამდე აღზრდის დარგში სოფელს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს: საბავშვო დაწესებულება სოფელში კოლექტივისტური აღზრდის კერად გახდება, მოზრდილთა მოსახლეობის გადახალისება-გადამზადებას ხელს შეუწყობს და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ერთ-ერთი პირობათაგანი იქნება.

6. საბავშვო სახლთა მუშაობა, უმთავრესად, საქართველოს ჩამორჩენილ კუთხეების ბავშვთა მოსახლეობაზე უნდა გავრცელდეს, რათა ამ კუთხეებს სახელმწიფომ ისეთი კულტურული ძალები მოუმზადოს, რომლებიც დააჩქარებენ კუთხის ყოველმხრივ აღორძინებას.

7. სოციალური აღზრდის დარგში განათლების კომისარიატის ყურადღებისა და მზრუნველობის მთავარ საგანს მასიური სკოლა—ოთხწლედი—უნდა წარმოადგენდეს. მასიური სკოლის რიცხვობრივი ზრდა და მისი მუშაობის თავისობრივი გაუმჯობესება,—პირველ რიგში ეს ამოცანა უნდა იყოს დაყენებული.

ამ ამოცანის გადაწყვეტის ინტერესები მოითხოვს ცხრა წლედების რაოდენობის ზრდის გადაჭრით შეჩერებას.

8. ადგილობრივ ბიუჯეტში სახალხო განათლების ხარჯებს მნიშვნელობის შესაფერი ადგილი უნდა ეჭიროს: სკოლა როგორც ქალაქში, ისე სოფელში, ყოველ მიზეზს გარეშე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს რიგიანი ბინით, გათბობით, ტეხნიკური მომუშავით და აუცილებელი მოწყობილობით, ურომლისოდ წესიერი მუშაობა შეუძლებელია. ამის გარდა ყველა სკოლის განკარგულებაში უნდა იყო მიწის შემოღობილი ნაკვეთი, რომელზედაც შრომის სკოლამ თავისი მეურნეობა უნდა მოაწყოს.

9. რესპუბლიკის კულტურულ-ეკონომიური განვითარების ინტერესები გადაუდებლად მოითხოვს ყველა ტიპის და საფეხურის სკოლის ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებას, მათი მუშაობის წარმოების საფუძველზე დამყარებას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, სოფლის მეურნეობის პირობებში მომუშავე შრომის სკოლებში სასოფლო-სამეურნეო განხრის განხორციელების გადაუდებელი საჭიროება.

10. სკოლის ახალგაზრდობის სკოლის გავრცელება განათლების სახალხო კომისარიატის მორიგ ამოცანად უნდა იქნას აღიარებული.

11. ენერგიული ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა მომავალი სასწავლო წლისათვის ყველა ეროვნების სკოლა უზრუნველყოფილი იქნას ახალი სკოლისათვის შესაფერი სასწავლო სახელმძღვანელოებით. წინადადება მიეცეს სახელმწიფო გამომცემლობას ყველა საფეხურის სკოლებისათვის საჭირო დამხმარე მეცნიერულ-პოპულიარული და მხატვრული ლიტერატურის გამოცემის შესახებ.

12. პროფესიონალურ-ტეხნიკურ განათლების დარგში პირველი ადგილი სასოფლო-სამეურნეო სკოლების გავრცელებას და მათი მუშაობის ჯეროვანად დაყენებას უნდა დაეთმოს.

13. უმაღლეს სასწავლებლებში მშრომელი ელემენტების გაძლიერებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს; ამ სასწავლებლების მუშაობა რესპუბლიკის ეკონომიურ-კულტურულ მოთხოვნილებასთან უნდა იყოს შეფარდებული.

14. სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფილი უნდა იქნას ნივთიერი თუ იდეური ყველა პირობებით, რაც აუცილებელია მეცნიერული მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

15. პედაგოგიური განათლების მიზანშეწონილად და წესიერად დაყენება ახალი სკოლის შექმნის მთავარი პირობაა, სახალხო განათლების ეს დარგი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. აღსანიშნავია თურქ მასწავლებლების მომზადების აუცილებლობა, რისთვისაც შესაფერი პედაგოგიური სასწავლებელი უნდა გაიხსნას. მასწავლებელთა და პოლიტგანათლების მუშაკთა გადასამზადებელი მუშაობა უნდა გაფართოვდეს და მას მუდმივი ხასიათი მიეცეს; მიღებულ უნდა იქნას ზომები მასწავლებლებისათვის ახალი პედაგოგიური ლიტერატურის მისაწოდებლად.

16. გამოძებნილი უნდა იქნას ყოველგვარი საშუალება მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ შემდეგი ნაბიჯების გადასადგმელად.

17. განათლების კომისარიატის მიერ მიღებული უნდა იქნას ყოველი ღონისძიება არსებულ სკოლებში სწავლა-აღზრდის საქმის გასაუმჯობესებლად და სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად; აღსანიშნავია, რომ პროვინციის ცხრაწლედები ჯერ ვერ ამართლებენ თავის დანიშნულებას, ვინაიდან სათანადოთ მომზადებული პედაგოგიური შემადგენლობით და აუცილებელი სასწავლო ხელსაწყოებით არ არიან უზრუნველყოფილი.

18. ვინაიდან უახლოეს წლების განმავლობაში სკოლების ბუნებრივი ზრდა აუცილებელია, ამიტომ ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნას მიღებული როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენის დროს.

19. პოლიტგანათლების დარგში უნდა გაფართოვდეს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობა. პირველ რიგში ყურადღება მიექცეს ჯარში გასაწვევ ასაკის ახალგაზრდობას, აგრეთვე გაძლიერებული იქნას პოლიტგანმანათლებელი მუშაობა წითელი ჯარის ტერიტორიალურ ნაწილებში.

20. ყურადღების ცენტრალურ მომენტად დასახული უნდა იქნას სამკითხველო—წიგნთსაცავების გავრცელება სოფლად და მათი რიგიანად მოწყობა. ქოხ-სამკითხველო კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის ნამდვილსა და მთავარ კერას უნდა წარმოადგენდეს. მიღებული უნდა იქნას ზომები ყველა თემში ცენტრალურ წიგნთსაცავ-სამკითხველოს მოსაწყობად და მისი მუშაობის ისეთ დონეზე დასაყენებლად, რომ მას თემში პოლიტგანათლების მუშაობის ხელმძღვანელობა შეეძლოს.

21. თემის ცენტრალური წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგე ხელფასის მხრივ შრომის სკოლის პირველ საფეხურის მასწავლებლის მდგომარეობას უნდა დაუახლოვდეს და ამ მიზნისათვის ადგილობრივ ბიუჯეტში საჭირო ნივთიერი საშუალება იქნას გადადებული.

22. უკვე საკმაოდ განვითარებული ჩვენი კინო-წარმოება დღემდე მხოლოდ ქალაქებში ეწევა კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას, სოფელს ის ჯერ არც კი შეხებია. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მოძრავი კინოს ორგანიზაცია და მისი მუშაობის ფართოდ გადატანა სოფლად.

23. ყრილობა ავალებს ცაკის პირველ სესიას გადაჭრას ადგილობრივი სახალხო განათლების ორგანოს საერთო განყოფილებიდან გამოყოფის და მათი უშუალოდ სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმისათვის დაქვემდებარების საკითხი.

24. პოლიტგანათლება—განათლების სამაზრო ორგანოს განუყრელ ნაწილს შეადგენს და მასვე ექვემდებარება. განათლების სამაზრო ორგანო განათლების ერთ-ერთ ინსტრუქტორს აკისრებს პოლიტგანათლების ხელმძღვანელობას.

განათლების სამაზრო ორგანოს მუშაობის გასაღრმავებლად, მასთან სავალდებულოა ინსტრუქტორთა შტატის შექმნა, ყოველ შემთხვევაში—არა ნაკლებ ერთი სასკოლო ინსტრუქტორისა.

25. ბავშვთა მოსახლეობის ფიზიკურ განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

26. პროლეტარულ რევოლიუციის სულის ჩამდგმელის ამხ. ლენინის ანდერძის შესასრულებლად, რომელიც კომუნიზმის განხორციელების ერთ-ერთ მთავარ წინასწარ პირობად მშრომელი მასების განათლებას აღიარებდა—ამ ანდერძის შესასრულებლად საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ მის განკარგულებაში მყოფი ნივთიერი და იდეური საშუალების მაქსიმუმი უნდა მოახმაროს სახალხო განათლების ყველა დარგის განვითარებას და მშრომელი მასების კულტურული დონის ამაღლებას.

დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდათა ორგანიზაციების სალიკვიდაციო კრება ტფილისში

კვირას, 22 მარტს, მწერლების კლუბში შესდგა დემოკრატიული პარტიის (ეროვნულ-დემოკრ. და სხ., ახალგაზრდათა ტფილისის ორგანიზაციების წევრთა მრავალრიცხოვანი სალიკვიდაციო კრება, რომელსაც დაესწრენ, კომპარტიის წარმომადგენელი ამხ. გ. სტურუა; მუშათა კომისიის წევრები კუპრაშვილი, ვადაჭკორია და ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა წარმომადგენელი. კრებამ მოისმინა გ. სტურუას მოხსენება, მისალმებები მუშათა კომისიის წევრების, ყოფ. ახალგ. მარქსისტებისგან — აგრეთვე მოხსენება ტაქტიკის შესახებ ნიკ. დგებუაძის და საინიციატივო ბიუროსი — სალიკვიდაციო მუშაობის მიმდინარეობაზე. სათანადო რეზოლიუციის გამოტანის შემდეგ საერთო კრებამ საჭიროდ სცნო სალიკვიდაციო მუშაობის გადატანა პროვინციაში და მისი დასრულების შემდეგ ახალგაზრდ. ორგანიზაციების კონფერენციის მოწვევა ტფილისში. ამ მუშაობის ჩასატარებლად არჩეულ იქნა სალიკვიდაციო ბიურო 9 წევრის შემადგენლობით, რომელიც სისრულეში მოიყვანს კრების დადგენილებებს.

რეზოლიუცია ტაქტიკის შესახებ წაკითხულ მოხსენებაზე.

„გაერთიანებულ დემოკრატიულ პარტიის (ეროვნულ-დემოკრატიული, ეროვნული, რადიკალ-დემოკრატიული პარტიები და უპარტიოთა კავშირი) ახალგაზრდათა თბილისის ორგანიზაციების საერთო კრებამ მოისმინა რა ამხ. ნ. დგებუაძის მოხსენება ჩვენი ტაქტიკის შესახებ, გაითვალისწინა, რომ 1) 4 წლის ბრძოლამ, მიმართულმა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და გამოწვეულმა ერთი მხრით—საქართველოს პოლიტიკური პარტიების იმ დაუსებით, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის საოკუპაციო ხელისუფლება, უცხო ძალებით დამყარებული, რუსეთის საქართველოზე გაბატონების იარაღი და დიდი რუსეთის საკოლონიო პოლიტიკის გამტარებელი, მეორეს მხრივ— იმ იმედებით, რომ საქართველოს ეროვნული ძალების დამოუკიდებლობის დროშის ქვეშ გაერთიანებით და გამოსვლით და ევროპის სახელმწიფოების დახმარებით თითქმის უზრუნველყოფილი იქნებოდა საქართველოს განთავისუფლება და დამოუკიდებლობაც,—აგვისტოს დღეებში, გარდა იმისა, რომ მოითხოვა დიდი მსხვერპლი და მთელი ქართველი ერი დააყენა ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე.

2) ბრძოლის ასე დამთავრება ჩვენგან მოითხოვს საყოველთაოდ უარი ვსთქვათ ეროვნული ბრძოლის წინანდელ მეთოდებზე; ვაცხადებთ ყველას გასაგონათ, რომ არც ევროპის სახელმწიფოებს საფრანგეთ-ინგლისს და არც მეორე ინტერნაციონალს არ აინტერესებთ საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართველი ხალხის კეთილდღეობა, რომ ისინი სცდილობენ თვით საქართველოც გამოიყენონ თავისი ინტერესებისათვის; რომ ამ სახელმწიფოების და უფრო მეორე ინტერნაციონალის მხრივ, ქართველი ერის ბრძოლისათვის წაქეზება არის ქართველი ხალხის განადგურების პროვოკაცია და რომ ინტერვენციის, შინაური გართულების ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესების იმედები და სამოქალაქო ბრძოლის პერსპექტივები საზიანოა და დამღუპველი ხალხისა და საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებისთვის.

3) ჩვენი ახალგაზრდობა, რომელიც პარტიული პროგრამის ქვაკუთხედათ საქართველოს სახელმწიფოებრიობას აღიარებდა, არ შეიძლება ეწირებოდეს და იცავდეს იმ საქმეს, რომელიც ქართველი ერის ინტერესების საწინააღმდეგოთ არის მიმართული; პირიქით, მოვალეა მთელ ქართველ ხალხს ამცნოს თავის გულის ნადები, რაც შემდეგში მდგომარეობს: ყველამ იცნოს ის მთავრობა, რომელიც მეთაურობს დღეს საქართველოს და ყველა მხარში ამოუდგეს მას ალმშენებლობით მუშაობაში, რადგან ჩვენ გვინდა მუშაობა საქართველოსთვის და დღევანდელი, ნამდვილი საქართველო კი საბჭოთა საქართველოა.

4) საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წევრად ყოფნა უზრუნველყოფს საქართველოს სუვერენულ უფლებებს. მშვიდობიანი ცხოვრება, ნორმალური მდგომარეობის აღდგენა, მთლიანად საბჭ. კავშირის ეკონომიური მდგომარეობის აუცილებელი გაჯანსაღება და განმტკიცება საქართველოს გზას უხსნის კულტურულ-ეკონომიური და პოლიტიკური გამაგრებისა და განმტკიცებისაკენ.

5) ჩვენი აზრის ფართოდ გატანა ჩვენს პარტიულ წრეებში,—რაც მით უფრო ადვილია, რომ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი წრეები და ფართო მასები იზიარებენ ამ გზას,—საშუალებას მოგვცემს ჩვენი ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის დიდი ენერგია ჩვენი სამშობლოს საერთო ძალებით აყვავებას მოვახმაროთ.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, საერთო კრება დაუშვებლათ სთვლის ჩვენი პარტიის ახალგაზრდათა წრეების ყოველგვარ ფარულ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგოთ. აუცილებლათ მიაჩნია, რომ მთელი ჩვენი ახალგაზრდობის ძალღონე მიმართულ იქნას ყოველგვარ საალმშენებლო მუშაობაში, საბჭოთა მთავრობისათვის მხარის დაჭერაში და ამიტომ მოუწოდებს პარტიის იმ ახალგაზრდობასაც, რომელსაც აქამდი არ ჰქონდა საშუალება თავისი აზრის გამოთქმის, ენერგიულად აიღოს ხელში საქმე ჩვენი პოლიტიკის ამ გზით მიმართვისათვის, დადგეს საბჭოთა პლატფორმაზე და მშობელი ერის სამსახურს შეალიოს თავისი ცოდნა, დრო და ენერგია“.

ორშაბათს, 13 აპრილს, საღამოს 7 საათზე,
თბილისის ალმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში დანიშნულია

თბილისის კომსაბჭოს სხდომა

დღის წესრიგი: 1) მოხსენება ალმშენებლობის შესახებ.
2) მოხსენება სექციების ორგანიზაციის შესახებ.
3) მოხსენება საბჭოსა, ალმასკომისა და სექციების სხდომების დანაწილების შესახებ.
4) მიმდინარე საკითხები.

2—2. ნის. 1103. პრეზიდიუმი.

დღეს, 12 აპრილს, დილის 12 საათზე,
ფიზიკურ კულტურის უმაღლეს საბჭოს შენობაში (რუსთაველის პროსპექტი, ყოფილი სამხედრო სობორო)
გაიხსნება ამიერ-კავკასიის

ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა გამოფენა

გამოფენა ღიაა ყოველდღე დილის 11-დან 2 საათამდე და საღამოს 5-დან 8-დე
შესვლა თავისუფალია
რ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილება

თესვის კომპანიისათვის

საქართველოს რესპუბლიკის გლეხობას და ყველა სასოფლო, სათემო და სამაზრო გლეხკომებს

ძვირფასო ამხანაგებო!

— დადგა გაზაფხული, ხვნა-თესვის დრო მოახლოვდა. ყველა ბეჯითი და შრომის მოყვარე გლეხი ამ თავითვე უნდა შეუდგეს საქმეს და დროზე უნდა მოხნას და დათესოს თავის მიწები. დროზე დათესილი მამული იცოდეთ უხვ ნაყოფს გამოიღებს და ბეჯით მეურნე გლეხის შრომას შესაფერათ დააჯილდოებს. ზარმაც და ნებიერ ცხოვრებას დაჩვეულს (ნარდის, ბანქოს მოთამაშეს და მოქეიფეს) არ ეჩქარება, ის უმოქმედობაში ატარებს მთელ დღეებს და იმას არ გრძნობს, რომ ხვნა-თესვას თავის ამინდი მუდამ არ ექნება და სოფელში შარშანდელივით ამ ზარმაცი ხალხის მეოხებით ბევრი მიწები წელსაც დაუმუშავებელი დაგვრჩება.

სოფლის მეურნის მხრივ ამ გვარი დაუდევრობის გამოჩენა ჩვენ დიდ ბოროტებათ და დანაშაულათ მიგვაჩნია. ყველა ის მეურნე, რომელიც თავის მამულს დაუმუშავებელს დასტოვებს, არ არის ღირსი იყვეს მიწის პატრონი. სოფლად ისეთი ზარმაცი პირები, რომლებიც თავის დროზე არ დაამუშავებენ თავის მიწებს, ბოსტნებს, ყანებს და ბაღებს, გლეხკომებმა აღრიცხვაზე უნდა აიყვანონ და იშუამდგომლონ ასეთების შესახებ მთავრობის წინაშე, რათა მათ მიწები ჩამოერთვას.

საქართველოში არც ერთი ნაჭერი მიწა არ უნდა დარჩეს დაუმუშავებელი. არ დაივიწყოთ, ამხანაგებო, გაჭირვებული გლეხობა (რომლებსაც მუშა-საქონელი არა ჰყავთ), ქვრივობლები, ინვალიდები, ჯარში გაწვეული წითელარმიელთა ოჯახები და რომლებსაც თქვენი გლეხკომები მოგიწოდებთ მათ დასახმარებლათ, იმათაც დაეხმარეთ მიწების დამუშავებაში. იცოდეთ, ამხანაგებო, რომ გაჭირვებაში ჩავარდნას ყველა ჩვენგანი უნდა მოელოდეს და თუ დღეს ჩვენ დავეხმარებით, ხვალ ჩვენ დაგვეხმარებიან. მაშ, ამხანაგებო, ფხიზლად და ბეჯითად მოეკიდეთ თქვენ მუშურ-გლეხურ საქმეს. არ დაგრჩეთ დაუთესელი მიწები. შეერთებული, ამხანაგური შრომით ცრემლები ჩამოსწმინდეთ ქვრივებსა და ობლებს.

გაუმარჯოს შრომის ნაყოფიერებას.
გაუმარჯოს გლეხის მარჯვენას.

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარი და გლეხკომების ცენტრალური ბიუროს პრეზიდიუმის თავჯდომარე **კ. ხომერიკი**.
საქმეთა მმართველი **ი. ბახტაძე**.
1925 წელი, 8 აპრილი.

ნათესების მდგომარეობა

ნათესების და ბაღების მდგომარეობა აპრილის დამდეგს.

აპრილის დამდეგს ცენტ. სტატ. სამმართველოში მოსული ცნობებით: სიღნაღის, გორის და დუშეთის მაზრებში შემოდგომის ნათესების (ქერის და პურის) მდგომარეობა საშუალოზე მაღალია, დამაკმაყოფილებელია ჭვავი და პური ახალქალაქის მაზრაში, საშუალოზე მაღალია ქერის ნათესები თბილისის მაზრაში (პური საშუალოა).

სამხრეთ-ოსეთში პურის ნათესები—საშუალოა. ქერი და ჭვავი გამოურკვეველია.

ბაღების მდგომარეობა გორისა და ქუთაისის მაზრებში დამაკმაყოფილებელია, თბილისის მაზრაში—საშუალოზე მაღალია. ცუდია ვენახების მდგომარეობა ახალქალაქის და გორის მაზრებში, გამოურკვეველია თბილისის მაზრაში. დანარჩენ მაზრებში მდგომარეობა არ არის გამორკვეული.

აბრეშუმის თესლის საკითხი ჩვენში

ჩვენი მეაბრეშუმეობისათვის დიდ საკითხად უნდა ჩაითვალოს აბრეშუმის თესლის გრენის საკითხი. დღემდის, როგორც ჩვენ, ისე აზერბეიჯანს თითქმის მთელი საჭირო თესლი უცხოეთიდან შემოგვაქვს. გრენის იმპორტის ღირებულება საშუალოთ პარკის მოსავლის 20 პროცენტს შეადგენს. გარდა იმისა, რომ თესლის შემოტანას თან მოსდევს საგრძნობი თანხის უცხო ქვეყანაში გატანა, თვით შემოტანილი თესლის ხმარება ჩვენ მეაბრეშუმეობაზე დამღუპველად მოქმედობს.

აშკარაა, რომ თესლის ხარისხს დიდი მნიშვნელობა აქვს პარკის მოსავლისათვის. უცხოეთში ამ ფაქტს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. მაგალითად, იტალიაში და საფრანგეთში სპეციალური კანონი არსებობს, რომლითაც არავის არ აქვს უფლება მიყიდოს შინაურ მეაბრეშუმეთ ინდუსტრიალური ან შერეულის წესით ნამზადი გრენა. ამ ქვეყნებში მეაბრეშუმენი ხმარობენ მხოლოდ ცელიულიარულ გრენას. თუ ავიღებთ გრენის დამზადებას, ინდუსტრიალურად დასამზადებლად თესლი 3—10-ჯერ უფრო იაფი ჯდება ვიდრე ცელიულიარული წესით დამზადებული.

მეორეს მხრივ როგორც საფრანგეთში, ისე იტალიაში და ოსმალეთში ძალიან უხვად ამზადებენ ინდუსტრიალურ გრენას. ამზადებენ არა მარტო ჩამოყალიბებულ ნორმების სახით; თესლს ამზადებენ ათასობით კერძო შინა მრეწველი (უმთავრესად ოსმალეთში ბერძნები). ცხადია ასეთი გზით დამზადებული თესლი თავის ხარისხით ყოვლად მიუღებელია მეაბრეშუმეობისათვის.

ვინ იძენს ამ ნარევ უვარგის აბრეშუმის თესლს? მთელი ეს თესლი მზადდება საექსპორტოთ და უმთავრესათ ვიძენთ ჩვენ, აზერბეიჯანი, თურქესტანი, სპარსეთი და ყველა ის ქვეყნები, სადაც საკუთარი გრენა ნაკლებათ მზადდება.

ისეთი გრენიორებიც კი, როგორიც არიან, მაგ. პასხალიდი, ხანჯინი, გიტრინი და სხვა, რომლებიც დამზადებული თესლი ჩვენ უხვად შემოგვაქვს, ბოლო ხანებში გრენის უმეტეს ნაწილს ამზადებენ და იძენენ წვრილ შინა-მწარმოებელ გრენიორებისაგან.

საინტერესოა ერთი გარემოება: ადგილობრივ მეაბრეშუმეთ (იტალიაში, ოსმალეთში, საფრანგეთში) კოლოფი აბრეშუმის თესლი დაახლოვებით 5—6 მანეთი უჯდება. ჩვენი მეაბრეშუმეს ისევ იმ ქვეყნებიდან მოტანილი თესლი კოლოფი უჯდება 1 მ. 50 კ.—2 მან.

რა არის ამის მიზეზი? რომ ერთი და იგივე თესლი ეძლეოდეს ჩვენსა და ფრანგ მეაბრეშუმეებს, ცხადია, რომ ჩვენში თესლი საფრანგეთიდან მოტანილი ერთი მანეთით უფრო ძვირი მაინც უნდა ეღიროს, ესე იგი უნდა იყიდებოდეს 6—7 მანეთათ.

განსხვავება იმაშია, რომ ეს ქვეყნები თავიანთ მეაბრეშუმეთ აწვდიან საუკეთესო ხარისხის ცელიულიარულ გრენას, ჩვენში კი გვიგზავნიან ინდუსტრიალურ ან ნარევ თესლს.

ასეთ თესლს დიდი ზიანი მოაქვს მეაბრეშუმეობისათვის. ჩვენში კოლოფ თესლზე ძლივს მოდის საშუალოთ 1 ფუთი ანუ თექვსმეტი კილო პარკი. 1924 წელს ჩვენ დავარიგეთ 104.000 კოლოფი თესლი; შევკრიბეთ პარკი 81.000 ფ. სულ მოსავალი კი იყო არა უმეტეს 100.000 ფუთისა, ესე იგი კოლოფზე 15 კილო. უცხოეთში კოლოფ თესლზე იღებენ საშუალოთ 45—50 კილოს, ესე იგი მოსავალი სამჯერ მეტია, ვიდრე ჩვენში. ხშირად მოსავალი კოლოფზე 70 კილოსაც აღწევს. აქედან ცხადია, რომ მეაბრეშუმეთათვის დარიგებულ კოლოფების რაოდენობას კი არ აქვს მნიშვნელობა, არამედ თვით თესლის ხარისხს.

ჩვენში რომ ჰკის გამოკვება და უმთავრესად კი თესლის ხარისხი საღ ნიადაგზე იყოს დაყენებული, გასულ წელში დარიგებულ თესლიდან უნდა მიგვეღო მოსავალი არა ნაკლები 250,000 ფუთი პარკი, ე. ი. 150,000 ფუთი მეტი ვიდრე მივიღეთ, რაიც დაახლოვებით 3 მილიონ მანეთს ზედმეტს შესძენდა ჩვენს სოფლის მეურნეობას.

ზემოაღნიშნულიდან აშკარად სჩანს, თუ რამდენად დამღუპველია ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის უცხოეთიდან მოტანილი აბრეშუმის თესლი. უცხოეთის მეაბრეშუმეთა მთელი ყურადღება აქეთკენ არის მიქცეული, რომ რაც შეიძლება გაზარდოს მოსავლის რაოდენობა ერთ კოლოფ თესლზე; ჩვენში კი ამ საკითხს დღემდის ძალიან ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული. მხოლოდ წელს ცეკავშირმა ოდნავ გაუწია ანგარიში ადგილობრივ თესლის დამზადებას და დამდგომ სეზონისათვის ჩვენ თითქმის ჩვენი მოთხოვნილების 1 | 3 საკუთარ თესლით ვაკმაყოფილებთ.

აბრეშუმის თესლის დამზადების ადგილობრივ მოგვარება ეს გადუდებელ და უახლოეს პრაქტიკულ საჭიროებათ უნდა ჩაითვალოს.

თესლის დამზადების მოსაწყობათ არ არის საჭირო ცალკე წარმოებათა შექმნა. აქ შეიძლება მეტი დახმარება გაეწიოს კერძო ინიციატივას ვიდრე დღემდის უწევდით; დავეხმაროთ კერძო გრენიორებს გრძელვადიან კრედიტით, ინსტრუქტორული ძალებით და ამით შესაძლოა ერთი-ორი წლის განმავლობაში ადგილობრივი დამზადება მივიყვანოთ იმ დონემდე, რომ ადგილობრივი მოთხოვნილება სავსებით დავაკმაყოფილოთ.

თესლის დამზადების მოსაგვარებლად ჩვენ აუცილებლივ უნდა გამოვიყენოთ ერთი გარემოებაც.

გასულ წელს ცეკავშირთან დადებულ სპეციალური ხელშეკრულებით დაიწყო თესლის მზადება სამტრედიის რაიონში სოფ. ვანში უცხოელ იტალიანურ ფირმა „ჩიჩემ“. ეს ფირმა აწარმოებს ჯიშიან თესლის წინასწარ დარიგებას, ხელმძღვანელობას უწევს ჰკის გამოკვებას და ამით იღებს სრულიად საღ პარკს, რისგანაც ამზადებს ცელიულიარულ აბრეშუმის თესლს. მიუხედავათ იმისა, რომ ეს კერძო ფირმაა, ჩვენის აზრით, მას ხელი უნდა შეუწყოთ ამ საქმეში; სხვას რომ თავი დავანებოთ, დამზადებულ თესლის თითქმის მთელი ღირებულება მუშის ქირის სახით სავსებით ადგილობრივ რჩება, რითაც 200 მუშამდე შოულობს სამუშაოს. ფირმას მომავალ წლისათვის განზრახული აქვს დაამზადოს 50.000 კოლოფი თესლი. თუ ცოტათი ხელს შეუწყობთ, ერთი ამდენი შეიძლება დამზადდეს საბრეშუმო სადგურის და კერძო გრენიორების მიერ.

როგორც კერძოთ დამზადებულ ისე „ჩიჩეს“ მიერ დამზადებულ გრენაზე, ცხადია, უნდა ვიქონიოთ სასტიკი სახელმწიფოებრივი კონტროლი ჩვენი მთავარი საბრეშუმო სადგურის სახით. ეს კონტროლი არ უნდა გამოიხატებოდეს მარტო დამზადებულ გრენის ჩვეულებრივ გასინჯვით. საბრეშუმო სადგურმა კონტროლი უნდა გაუწიოს თვით გრენის დამზადების პროცესს.

საჭირო თესლის ადგილობრივ დამზადებით ჩვენ თავიდან ავიცილებთ გრენის უცხოეთიდან შემოტანას და შევძლებთ მივაწოდოთ მეაბრეშუმეთ საღი ხარისხის ცელიულიარული გრენა, რაიც საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ დარიგებულ თესლის მოსავლიანობა.

სპ. ჩომახიძე.

ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან

1925 წ. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მოკლევადიან [illegible] შინაურ სესხის გამოშვების შესახებ

თანახმად საბჭოთა კავშირის ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა, რომელიც გამოქვეყნებული იყო საბჭოთა კავშირის ცაკის და სრულიად რუსეთის ცაკის „უწყებებში“ ა. წ. 24 თებერვლის თარიღით, ფინანსთა კომისარიატი 1925 წლის უშვებს სახელმწიფო მოკლევადიან 5 პროცენტიან შინაურ სესხს.

სესხი გამოშვებული იქნება ერთი წლით 1925 წლ. 1 აპრილიდან 1926 წ. 1 აპრილამდე 10.000.000 მანეთის რაოდენობით; სესხის ობლიგაციები გამოშვებული იქნება 10 მანეთიანი, 50 მანეთიანი და 100 მანეთიანი.

სესხის ობლიგაციების გამოშვების ფასი დაწესებული იქნება 82 კაპეიკი ნომინალური ღირებულების 1 მანეთზე.

სესხის ობლიგაციებს დაემატება პროცენტები წლიურად 5 პროც. პროცენტების გადახდის ვადა წესდება წელიწადში ერთხელ სასწრაფო კუპონით 1925 წ. 1 ოქტომბრისათვის (ე. ი. გასულ 6 თვისა და მომავალ 6 თვისათვის).

სესხის ობლიგაციები და ობლიგაციებით დადებული ხელშეკრულება თავისუფლდება ყოველ გვარ საერთო სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახადებისაგან.

სესხის ობლიგაციები თავისუფლად შეიძლება გაიყიდოს და დაგირავდეს.

სესხის ობლიგაციები მიიღება საწინდრის სახით ყველა სახელმწიფოებრივ იჯარების და მიწოდებისათვის საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული კურსით.

სესხის ობლიგაციების დაფარვა მოხდება 1926 წლის 1 აპრილს ობლიგაციების მეპატრონეთათვის აღნიშნული ფასების გადახდით.

ხელისმოწერა დაიწყება 7 აპრილს და დამთავრდება 14 აპრილს.

სესხზე ხელისმოწერა მიიღება ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიული სოც. რესპუბლიკის შემდეგ დაწესებულებებში:

1) ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორაში და სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის ყველა ფილიალებში.
2. სამრეწველო ბანკის კანტორებში თბილისსა და ბაქოში.
3. სრულიად საკავშირო კოოპერატიულ ბანკის ამიერ-კავკასიის განყოფილებებში თბილისსა ბაქოსა და ერევანში.
4. საგარეო ვაჭრობის ბანკის განყოფილებებში თბილისსა და ბაქოში.
5. ამიერ-კავკასიის სასოფლო ბანკში და საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკებში.
6. თბილისის, ბაქოს და ერევანის კომუნალურ ბანკებში და მათ განყოფილებებში.
7. საურთიერთო კრედიტის საზოგადოებებში.
8. სახელმწიფო შემნახველ სალაროებში.

იმ შემთხვევაში, თუ ხელისმოწერამ გადააჭარბა სესხის ჯამს, ხელისმოწერის შემდეგ მოხდება „რაზვიორსტკა“, ამასთანავე პირველ რიგში დაკმაყოფილებული იქნებიან—500 მანეთამდე ობლიგაციებზე ხელმოწერილნი, მეორე რიგში—500—5000 მანეთამდე ხელმოწერილნი, და მესამე რიგში—ის პირნი, რომელთაც ხელი მოაწერეს ობლიგაციებს 5000 მანეთზე ზევით.

ნ. № 1066. 4—4

საგაზაფხულო მუშაობა სოფლად

კახეთი

ლაგოდეხის მეთამბაქოე გლეხები უკვე შეუდგნენ მიწის მოხვნას თამბაქოს დასათესად. მეთამბაქოეთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. გლეხებს აქეზებს და ამხნევებს ის გარემოება, რომ შარშან თამბაქოს კარგი მოსავალი იყო.

ქვემო იმერეთი

ქუთაისის მაზრაში გლეხები უკვე გავიდნენ ყანებში სამუშაოდ. ქუთაისის მაზრას აქვს სათესლე ფონდი საიდანაც დახმარება თესლით ეძლევა ყველაზე გაჭირვებულ გლეხებს.

ჯერ-ჯერობით თესლის დარიგება სწარმოებს 32 თემში.

ამასთანავე ქუთაისის მაზრაში დაიწყო ბრძოლა სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ. მაზრაში დაიარება სადეზინფექციო კამერა ვენახების და ხეხილის მოსარწყავად-საწამლებლად. აგრო-პერსონალი, რომელიც თან ახლავს სადეზინფექციო კამერას, აწარმოებს საუბარს გლეხობასთან სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა საკითხებზე.

სოფელ ვანის რაიონში კეთდება ბამბის მეურნეობის საცდელ-საჩვენებელი ყანა.

აფხაზეთი

აფხაზეთის თამბაქოს მეურნეობის რაიონებში თამბაქოს დასათესად შეუდგნენ მიწის ხვნას, კვალების გაყვანას თამბაქოს პლანტაციების გასაშენებლად და ინვენტარის მომარაგებას. მუშაობა იმდენად გაცხოველებულია, რომ მოსალოდნელია წელს თამბაქოს ნათესების მოედანის შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად გადიდება.

საველე მუშაობა დაიწყო ოჩემჩირის მაზრაშიაც. მაზრას არა ჰყავს აგრონომი, რომლის საჭიროება დიდია. დადგენილება აგრონომის მოწვევის შესახებ გამოტანილი იყო ჯერ კიდევ იანვარში, მაგრამ აგრონომი ჯერ არ მოუწვევიათ.

საქართველოს დამზღვევი ორგანოების წარმომადგენელთა მესამე კონფერენცია

მეორე სხდომა

სხდომა იხსნება ამხ. **ცომაიას** თავმჯდომარეობით. დაზღვეულთა საექიმო დახმარების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. **წულეისკირი**.

დაზღვეულთა საექიმო დახმარების მდგომარეობა საქართველოში

ამხ. წულეისკირმა თავისი მოხსენების დასაწყისში აღნიშნა დაზღვეულთა საექიმო დახმარების საქმის მდგომარეობა საქართველოში სოციალური დაზღვევის შემოღებამდე.

ამჟამათ დაზღვეულები სარგებლობენ შემდეგნაირი დახმარებით: 1) ამბულატორიული დახმარებით, 2) მწოლიარე ავადმყოფთა დახმარება საავადმყოფოებში და კლინიკებში, 3) ბინაზე მწოლიარე ავადმყოფთა დახმარება, 4) დახმარება წამლებით და ლაბორატორიული დახმარება, 5) დახმარება პროტეზებით, 6) აქიმობა ფიზიკური მეთოდებით და რენტგენის სხივებით.

ამბულატორიული დახმარება მთელს რესპუბლიკაში არის უფასო, ხელმისაწვდომი, კვალიფიციური და ყოველ დარგში სპეციალური ადგილობრივი ძალების მიხედვით, შეფარდებულია დაზღვეულთა თავისუფალ დროსთან.

მწოლიარე ავადმყოფებისათვის დახმარების გაწევის მიზნით რესპუბლიკის დიდ ქალაქებში არსებობს ჯანმრთელობის განყოფილებების საავადმყოფოები, სადაც პირველ რიგში დახმარებას უწევენ დაზღვეულებს.

ზოგიერთ ადგილებზე არსებობს დაზღვეულთათვის მიჩენილი საწოლები. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის ბევრ ადგილას დაიხურა საავადმყოფოები უსახსრობის გამო, ზოგიერთ საავადმყოფოებში კი არ არის სპეციალური საწოლები, როგორიცაა ქირურგიული და გინეკოლოგიური საწოლები. ეს ნაკლი თანდათან სწორდება.

შემდეგ მომხსენებელმა დაახასიათა საექიმო დახმარების თვითეული დარგის მდგომარეობა ცალ-ცალკე და აღნიშნა ის ნაკლი, რომელიც ახასიათებს ამ სფეროებში წარმოებულ მუშაობას.

საექიმო ქვე-განყოფილების მუშაობა

ამხ. წულეისკირის მოხსენების შემდეგ ამხ. **შალიგინი** მოხსენებას აკეთებს რესპუბლიკანური საექიმო ქვე-განყოფილების მუშაობის შესახებ.

თავისი მუშაობა საექიმო ქვე-განყოფილებამ დაიწყო წარსული წლის ივლისის მეორე ნახევარში.

განყოფილება უფასო საექიმო დახმარებას უწევდა დაზღვეულებს ყველა მაზრებში საერთო ამბულატორიებში, სადაც დაზღვეულებთან ერთად საექიმო დახმარებით სარგებლობდა დანარჩენი მოსახლეობაც. ეს დახმარება ქალაქებში შედარებით კვალიფიციური და სპეციალურია. სოფლათ საექიმო დახმარების საქმეს განაგებენ საექიმო დახმარების პუნქტების ექიმები, იქ კი, სადაც ექიმები არ არის—ფერშლები.

სტაციონალური დახმარება საავადმყოფოებში უმეტეს მაზრებში ფასიანია. საავადმყოფოები ვერ არის სათანადოთ მოწყობილი: არ არის საკმაო თეთრეული, ინსტრუმენტები, შენობები ხშირათ უვარგისია ანდა მოითხოვს კაპიტალურ რემონტს. საწოლები საერთო ხასიათისაა. არის მაზრებში, სადაც არ არის ქირურგი. რესპუბლიკაში სპეციალურათ დაზღვეულთათვის გამოყოფილია სამი საავადმყოფო: ერთი—„კამოს“ სახელობის - თბილისში, მეორე ტყიბულში და მესამე ჭიათურაში.

სახლში მწოლიარე ავადმყოფებს დახმარებას უწევენ მაზრის ყველა ექიმები. არის მაზრები, სადაც ქალაქებში ამ საქმისათვის გამოყოფილია სპეციალური ექიმი. ასეთი დახმარებით სარგებლობენ არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლებშიც. ქალაქებში, სადაც სცხოვრობენ სპეციალისტი ექიმები, დახმარებას სპეციალური ხასიათი აქვს, სოფლებში კი ამას ადგილი არ აქვს.

კამათი.

შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ გაიხსნა კამათი. ამხ. **ემელიანოვა** (აფხაზეთიდან) აღნიშნავს სოციალური დაზღვევის უდიდეს მნიშვნელობას მუშათა კლასისათვის და ხაზს უსვამს იმას, რომ ყველგან არ არის მჭიდრო კავშირი ცენტრსა და ადგილებს შორის.

ორატორი მიზანშეწონილად არ სთვლის საპენსიო საქმის კონცენტრაციას და დავალიანების ლიკვიდაციას ანდა პროცენტის დაკლებას, რადგან ამას, გარდა მატერიალური ზარალისა, მოაქვს აგრეთვე მორალური ზიანიც.

სითნიკოვი (აჭარიდან) აღნიშნავს, რომ ადგილები სცდილობენ დაიცვან ხარჯთაღრიცხვა, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევებში მაინც აქვს ადგილი ზედმეტ ხარჯებს. ამიტომ მომავალში ხარჯთ-აღრიცხვების დამტკიცების უფრო ფრთხილათ უნდა მიუდგეს სოციალური დაზღვევის სამმართველო. ორატორი მოითხოვს ინსტრუქტორების და კომისიების უფრო ხშირად გაგზავნას ადგილებზე.

ძიძაძე (სიღნაღიდან) აღნიშნავს, რომ მაზრებში ადგილი აქვს სიმულიაციას, მაგრამ ეს აიხსნება არა იმით, რომ საექიმო-საკონტროლო კომისიები ვერ სდგანან სათანადო სიმაღლეზე, არამედ იმით, რომ მაზრებში არ არის კვალიფიციური საექიმო დახმარება.

ჩიჩუა ეხება სოც. დაზღვევის საქმის მდგომარეობას ადგილებზე და აღნიშნავს, რომ მას აქვს დეფექტები, რაც გამოიხატება იმაში, რომ ალმასკომები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ამ საქმეს (ყველაზე უფრო დავალიანებული არიან ალმასკომები); მეორეს მხრივ, თვით დაზღვეულებს სათანადოთ შეგნებული არ აქვთ სოციალური დაზღვევის მიზანი და მნიშვნელობა.

აღნიშნული ამხანაგების გარდა, კამათში მონაწილეობა მიიღეს ჯავოშვილმა (ჭიათურიდან), პაატაშვილმა (თელავიდან), თურქიამ, ჯანგიევმა (ოსეთიდან), შავგავამ (აფხაზეთიდან) და სხვებმა.

სხდომა დაიხურა დღის 2 საათზე.

პარტიული ცხოვრება

პარტმუშაობა ოზურგეთის რაიონში

ოზურგეთის რაიონულ კომიტეტი ამჟამად აერთიანებს 30 კომუჯრედს, რომელშიც ირიცხება პარტიის 274 წევრი.

რაიკომის წინაშე დასახულ ამოცანებს შორის უმთავრესი ყურადღება ექცევა სოფლათ უჯრედებში მუშაობის გამოცოცხლებას. პარტიულ ამხანაგებში პოლიტიკურ ცოდნის ამაღლების მიზნით ყველა თემში დაკვრითი წესით სწარმოებს პოლიტწრეების მოწყობა. რაიკომის მიერ სოფლის უჯრედებზე მიმაგრებული არიან პასუხისმგებელი ამხანაგები. ქალ. ოზურგეთში უკვე დაარსებულია პოლიტსკოლა, სადაც ირიცხება 40 ამხანაგი და მეცადინეობა სწარმოებს სისტემატიურათ.

აქ აღსანიშნავია კიდევ ის გარემოება, რომ რაიონულ კომიტეტის მიერ მოწვეულ იქნა რაიონის კომუჯრედების ბიუროთა გაფართოებული თათბირი, რომელზედაც დღის წესრიგში განსახილველათ იდგა შემდეგი საკითხები:

რაიკომის მუშაობის ანგარიში, მოხსენებები ადგილებიდან და სოფლათ პარტმუშაობის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ალ. დუმბაძე, რომელიც აღნიშნავს, რომ წინათ ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული სოფლათ უჯრედებში მუშაობას, ამჟამად კი, პირიქით, პარტიის და ხელისუფლების მთელი გულის-ყური გადატანილია ამ საკითხის სათანადო მოსაგვარებლათ, ხოლო ყოველივე დეფექტები თავიდან იქნება აცილებული მაშინ, თუ ჩვენ გამოვიჩენთ ენერგიის მაქსიმუმს და ერთსულოვნათ, შეერთებული ძალღონით დავიწყებთ ამ მიმართულებით მუშაობას.

ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენების შემდეგ გამოირკვა, რომ ადგილობრივათ პარტმუშაობა მოისუსტებდა, ხშირი ყოფილა შემთხვევა პარტდისციპლინის დარღვევისა და სხვ. აშკარათ უნდა ითქვას, რომ თათბირმა მოგვცა დიდძალი მასალები, რაიც ჩვენგან მოითხოვს დიდ მუშაობას აღნიშნულ ნაკლულევანებათა აღმოსაფხვრელათ.

დასასრულ სოფლათ პარტმუშაობის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. გ. კვაჭაძე. მომხსენებელმა აღნიშნა მრავალი დეფექტები და ვრცლათ გააშუქა მომავალი მუშაობის გეგმა, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს სოფლათ კომუჯრედების მუშაობა.

უნდა ითქვას, რომ ამ თათბირმა ისეთი კარგი შთაბეჭდილება დასტოვა და საქმიანიც გამოდგა, რომ სამაზრო კომიტეტმა ახლო მომავალში აუცილებლათ უნდა მოიწვიოს ამნაირივე თათბირი ყველა რაიონებში.

ამასთანავე თათბირმა სურვილი გამოსთქვა, რომ ასეთი საქმიანი თათბირები ყოველ სამ თვეში ერთხელ მაინც იქნას მოწვეული.

ოზურგეთში არსებობს აგრეთვე ა. ლ. კომკავშირის რაიონული კომიტეტი. რაიონში არის კომკავშირის 27 უჯრედი 690 წევრით, ამათ შორის 110 ქალია. ადგილობრივ კომკავშირის ორგანიზაციას სოფლათ აქვს ოთხი პოლიტწრე, ქალაქში 3 პოლიტიკური სკოლა, რომელიც დაყოფილია სამ კატეგორიათ.

საერთოდ კომკავშირი თავის რიგებში აწარმოებს დიდ ენერგიულ მუშაობას, რათა სოფლათ უჯრედებში დაყენებული იქნას მუშაობა სათანადო სიმაღლეზე და კომკავშირელების პოლიტიკური განვითარების დონე ამაღლდეს.

ვ. ბარამიძე.

კომუჯრედის № 49

ამას წინად შესდგა საბჭოთა პარტსკოლის კომუჯრედის მორიგი ღია კრება, რომელსაც დაესწრენ უპარტიო ამხანაგებიც. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: მოხსენება კომინტერნში შემავალ პარტიების ბოლშევიზაციის შესახებ, პარტიაში მიღება და მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდნენ ამხ. ამხ. პონარენკო და პოლოსოვი, რომლებმაც ვრცლად დაახასიათეს მე-2-ე ინტერნაციონალის მუშათა კლასის ღალატი და გამცემლობა, თუ როგორ იშლება და იხრწნება მისი რიგები. შემდეგ აღნიშნეს კომინტერნის წარმოშობის მიზეზები, მისი თანდათანობითი ზრდა-განვითარება და მისი მნიშვნელობა საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობაში.

„კომინტერნის სექციების ბოლშევიზაცია—ხაზი გაუსვეს მომხსენებლებმა—დღეს ერთად-ერთი პირობაა პროლეტარული მასიური მოძრაობის შესაქმნელად და მშრომელ მასების დასარაზმავად ლენინიზმის დროშის ქვეშ“-ო.

ზოგიერთი შეკითხვების შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

შემდეგ ამხ. როსიაძემ წაიკითხა ამხ. გარბუნოვის და ბალიაშვილის ანკეტა პარტიაში მიღების შესახებ. სათანადო აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ უჯრედი ამხ. გარბუნოვს ამტკიცებს პარტიის კანდიდატათ საერთო წესით, მხოლოდ ამხ. ბალიაშვილს პარტიის ნამდვილ წევრად.

დასასრულ კრების მიერ არჩეულ იქნენ დელეგატები რაიონულ კონფერენციაზე დასასწრებლად.

პარტკორი **გოგოლაშვილი**.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ქ. სურამის კომკავშირის უჯრედი

ზემოხსენებული უჯრედი აერთიანებს 60 მეტს ამხანაგს.

ამას წინად შესდგა უჯრედის მორიგი სხდომა. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: სოფლად სამეურნეო მუშაობის გაჩაღება, გაზ. „სპარტაკი“-ს გავრცელება, დელეგატის გამოყოფა ადგილკომში გასაგზავნად და მიმდინარე საკითხები.

გაკეთებულ მოხსენებებიდან გამოირკვა, თუ რა ღონისძიებანი უნდა იქნას ნახმარი, რომ ადგილობრივმა კომკავშირის ორგანიზაციამ მხურვალე მონაწილეობა მიიღოს სოფლად სამეურნეო მუშაობის გაჩაღების საქმეში, როგორ და რა გზით შესაძლებელი უნდა გახდეს გაზ. „სპარტაკი“-ს გავრცელება ფართე მშრომელ გლეხურ ახალგაზრდობაში და სხვ.

შემდეგ გამოყოფილი იქნა ერთი დელეგატი ადგილკომში სამუშაოთ ახალგაზრდობის ეკონომიური ინტერესების დასაცავად.

დასასრულ მიმდინარე საკითხებიდან წამოიჭრა ერთი საყურადღებო კითხვა, რომელიც შეეხებოდა კომკავშირის ორგანიზაციის გაწმენდას იმ ელემენტებისაგან, რომლებიც არ ემორჩილებიან კავშირის დისციპლინას და ყოველ ფეხის ნაბიჯზე სახელს უტეხენ კომკავშირს და ჩირქს სცხებენ მას.

პარტკორი **გოგვაძე**.

ამხ. მიხა ინაშვილის ხსოვნას

10 აპრილს მოხდა ამხ. **მიხა ინაშვილის** დაკრძალვა, რომელიც მოკლული იქნა ყაჩაღ ბანდიტების მიერ 8 აპრილს სოფელ ზეიდლიანთ კარში.

ვინ იყო ამხ. მიხა ინაშვილი? ამხ. მიხა იყო კომუნისტურ პარტიის დუშეთის ორგანიზაციის ერთი საუკეთესო წევრი, რომელიც მუდამ იდგა რევოლიუციის სადარაჯოზე და თავისი თავდადებული მუშაობით და საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულით ყოველთვის მაგალითის მაჩვენებელი იყო მომავალი ახალგაზრდობისათვის. ამხ. მიხა ბევრჯერ იყო დევნილი ბანდიტ მენშევიკების მიერ, მაგრამ მიუხედავად ამისა ის მაინც მედგრად და თავდადებულად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

გასაბჭოების შემდეგ ის უფრო გაათკეცებული ენერგიით მუშაობდა პარტიის და მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ. ამხ. ინაშვილს მშრომელი გლეხკაცობა ყოველთვის ირჩევდა საბჭოში, როგორც საიმედო და პატიოსან პიროვნებას. ის ორჯერ იყო არჩეული ალმასკომის თავმჯდომარედ და მის მოადგილეთაც ჰოპორტის რაიონში, სადაც პირნათლად ასრულებდა ყველა დავალებებს.

მას დარჩა შესანახი ცოლი და 4 პატარა ბავშვი. დუშეთის პარტიულ კომიტეტმა თავის თავზე იკისრა ამხანაგის დაკრძალვა. დაკრძალვაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ფართე მშრომელმა მასებმა სამგლოვიარო დროშებით და მრავალი გვირგვინებით. წარმოთქმული იყო სიტყვებიც, რომლებშიაც ორატორები წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ ყაჩაღ-ბანდიტებს, რომლებიც ვერ შერიგებიან მშრომელი ხალხის ხელისუფლებას და ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ მშრომელი ხალხის რისხვას ვერ გაექცევიან ის ავაზაკი მენშევიკები, რომლებიც ქურდულად ასაფლავებენ ჩვენს პატიოსან მუშაკებს.

მშვიდობით ამხ. მიხა! შენ პირნათლად მოიხადე შენი მოვალეობა მშრომელი ხალხის წინაშე. შენი ხსოვნა დუშეთის მშრომელ გლეხკაცობაში დაუვიწყარი იქნება, ჩვენ კი მოვალენი ვართ აღვზარდოთ და უპატრონოთ შენს ობლებს.

ლ.—შვილი.

საინფორმ. ცნობ-განყოფილების
კომპლექტი

ზაქარია ფალიაშვილი

(მუსიკალური მოღვაწეობის 30 წლის შესრულების გამო)



არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ყოვლის მხრივ განათლებული და ამასთანავე წყნარი მუსიკალური მოღვაწე ერთბაშად ცნობილ კომპოზიტორად გახდა არა მარტო საქართველოში, არამედ საქართველოს გარეთაც; ვინ არ იცნობს ეხლა საქართველოში ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილს, პირველი ქართული ნაციონალური ოპერის ავტორს.

ზაქარია ფალიაშვილი დაიბადა ქუთაისში. ბავშვობა და ახალგაზრდობა მან სამშობლოში გაატარა, სადაც მუდამ ლუკმა პურზე ზრუნვა უხდებოდა, რადგან ფალიაშვილების ოჯახი მძიმე მატერიალურ მდგომარეობას განიცდიდა.

ზაქარია ფალიაშვილმა ბავშვობიდანვე გამოიჩინა მუსიკალური ნიჭი, რომელიც შემდეგ ვითარდებოდა ზაქარიას უფროსი ძმის—ვანოს გავლენით. პირველ ხანებში ზაქარია დაინტერესებული იყო საეკლესიო მუსიკით, მაგრამ შემდეგ ის შევიდა თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში, სადაც მიიღო მუსიკალური განათლება.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ზაქარია მიემგზავრება მოსკოვში და შედის კონსერვატორიაში—ცნობილ პროფესორ ტანეევის კლასში, სადაც ის სწავლობდა კომპოზიციის თეორიას და საერთოდ თეორიულ მუსიკალურ საგნებს.

კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ—1903 წელში ზაქარია დაბრუნდა თბილისში და იმ წელშივე მიწვეული იქნა თეორიული საგნების მასწავლებლათ მუსიკალურ სასწავლებელში და მუსიკის მასწავლებლათ ქართულ გიმნაზიაში.

იუბილიარის მთელი მუსიკალური მოღვაწეობა მიმდინარეობდა მუსიკალურ სასწავლებელში, რომელიც 1917 წელში გადაკეთებული იქნა კონსერვატორიათ; აქ ზაქარია იყო ჯერ ინსპექტორად, შემდეგ რექტორათ და აქვე მიიღო პროფესორის ხარისხი.

გარდა პედაგოგიურ მოღვაწეობისა, იუბილიარი მუსიკალურ-კულტურულ მუშაობასაც ეწეოდა: ის აგროვებდა ქართულ ხალხურ მელოდიებს და ცალკე კრებულებათ სცემდა მათ. მისი ნაწარმოებები ამ დარგში ძვირფასი განძია ქართულ მუსიკალურ ლიტერატურაში.

ზაქარიას კომპოზიტორული ნიჭი გამოაშკარავდა მის პირველ ქართულ ნაციონალურ ოპერაში—„აბესალომ და ეთერი“; ოპერა დადგმული იყო მუსიკის მოყვარულთა ძალებით და მხოლოდ აბესალომის პარტია შეასრულა (და შექმნა) ცნობილმა ვანო სარაჯიშვილმა. შემდეგში ზაქარია ფალიაშვილმა ეს ოპერა გადაამუშავა და საბოლოო ფორმით ის სახელმწიფო ოპერის სცენაზე დადგმული იყო 1919 წელში. ხუთი წლის განმავლობაში ეს ოპერა დადგმული იქნა 140 ჯერ, რაც პირველი მაგალითია თეატრების ისტორიაში.

ამრიგათ, კომპოზიტორულმა მოღვაწეობამ მეორე პლანზე ჩამოაყენა იუბილიარის მოღვაწეობის ყველა დანარჩენი დარგები და ის უნდა ჩაითვალოს პირველი ქართული ეროვნული ოპერის შემქმნელათ და ქართული საოპერო შემოქმედების ნათელი შენობის საძირკვლის ჩამყრელათ.

მისი შემდეგი ოპერა იყო „დაისი,“ რომელიც დაიწერა 1923 წელს და იმავე წელში დადგმული იქნა საოპერო თეატრის სცენაზე „დაისი“-ც ისეთივე პოპულიარულია საზოგადოების ფართო წრეებში, როგორც „აბესალომ და ეთერი“.

ამ ჟამათ იუბილიარი ინტენსიურათ მუშაობს და ახლო მომავალში მოგვცემს მესამე ოპერას, რომლის სიუჟეტი აღებულია შანშიაშვილის დრამიდან „ლატავრა.“

ვ. ბ.

ქრონიკა

— ვინაიდან ქ. მე 3-მე საავადმყოფო საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას, ხოლო თბ. აღმასკომის მიერ გადადებული 8,000 მან. საკმაო არ არის, აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა გამოითხოვოს სახ. კომისართა საბჭოსაგან 25,000 მან. აღნიშნული მიზნისათვის, რადგან ამ საავადმყოფოს აქვს რესპუბლიკანური ხასიათი.

— **ღარიბ მოქალაქეთათვის** კერძობრივ დახმარების გასაწევათ თბ. აღმასკომმა თავმჯდომარის განკარგულებაში ყოველთვიურად გადასდო 500 მან.

— **საადგილ-მამულო** განყოფილებამ მაზრაში მუშაობის გასაცხოველებათ, მიიწვია ორი მიწისმზომელი და ერთი აგრონომი.

— **მცხეთის კლუბის შესანახათ** თბ. აღმასკომმა გადასდო 884 მან.

— **საფოსტო კავშირი სვანეთთან.** ფ.-ტელეგრაფის კომისარიატი სვანეთში ხსნის 5 ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას ბეჩოში, მესტიაში, კაიტიდში, დეუსტოში და ლახამულში.

— **სრ. საქართველოს გლეხკომების** ყრილობა გაიხსნება თბილისში 30 აპრილს.

— **ახალი საბინაო-საიჯარო** ამხანაგობა დაარსდა ლერმონტოვის ქუჩაზე.

— **დასასვენებელ სახლებში.** მუშა-მოსამსახურეების გასაგზავნ წინასწარ მუშაობას დამზღვევი კასა უკვე შეუდგა.

— **ექიმების მისაწვევი ორდერი** დაზღვეულს შეუძლია ექიმს ჩააბაროს 3 დღის განმავლობაში.

— **დასახიჩრებისაგან დროებით შრომის** უნარ დაკარგულებს დამზღვევ კასამ მარტში დახმარების სახით მისცა 1022 მან.

— **„განათლების მუშაკის“ კორესპონდენტების კრება.** სამშაბათს, 14 აპრილს, საღამოს 8 საათზე განათლების მუშაკთა სახლში დანიშნულია ჟურნალ „საქართველოს განათლების მუშაკის“ კორესპონდენტების კრება.

— **„ფიზიკური კულტურა“.** გამოვიდა პირველი ნომერი ფ. კ. უ. ს. და პროფკავშ. კულტ. განყ. ჟურნალი „ფიზიკური კულტურა“. ჟურნალი დასურათებულია, შეიცავს 24 გვერდს და ღირს 30 კაპ.

— **თეთრეულობა პროვინციისათვის,** დაზღვეულთა დამხმარე ჯანსახკომის განყოფილებამ დაზღვეულთა დახმარების გასაუმჯობესებლათ 10 ღარიბ მაზრას გაუგზავნა 200 საწოლის თეთრეულობა.

— **საქ. საგ. კომისიაში ჯანსახკომმა** წარადგინა 35,000 მან. ხარჯთაღრიცხვა სულით ავადმყოფთა სამკურნალოს, ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტის და მთავარ საავადმყოფოს მუშაობის გასაფართოებლათ.

— **ტრაქტორების მოთხოვნილება.** ა|კ. სახ. ვაჭრობის კომისარიატის ცნობით ა|კავკასიაში ამჟამად დიდი მოთხოვნილებაა ტრაქტორებზე.

— **პარკის სახმობი მანქანები.** 13 აპრილს ბათომში მოელიან იტალიიდან პარკის სახმობ ახალ სისტემის მანქანებს.

— **ხელახალი აღრიცხვის შედეგები.** იმ 6131 უმუშევარისაგან, რომელთაც არ ეძლევით ფულადი დახმარება, ხელახალი აღრიცხვის შემდეგ, აღრიცხვაზე დარჩა 1,387 უმუშევარი.

— **საკავშირო შრომის ინსპექტორთა ყრილობაზე** შრომის კომისარიატი თავის წარმომადგენლად გზავნის ამხ. გაბუნიას.

— **ბორჯომის** დასასვენებელ სახლებში სოც.-დაზღვევის სამმართველო ზაფხულში გააგზავნის 750 დაზღვეულს.

— **მივლინებები.** საქ. მ.|გ. ინსპექციამ დაადგინა ა|კ. საკანტროლო კომისიაში ა|კ. მ.|გ. ინსპექციაში გადაიტანოს საკითხი მივლინებების შესახებ.

— **უბედური შემთხვევები.** შრ. სახ. კომისარიატმა შრომის დაცვის განყოფილებას დაავალა შეისწავლოს წარმოებებში უბედურ შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები, სათანადო ზომების მისაღებათ.

— **სოფლის მუშაკთა დაზღვევა.** სოც. დაზღ. სამმართველომ გადასწყვიტა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ მუშაკთა და უმეტესად მოჯამაგირეთა და მწყემსების დაზღვევის საქმეს.

— **რესპუბლიკის საავადმყოფოებში** გასულ წელს გაიარა 11,722 ავადმყოფმა.

— **წარმოკავშირს** განზრახული აქვს მიმდინარე წელს დაამზადოს 10 ათასი ფუთი ქართული ყველი.

— **თამბაქოს დამზადება.** წარმოკავშირი შეუდგა გურიაში 5000 ფ. თამბაქოს დამზადებას.

— **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** კვირას, 12-ს აპრილს, საღამოს 7 საათზე, თბილისის პოლიტეხნიკურ სასწავლებელში (კამოს ქ. № 70) შესდგება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების სხდომა, რომელზედაც ინჟ. ბ. ჰეჭინაძე წაიკითხავს მოხსენებას: „ვოლხოვის ჰიდროელსადგური“.

— **სადგურის ქუჩის** გაგრძელება პირდაპირ პლეხანოვის პროსპექტამდის უკვე დამთავრდა, ტრამვაის ლიანდაგიც გაყვანილია. ეხლა ტრამვაის მოძრაობა პლეხანოვის პროსპექტიდან სადგურამდის სწარმოებს ამ ახალი ქუჩით ნაცვლად პიროჯოვის ქუჩისა.

მუშათა ცხოვრება

გაგვიხსენით პატარა სავაჭრო განყოფილება.

(მუშკოოპის და „ზაკტპო“-ს საყურადღებოდ).

ლენინის უბანში ხუდადოვისა და რუსთველის ქ. ბოლო ბლომად არის დასახლებული მუშებით. აქვე არის „მაიდანი“, ხოლო არ არის სავაჭრო, სადაც შეეძლებოდეს მუშას იყიდოს, შეიძინოს ოჯახისათვის საჭირო საგნები და მათ უხდებათ შორს სიარული.

საჭიროა მუშკოოპმა ან „ზაკტპო“-მ იდვას თავზე და გახსნას აქ პატარა დუქანი, რისთვისაც კარგი შენობებიც მოიპოვება აქვე და რითაც დიდ სამსახურს გაუწევს მუშებს.

ამავე უბნის მუშების დავალებით
მუშკორი **ლანტკურელი.**

უნდა აკრძალოთ.

(სად. თელავის მილიციის საყურადღებოდ).

სადგურ თელავში არის სამიკიტნო, რომელშიაც ყოველ საღამოთი იმართება დომინოს თამაში. მუშები შედიან შიგ საუზმისათვის, მაგრამ იწვევენ მათ დომინოს სათამაშოდ და მუშას თუ აქვს ჯიბეში ერთი კაპიკი, იმასაც იქ სტოვებს და გამოდის ცარიელი. ამ დუქანში არის მოსული ვიღაც უცხო პირი რომელიც ძალიან მისდევს დომინოს თამაშს, ეს ვაჟბატონი და საწყობის მუშა თამაშობდენ ფულზე დომინოს. აქ ამ ნიადაგზე დიდ ჩხუბს და აურ-ზაურს აქვს ადგილი.

საჭიროა ამ გარყვნილების ბუნაგს ბოლო მოეღოთ.

კომკავშირელი **ს—ნიძე.**

ფხიზლად მოუარეთ ხელსაწყო იარაღებს

(მუშა-ხელოსნების საყურადღებოდ).

რკ. გზ. მთავარ სახელოსნოებში არსებობს იარაღის საგამცემო განყოფილება, საიდანაც მუშა-ხელოსნები სარგებლობენ ხელსაწყო იარაღებით. მაგრამ ის მუშა-ხელოსნები მეტად დაუდევრად ექცევიან ამ საქმეს, იარაღს დროზე არ უბრუნებენ, წლობით იჭერენ. საიარაღო მარაგებს კარგავენ, რასაც დიდი ზარალი მოაქვს წარმოებისათვის და თვით მუშებისათვისაც.

საჭიროა მუშები მეტად შეგნებულად მოექცნენ თავიანთ მოვალეობას.

მუშკორი **ზიხელი.**

ერთი მატარებელი უნდა მოუმატოთ

(რკ. გზის სამმართველოს საყურადღებოდ).

საჭიროა კახეთის რკ. გზაზე მიემატოს ერთი მატარებელი კიდევ, რადგან მგზავრები მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან უადგილობის გამო. ხშირად რჩებიან წაუსვლელები, ან თუ დარჩენა არ შეუძლიათ და ბილეთებს კი არ ჰყიდიან, მიდიან უბილეთოდ და აჯარიმებენ.

საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და მიღებულ იქნეს სათანადო ზომები.

მუშა **ს. ფუნგიაძე.**

საჭიროა მეტი სისუფთავე!

ვისაც ჰქონებიათ შემთხვევა ესადილოს პროფკავშირთა სასახლის ქვედა სართულში მოთავსებულ სასადილოში, ალბად ყურადღებას მიაქცევდა ჩასავალში მოთავსებულ ფეხსალაგს, საიდანაც ისეთი სუნი გამოდის, რომ ერთ წუთსაც ვერ გასძლებს ადამიანი. წარმოუდგენელია, რომ ეს მდგომარეობა აქამდე ასე უყურადღებოდ არის მიტოვებული.

ნუ თუ ამოდენა შენობაში არ არის სანიტარული კომისია და თუ არის, რად არ ასრულებს ის თავის პირდაპირ დანიშნულებას?

მუშკორი **მეგ—ძე.**

უნდა აილაგმოს ასეთი „ბატონი“.

(წერილი ხონიდან).

ქალ. ხონის IV უბ. მცხ. მოქ. გერასიმე მიქაძეს ჰყავს ხელზედ მოსამსახურედ 13—14 წლის გოგო, რომელსაც ისე ეპყრობა, როგორც უსულო საგანს, ანუ პირუტყვს. ამ „ბატონმა“ და მისმა „ქალბატონმა“ ეს ბავშვი „წერკუმში“ არ მისცა. მთელი ზამთარი თოვლ-ყინვებში მას ფეხშიშველი დაარბენიებდენ. თითქმის ყოველ დღე სცემდენ და სცემენ კიდეც, რის შედეგად გოგოს დაავადმყოფების ნიშნები ეტყობა. მას დასივებული აქვს ხელ-ფეხი და შიმშილობაც ეტყობა.

ბავშვს არა ჰყავს მშობლები.

საჭიროა, იქნეს მიღებული ზომები ბავშვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ინფ. **სტუმარი.**

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია

(სახ. გან. კომ. საყურადღებოდ).

მე-16 შრომის სკოლაში არის გამგედ ვინმე **თ. ჯიჯავაძე,** რომელსაც არ შეუძლია დაივიწყოს, რომ ეხლა ძველი დრო არ არის; რომ ეხლა მუშის პიროვნების დასაცავად სადარაჯოზე სდგას მუშურ გლეხური მთავრობა და ის პირი, რომელიც ხელს აღებს მუშაზე, სასტიკად იქნება დასჯილი.

მიუხედავად ამისა, ის განაგრძობს ძველებურად; უყვირის მოსამსახურეებს. ერთხელ საქმე იქამდის მივიდა, რომ დარაჯ **დარო ლაჩინოვას** ყურებიც კი აუწია. ეს დაუშვებელი შეურაცხყოფა არ უნდა ეპატიოს ქალბატონ **თ. ჯიჯავაძეს** და სათანადო პასუხიც უნდა მოეთხოვოს.

ინფ. **უხილავი.**

ხელოვნება

— **კომპოზიტორ ზაქ. ფალიაშვილის** 30 წლის იუბილე გაიმართება დღეს ოპერის თეატრში, წარმოდგენილი იქნება იუბილიარის პიესების „აბესალომ და ეთერი“ (3 და 4 აქტი), „დაისი“ (1 აქტი). შემდეგ მილოცვები.

— **რუსი მადამ სან-ჟენ.** დღეს პატარა თეატრში დამინსკაიას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „რუსი მადამ სან-ჟენ“ (შარჟი).

— **დოღის საგაზაფხულო სეზონი** დაიწყება 20 აპრილს.

— **წითელარმიელთა კლუბში** ორშაბათს, 13 აპრილს გაიმართება სანიტ-განათლების უფასო წარმოდგენა წითელარმიელთა და ბავშვებისათვის.

— **სამხეცე.** ამ დღეებში თბილისში გაიხსნება სამხეცე (ვერის დაღმართი, ყოფილ სასწორის მოედანი), სამხეცეში წარმოდგენილი იქნებიან რჩეული მხეცები როგორც ხმელეთის, ისე ზღვის მცხოვრებნი, სხვათაშორის ბუნების ფენომენი—ორთავიანი ხბო.

დღეს კინოებში

— აპოლო—„იქ, სადაც ვჭრობენ სულითა და ტანით“.
— არფასტო—„პაპიროსების გამყიდავი ქალი მოსელპრომიდან“.
— სოლეი—„შემთხვევითი ქმარი“.
— მინიონ—„საბეიდის ცოლი“.
— პალასი—„მარკიტანკა სიგარეტ“.
— აისი—„ურაგანი“
— თვითმფრინავი—„ცხოვრების საქანელა“.
— ოაზის—„მხეცებსა და ცეცხლს შორის“.

საბჭოთა სასამართლო

თამარ მალაზონიას და ლუკა ტულუშის საქმე

3—6 აპრილს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ღლონტის თავმჯდომარეობით გაარჩია თამარ დიმიტრი ნაკაიძის ასულის მალაზონიასი და ლუკა ტულუშის საქმე.

საქმის შინაარსი ასეთია: გასულ წელს, 20 აგვისტოს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში თ. მალაზონიამ შეიტანა განცხადება იმის შესახებ, რომ ფოთის მცხოვრებ ლ. ტულუშს მართებს მისი 6821 მანეთი ოქროთი და წარადგინა ხელწერილი, რომელიც მიუცია მისთვის აღნიშნულ ტულუშს 1922 წლის 24 აპრილს. მალაზონია მოითხოვდა მისჯილიყო მას ეს თანხა და ამ თანხის მიღების უზრუნველსაყოფად სასამართლოს ყადაღა დაედო ტულუშის სახლზე ფოთში, მაგრამ სასამართლოში გამოჩნდა მესამე პირი მოქ. ვ. ჩხაიძე, რომელიც აცხადებს, რომ ლუკა ტულუშის სახლი მას აქვს აწერილი და უნდა გაყიდულიყო საჯარო ვაჭრობით 5 სექტემბერს. ის აცხადებს, რომ ეს ვალდებულობის ბარათი შედგენილია წინასწარი განზრახვით ტულუშისათვის სახლის დატოვების მიზნით და დასძენს, რომ მალაზონიას არასდროს არ შეეძლო ასეთი თანხის გასესხება, ის აყვანილია სოციალურ უზრუნველყოფაზე, როგორც უაღრესად ღარიბი.

სასამართლომ მოისმინა ექსპერტების დასკვნა საბუთის სინამდვილის შესახებ, მოწმების ჩვენება, მხარეების კამათი და დაადგინა საბუთი ცნობილ იქნეს ყალბად და თ. მალაზონიას უარი ეთქვას ძიებაზე.

ბანდიტების გასამართლება

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ვ. ცინცაძის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: ს. ბერიძის, ს. ნადარიას, პროკურორი დიდებულიძის მონაწილეობით გარჩია ნიაზალი ომარ ოღლის, იბრაგიმ ომარ ოღლის, ხალილ ომარ ოღლის, სადადინ იბრაგიმ ოღლის, ციგო გიკაშვილის, დათიკო ხალიშვილის და იაკობ მურჯიკნელის საქმე.

აღნიშნული პირებს ბრალად ედებოდათ ბორჩალოს და თბილისის მაზრებში მომქმედ ბანდებში მონაწილეობა, სისტემატიურად თავდასხმების მოწყობა სოფლებში, გლეხებისათვის უკანასკნელი სარჩო-საბადებლის წართმევა და სხვა მრავალი ბოროტ-მოქმედება.

აღნიშნულ ბრალდებულებს შორის ბრალდება არ დაუმტკიცდათ ხალილ ომარ ოღლის და მურჯიკნელს, რომლებიც სასამართლომ გაამართლა; ხოლო დანარჩენებს შორის: ნიაზ ალი ომარ ოღლის და სადალინ იბრაგიმ ოღლის (რომელთა დანაშაული გათვალისწინებულია ს. ს. კოდექსის 76 მუხლის პირველ ნაწილში) სასამართლომ მიუსაჯა რვა-რვა წლის ციხე, სასტიკი იზოლიაციით და ქონების კონფისკაციით, დათიკო ხალიშვილს და ციგო გიკაშვილს (191 მუხლის მეორე ნაწილის ძალით) ხუთ-ხუთი წლის ციხე იმავე წესით. ამნისტიების გავრცელების და წინასწარი დაპატიმრების ჩათვლის შემდეგ მსჯავრ დადებულებს სასჯელის მოხდის ვადათ დარჩათ: ნიაზ ალი ომარ-ოღლის—3 წელი, 1 თვე და 25 დღე, იბრაგიმ ომარ-ოღლის—2 წელი, 2 თვე, სადრადინ იბრაგიმ ოღლის—2 წ. 8 თვე, ციგო გიკაშვილს და დათიკო ხალიშვილს ორ-ორი წელი და ექვს-ექვსი თვე.

პროვინციაში

დ. წითელქალაქი

(გორის მაზრა)

ზოგიერთ სოფლის მოხელეებს იმდენად აქვთ გამჯდარი ძვალში და რბილში, სისხლში და ხორცში, ის ძველი წესწყობილების ადათები, რომ ველარ დაუვიწყებიათ დაჩაგრულ გლეხის ყვლეფა და საბჭოთა მთავრობის დროსაც კი განაგრძობენ. მაგრამ მუშურ-გლეხური მთავრობა ფხიზლად უდგას სადარაჯოზედ გაძვალ-ტყავებულ გლეხების მონაპოვარს და, თუ სადმე აღმოჩნდება ასეთი მექრთამეობა, მას ძირიან-ფესვიანად სპობს. ჩვენი დ. წითელქალაქის ადგილობრივი ხელისუფლებაც ფხიზელია, განსაკუთრებით რაიკომი და აღმასკომი, რომლებიც ხშირად ხმარობენ რკინის ცოცხს, მაგრამ კიდევ დარჩენია ამ რკინის ცოცხსაც ორიოდე მავნე გლეხების მყვლეფელები. პირველ რიგში სდგას სამხედრო მაგიდის გამგე მოქ. სერგო ავეტიკოვი. ავეტიკოვის ძველი ისტორია მთელმა რაიონმა კარგად იცის, ამიტომ მე ცოტათი შევეხები და გავახსენებ, ვინც დაინტერესებულია, მის მოქმედებას. საქართველოს გასაბჭოების დღიდან ავეტიკოვი კომუნისტად ითვლებოდა და დიდი საპატიო ალაგი ეჭირა რაიონში. მაგრამ მას, როგორც განთქმული და გლეხების მყვლეფელ ვაჭრის არტაშას შვილს, ეს თანამდებობა არ აკმაყოფილებდა და თან ვაჭრობასაც მიჰყო ხელი. თავის მოქმედებით ის სახელს უტეხდა ახლად შექმნილ საბჭოთა წესწყობილებას და იწვევდა გლეხებში მის წარმომადგენლების სიძულვილს. ამას ჩქარა აულო ალლო ძველმა კომუნისტმა ესტატე მამასახლისოვმა და ავეტიკოვი 1921 წელშივე სამუდამოდ იქნა განდევნილი, როგორც პარტიიდან ისე სამსახურიდან. ამის შემდეგ მოყვა მამაპაპურ ხელობას, ვაჭრობას, მაგრამ 1924 წ. ისევ შეძვრა სამსახურში.

ამ ერთი კვირის წინად ავეტიკოვი დატუსაღებულ იქნა გორის პოლიტ-ბიუროს მიერ მექრთამეობისათვის. ნათქვამია „კოკა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანსო“ და სწორედ ასე დაემართა ავეტიკოვსაც: შერჩა ამდენი ხნის გლეხების მოტყუება, შერჩა ქრთამები, მაგრამ ეხლა კი მაგრად გაება. ექვსი თვის განმავლობაში ინახავდა ერთ დეზერტირ წითელქალაქის რაიონისას ვინმე აფციაურს. საწყალ გლეხს აშინებდა და ეუბნებოდა „თუ გამოცხადდი გორის მაზრის სამხედრო კომისარიატში, გაპარვისათვის დაგხვრეტავენო“ და ამიტომ ართმევდა ქრთამებს, ფულებს, საწყალმა გლეხმა ველარ გაუძლო და ამ უკანასკნელად, როცა ხუთი თუმანი უნდა მიეცა ავეტიკოვისათვის, რისთვისაც გლეხმა ჩამოიყვანა ერთად-ერთი ხარი გასასყიდათ ბაზარზე, რომელშიაც, რა თქმა უნდა, ჩარჩ ვაჭრებმა ფეხი დააჭირეს და ცოტა ფული შეაძლიეს, საწყალმა გლეხმა გადასწყვიტა და თავის ქონების დაღუპვას თავის თავი არჩია. გამოცხადდა გორის პოლიტბიუროში, სადაც განუცხადა ავეტიკოვის საქციელი და ითხოვა შველა. რა თქმა უნდა, ავეტიკოვი მაშინვე დატუსაღებულ იქნა და მიეცა სასტიკ პასუხისგებაში.

გლეხები იმედს გამოსთქვამენ, რომ ასეთი ავეტიკოვებით მალე იქნება გაწმენდილი წითელი ქალაქის რაიონი.

წითელქალაქელი.

ნაესაკოვის თემი

(სენაკის მაზრა)

მოქალაქე ალექსანდრე მაჭავარიანმა თემის სახალხო სახლს შემოსწირა ტილოს ფარდა ას მანეთად ღირებული, თავისი ხელით ფარდა შეალამაზა, სცენა გადააკეთა და სხვა.

ამისთვის ნაესაკოვის თემის მშრომელი გლეხობა მას მადლობას უცხადებს.

სიხკატი

გაუფრთხილდით ტყეს

ჩვენს ქვემო-ჭალის რაიონში ერთ არასასურველ მოქმედებას ჰქონდა ადგილი. სოფ. ბოჟამში მცხოვრებლებს 1923 წელს მიწის კომიტეტმა მისცა რამოდენიმე დესეტინა ტყე. მიადგნენ ამ ტყეს და სულ მინდვრად გახადეს. ტყის განადგურება დღესაც გრძელდება. ამ გარემოებას კი არავინ აქცევს ყურადღებას.

ახკორი **ალ—შვილი.**

პროვინციის ქრონიკა

— **ჭაობების ამოშრობა.** ამ დღეებში დაიწყება ქობულეთის და კახაბერის (აჭარაშია) ჭაობების ამოშრობა.

— **ქედაში** (აჭარაშია) წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა დაასრულა 400 გლეხმა, მათ შორის არიან ქალებიც.

— **სიღნაღის სამაზრო** აღმასკომმა დაადგინა სოფლის საბჭოების თავმჯდომარეებს დაუნიშნოს ჯამაგირი 20 მან. თვეში.

— **აპენის გლეხები.** (სიღნაღის მაზრა) სამაზრო აღმასკომის დახმარებით შეუდგენ მდ. ალაზანზე ხიდის აგებას.

— **შორაპნის სამაზრო** გლეხკომმა თოვლისაგან ბინებდანგრეულ გლეხებს უფასოთ დაურიგა ხე-ტყის მასალა.

— **ჯარში გაწვეულების** ოჯახებს, სოფ. კიცხის (შორაპ. მაზრა) გლეხკომმა გადასწყვიტა მოუხნას ყანები.

— **სალიტოგრაფიო ქვა.** თელავის აღმასკომმა გადასწყვიტა დაჩქარებით მოაწყოს სალიტოგრაფიო ქვის გასაღების საქმე.

— **თელავის** სამაზრო მილიციამ გასულ წელს დააკავა კონტრაბანდისტები, რომლებსაც მალულათ გაჰქონ-შემოჰქონდათ არაყი და თამბაქო.

— **მდ. დურუჯი.** თელავის აღმასკომმა დაადგინა გაამაგროს მდ. დურუჯის ნაპირები სოფ. ყვარელის დასაცავათ.

— **სოფ. აკურასა და ვანთის** შორის ატეხილი დავა, თუ რომელ მათგანში უნდა იქნას გაყვანილი წყალსადენი, თელავის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა აკურას სასარგებლოთ. წყალსადენი გაყვანილი იქნება აკურაში.

იურიდიული რჩევა-დახმარება

კანონიერია თუ არა ასეთი მოთხოვნილება

კითხვა

ჩვენ ვართ ოთხი ძმა (გლეხები). მიწის კომისიამ მოგვცა ცალ-ცალკე მიწის ნორმები. ამ ნორმებში არის სახნავ-სათესი, ბაღ-ვენახები და კაკლის ხეები. ჩვენი ბიძაშვილი რომელსაც აქვს ცალკე ნორმა, გვედავება მესამედს ამ კაკლის ხეებისას, რომელნიც ჩვენს ადგილებშია.

კანონიერია თუ არა ჩვენი ბიძაშვილის მოთხოვნილება.

გორის მაზრის ოთხი გლეხი
გრიგოლაშვილები.

პასუხი

თქვენი ბიძაშვილის მოთხოვნილება უკანონოა, რადგანაც **თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 23-ისა ყოველგვარი ნათესი მცენარე და საერთოდ ყველაფერი, რაც დარებულია მიწის ნაკვეთთან და რაც მიწის მუშის (ამ შემთხვევაში თქვენი) სარგებლობაშია, ეკუთვნის მას.**

არ გვაძლევენ სამლოცველოს, როგორ მოვიქცეთ

კითხვა

ოზურგეთის მცხოვრებლებს გვქონდა ერთი სამრევლო ეკლესია—ოზურგეთის საკრებულო ტაძარი, რომელიც აგებულია თვით ქალაქის ცენტრში და ერთიც სასაფლაოს ეკლესია რომელიც აგებულია ქალაქის განაპირას, მივარდნილ უბანში—**მოიდანახეზე.** ორივე ეკლესია ჩამოგვართვა ადგილობრივმა მთავრობამ—მაგრამ ცენტრალურ მთავრობის უკანასკნელ დეკრეტის შემდეგ ეკლესიების უკანვე დაბრუნების შესახებ, ადგილობრივმა მთავრობამ დაგვიბრუნა ოზურგეთის მორწმუნეებს მხოლოდ უკანასკნელი ეკლესია, პირველი კი დასტოვა ისევ თავის განკარგულებაში. ჩვენ ოზურგეთის მორწმუნეები—უმეტესად უძლურნი, მოხუცნი და ხანში შესულნი ვერ ვსარგებლობთ ამ დაბრუნებული ეკლესიით; რადგან ის ერთობ შორს არის. თანაც ცივი, ბნელი და პატარაა და მოკლებულია რიგიან გზას და განათებას. ამ გარემოებამ გვაიძულა ოზურგეთის მოხუცებულში მორწმუნეები, რიცხვით სამას ოთხმოცი კაცი, მიგვეცა სამაზრო აღმასკომისთვის თხოვნა ოზურგეთის საკრებულო ტაძრის დაბრუნების შესახებ, მაგრამ გადის ორ თვეზე მეტი და აღმასკომი არ გვაძლევს არც დადებითს და არც უარყოფით პასუხს და, რაც ყველაზე უფრო ძნელია, რაც ჩვენს თხოვნას გვიბრუნებს უკან, რომ ჩვენ შევვძლებოდა უმაღლეს მთავრობაში მიქცევა. ეკლესიის უქონლობით ჩვენ განვიცდით დიდ უხერხულობასა და სულიერ შევიწროებას.

გთხოვთ რჩევა-დარიგებას და სათანადო განმარტებას, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ,—ოზურგეთის მორწმუნეები, რომ უმაღლესი მთავრობის დეკრეტი ჩვენზედაც იქნეს გავრცელებული და გადმოგვეცეს ჩვენ-ჩვენი ოფლითა და ხარჯით აგებული ეკლესია, ან და, ყოველ შემთხვევაში, მაინც უკანვე დაგვიბრუნონ ჩვენ მიერ ხელმოწერილი თხოვნა?

მორწმუნენი.

პასუხი

საქ. საბ. რესპუბლიკის მოქალაქეთ, თუ ისინი მოისურვებენ, აქვთ უფლება ადგილობრივ აღმასკომთან შეთანხმებით და მასთან სათანდო ხელშეკრულების დადებით მიიღონ სარწმუნოებრივი სარგებლობისათვის (სამხედრო ტაძრების გამოკლებით) თავისი სარწმუნოების ტაძრები და სამლოცველო სახლები და ღვთის მსახურებისათვის საჭირო ნივთები და ქონება.

თუ კი მორწმუნეთა და აღმასკომს შორის შეთანხმება რაიმე მიზეზების გამო არ მოხდება, მორწმუნეთ (არა ნაკლები შვიდი კაცისა) აქვთ უფლება აღძრან სათანადო შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის წინაშე თავიანთ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

(იხ. საქ. საბჭოთა რესპუბ. ცენტრალურ აღმასკომის 1924 წ. 21 ნოემბრის დადგენილება № 124-ის მუხ. 2 და სხ.).

ადგილობრივი აღმასკომი კი ვალდებულია მოგცეთ თქვენ რაიმე პასუხი (ან დადებითი, ან უარყოფითი).

წერილები რედაქციის მიმართ

პასუხად გაზ. „კომუნისტი“-ს მე-81 ნომერში „საისტორიო მოამბის“ მეორე წიგნის შესახებ 5 კაცის ხელის მოწერით რედაქციის მიმართ დაბეჭდილ წერილისა, საჭიროდ ვრაცხთ განვაცხადოთ, რომ ხსენებულ პირთათვის ორის გარდა „საისტორიო მოამბეს“ არ უთხოვნია თანამშრომლობა. მათი წერილები, როგორც მასალა, დაიბეჭდა მათივე თხოვნით. მათი განცხადება გამოწვეულია სურვილით (ზოგ შემთხვევაში ჩვენი რწმენით იძულებითი ხასიათის) რამოდენადმე მაინც გაქარწყლებულ იქნას ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა საზოგადოებაზე „საისტორიო მოამბეში“ მოთავსებულმა 28 გვერდიან რეცენზიებმა ისტორიკოსის ივ. ჯავახიშვილის სამი უკანასკნელ ნაშრომის შესახებ.

რედაქცია არ უარყოფს რეცენზიების კილოს ერთგვარ სიმაგრეს, მაგრამ ეს სიმაგრე, არსებითად ივ. ჯავახიშვილის შრომების ფრიად დიდი სისუსტით გამოწვეული, სამწუხაროდ აუცილებელი იყო იმ დაუნდობელი ბრძოლის ატმოსფერაში, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი და მისი ჯგუფი (ა. შანიძე და ზოგი სხვა) აწარმოებს ჩვენს მეცნიერებაში მხოლოდ ერთი მიზნით, სახელდობრ თავისი მონოპოლიურ მდგომარეობის შესანარჩუნებლად. საკმარისია ჩვენ ამისთვის დავასახელოთ ამ ჯგუფის პოზიცია ისეთ დიდ და მსოფლიო მასშტაბის ჩვენი თანამემამულე მეცნიერისადმი, როგორც არის ნიკ. მარრი. უბედურება კიდევ არც ისე დიდი იქნებოდა, რომ ამ მისწრაფებას მონოპოლიურ მდგომარეობის შესანარჩუნებლად თან სდევდეს ნიჭი, რამოდენადმე სალი მეცნიერული ალღო და ოდნავ მაინც ფართო სამეცნიერო ჰორიზონტები და არა მარტო ვიწრო პირადული მედიდურობა. ასეთ პირობებში, გათვალისწინებით ჩვენი მეცნიერების და აგრეთვე ახალგაზრდობის ინტერესებისა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საზოგადოებრივი აზრი განსაკუთრებით მეცნიერებაში კრიტიკას სრულებით არ არის ჩვეული, „საისტორიო მოამბის“ რედაქცია თავისი მოქალაქეობრივ მოვალეობად მიაჩნია ივ. ჯავახიშვილის გამოსულ ისტორიულ ნაწერების შესახებ ვრცელი დასაბუთებული კრიტიკა და რეცენზიები [illegible] „ბრმათა ალხილვად“.

„საისტორიო მოამბის“ [illegible] წიგნის რედაქცია.

რედაქტორი [illegible]
10 აპრილს.

ამხ. რედაქტორო!

ნება მომეცით, მე 3-ე ქართულ მსროლელ ლეგიონის სახელით, ულრმესი მადლობა გადავუხადო ამხ. ამხ. თ. კალანდაძეს, პ. ქუთათელაძეს და ვ. ნოდიას, რომლებმაც ლეგიონის ბიბლიოთეკას შესწირეს 130 სხვა და სხვა პოლიტიკური და სამეურნეო ხასიათის ბროშიურა.

ვ. თავართქილაძე.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგ ანგარიშს:

ა. წ. 29 მარტს საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან არსებულმა „ბავშვთა მეგობრების“ საზოგადოების უჯრედმა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში საქართველოს თავშეუფარებელ ბავშვების სასარგებლოთ გამართა „დიდი საბავშვო დილა“, რომელმაც მოგვეცა შემდეგი შემოსავალი: 1) გაიყიდა ბილეთები—541 მ. 15 კაპ., 2) შემოსწირა მოქ. ქებაძემ—50 მან., 3) სხვა შემოწირულება—4 მან., სულ 595 მ. 15 კაპ.

დაიხარჯა ამ „დილის“ მოსაწყობად 218 მან. 44 კაპ.

წმინდა მოგება დარჩა 376 მან. 71 კაპეიკი.

„დილის“ მომწყობი უჯრედი დიდ მადლობას უძღვნის: ლენინის სახელობის კომუნისტური აღზრდის სკოლის, ნინოშვილის სახელობის სკოლა-საკრებულოს, საბავშვო კოლექტორის, პირველ საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლის და მოქ. ეთაირიანის პლასტიკის სკოლის მასწავლებლებს და მოსწავლეებს, რუსთაველის თეატრის ადმინისტრაციას, მოქ. ეთაირიანს, მოქ. ქებაძეს და ყველა ამხანაგებს და ორგანიზაციებს, რომლებმაც თავის მონაწილეობით, ხელმძღვანელობით და დახმარებით ხელი შეუწყვეს ამ „საბავშვო დილის“ მხატვრულ და მატერიალური მხრით წარმატებით ჩატარებას.

საქ. მ. გ. ინსპ. არსებულ „ბავშვთა მეგობრების“ უჯრედის თავმჯდომარე **ვლადიმერ ცომაია.**
მდივანი **ივანე სალაძე.**
10 აპრილი, 1925 წ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ქალაქის რაიკომი იუწყება: 12 აპრილს, დილის 10 საათზე მოწვეულია რაიკომის ბიურო პარტიაში კანდიდატებათ და წევრებათ მისაღებთა ანკეტების განსახილველათ.

თუ ვისმეს რაიმე ცნობანი მოეპოვება ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგების წინააღმდეგ, ვთხოვთ აცნობონ რაიკომში წერილობით:

მელკომიანი რუბენ, ასლანიშვილი იოსებ, მესხიშვილი იაგორ, რიმკუს პეტრე, ხუხუნაშვილი ილია, მურადოვი სოლომონ, ამირიან რუბენ, აკოფოვი ჰაჩიკ, აირაპეტიანც ლევონ, ტერ-ოჰანეზოვი სედრაკ, სხირტლაძე ივან, პეტროსიანი არამ, არუთინოვი არტაშეს, ელერდაშვილი ნიკოლოზ, ყაზაროვი ლევონ, გრიგორიან დავით, ჯოხაძე ელიზბარ, მეტრეველი სერაფიონ.

სადალოვი გრიგოლ, სანტურჯიანც ჰაიკ, ბურჯანიძე გრიგოლ, მულაშაშვილი ლაზარე, ციცაშ ნიკოლოზ, ბერიკაშვილი ივან, თამაიან გურვენ, კოდენკო კოსტ., კიროჩენკო ნიკ., ტიმოფეევა ექ., გავრილენკო მარია, ბასკინა მარია, ტიმოფეევი ნიკ., ბაკლაკინ იაკობ, არეშოვი გიორგი, ცავაძე გიორგი, მახარაშვილი ვლ., აირაპეტოვი ბუნიატ, დენიროვი ანდრია, ავაქოვი არუთინ, სლეპცოვი პანტ., კლოჩკოვი ბორის.

რიგუნი ასიკ, პარავიანც ლევონ, ჩაჩელიშვილი ლუკა, მაისურაძე გიორგი, ოქროპირიძე გიორგი, პულიაკინი პეტრე, კვინიხიძე სერგო, ჯაჭარავა ლეონტი, მებუკე დავით, ჯავახიშვილი ნიკ., ბობრიშჩევი პეტრე, კულაკოვი ვასილი, დაშკევიჩ ალ., ახვლედიანი ილია, ვართანოვი ალ., სალადაშვილი ვლ., შავერდაშვილი ვასილი, ვართანოვი არტემ, პერეუშინი პავლე, ჩერნიშევი ნიკ., ვეპრიცკი ალ., გამსახურდია ნოე, მგალობლიშვილი ვასილ, ცხიდიანი დიმიტრი.

ბელძან ვლ., მეუნარგია ვიქტორ, ალასაროვი ივან, მირაპოვი კოსტ., [illegible]კვაშვილი შაქრო, არეშოვი სერგო, რაშჩუპკინ ვლ., ტაროსიან ხაჩატურ, კირაკოსიან ხაჩატურ, ლიდიაშვილი ალ., ზარაფოვი შაქრო, ბორზჩოვი დავით, წურინოვი კოსტ., არუთინოვი ვარამ, ბოლქვაძე გედეონ, წოწოლაშვილი, დემუროვი იოსებ, მარუთოვი იშხან, კირაკოსიან მკრტიჩ, ბეჟიტოვი ალექსანდრე, ნავროზაშვილი პავლე, პალცევი ივანე, ჩურბანოვი ივან, ოჰანეზოვი ვასილ, ჯილავდაროვი ერვანდ, მარქაროვი ლევონ, ხაჩატუროვი თომას, გელოვანი ანტონ, ოსტაევი ალ., კიპრიზოვი ოლგა, ასკილაშვილი ალ., ზანგულაშვილი გიორგი, გოჩიაშვილი ვასილ, შაროევი სერგო, არუთინოვი აშოტ, რამიშვილი ლიპარიტ, ავეტისოვი მელიქ, ვატროვსკი სტანისლავ, მახნიაშვილი არტემ, ჩარკვიანი ვისარიონ, ლამბაროვი არამ, მალოფეევი დიმიტრი, ნიკიტინი ალექსი, კუზნეცოვი ვასილ, გელანსის ანტონ.

ხაჩატურიანც ვაგრან, ბაჯიან აშოტ, გოჩიტაშვილი დავით, ხოსროევი ალექსი, ჩუხროვი ივან, ბობონიძე გიორგი ლევედსკოი-გამეევ გიორგი, გარიევი კარაპეტ, ვეზგროდკო ალექსი, ფარადოვ ვენიამინ, ბადალოვი მიხეილ, ობრაზცევ მიხეილ, კობეც ილია, ამირხანიანც ავეტიკ, თომაზოვი სედრაკ, არუთინოვი სედრაკ, სარქისოვი არმენაკ, ქორიძე ლევან, კელიპტარიშვილი დავით, სტეფანოვი მიხეილ, გრიგორიანც პილოს, ტერ-არუთინოვ ლევონ, სარქისოვი არმენაკ, აივაზოვი მუშელ, კირაკოზოვი გეგამ, ნავასარდოვი გარეგინ, კირაკოზოვი გეურქ.

ხუნწარია ილია, მოწონელიძე ნესტორ, ზაქაროვი გრიგოლ, ბრეგვაძე ალ., ადრიასოვი იაკობ, ამზიანც არტაშეს, კოხრეიძე ნიკოლოზ, კულიევი საიმან, გრიგორიანც არმენაკ, ბარსეგოვა ნინა, ტანოიან გავურქ, გაზალიშვილი სერგო, ბეზრუჩენკო ნატალია, ივანოვი მიხეილ, კულიევი იდრას, დავიდოვა გიორგი, დონსკოი აბდულა, მირზაშვილი მარია, კირაკოზოვი ვასილ, სტაჩკევიჩი ბარბარე, მჭედლიშვილი იაკობ, ხუბაროვა სოფიო, კარაპეტოვი არტემ, ავთანდილოვა ჰაიკანუშ, პოლოსოვი არმენაკ, ედიგაროვი ალ., ცხოვრებოვი გიორგი.

— კომკავშირის ქალაქის რაიკომი აცხადებს ქალაქის რაიონის ყველა უჯრედების საყურადღებოთ, რომ სამშაბათს, 14 აპრილს, ჩატარებულ იქნება ერთიანი საკავშირო დღე, ვინაიდან დაგროვილია მრავალი საკითხები, რომლებიც მოითხოვენ სასწრაფო განხილვას.

— თ. კ. აღრიცხველ-გამნაწ. განყოფილება წინადადებას აძლევს ორი დღის განმავლობაში ამხ. ბათიაშვილთან გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები:

ხვედელიძე ივან პეტრეს ძე, ჯინორია ეფრემ დავითის ძე, გოგიევი შაქრო, აზატიანი იუგაპერ, ბადრიძე შ. და გოხაძე ნიკოლოზ.

— დღეს, 12 აპრილს, დილის 10 საათზე, თ. კ. აღრიცხ.-გამნაწ. განყოფილებაში შესდგება მიმღები კომისიის სხდომა. გამოცხადება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: ლოლობერიძე, ლაშქარაშვილი ვ., მზარეულიშვილი, მაიერი, მღებრიშვილი, სააკოვი და სარქისოვი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს: ნინო ხანოიან, ალი-მირზა ნარიმანოვს, მინას მელიქიანს, ვშტუნი აზატს და არტემ აკოპოვს გამოცხადდენ რაიკომში ამხ. ფლუხანოვთან ორშაბათს, 13 აპრილს, 12-დან დილის 4 საათამდე.

მდივანი **ვართაპეტოვი.**

აკაკის სამარესთან მთაწმინდაზე

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ს რედაქცია პატივისცემით აუწყებს საზოგადოებას, რომ ა. | წ. აპრილის 12, დღეს, შუადღის სრულ 12 საათზე თავისი ყოფ. სასიქადულო თანამშრომლის

საქართველოს საერო მგოსნის სულმნათი აკაკის

გარდაცვალებიდან ათის (10) წლის შესრულების აღსანიშნავად მგოსნის სამარესთან მთაწმინდაზე გაიმართება სამოქალაქო პანაშვიდი. პანაშვიდზე დასწრების მსურველნი მოხრძანდებიან თითო ყვავილით მგოსნის სამარის შესამკობად. პანაშვიდზე მონაწილეობენ ქართული ხალხური გუნდი (კიწი გეგეჭკორის, დები თარხნიშვილების, ალ. მაისურაძის, მე-4-ე შრომის სკოლის და სხ.) მონაწილეობის მიღების მსურველთ, სიტყვის მთქმელთ და სხ. მიმართონ „თეატრი და ცხოვრება"-ს რედაქტორს იოსებ იმედაშვილს.

ნის. 1098 3—3 „თეატრი და ცხოვრება"-ს რედაქცია

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მარიამი, დედა, ძმები მეუღლეებით და შვილებით სოზიაშვილები და ალექსანდრა ქმრით და შვილებით ბარნოვები, ბიძა მიხეილი კასრაძე მეუღლით, დეიდა ეკატერინე ნათაძე ქმრით და სიმამრის შვილი გიორგი მეუღლით (ბაბალეთი) და შვილებით (ვენერათი და მედეათი) აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 10 აპრილს გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი პირველის ქმარი, მეორის შვილი, მესამეების და მეოთხეების ძმა და დანარჩენის დისწული, უკასასკნელის სიძის

ვანო დავითის ძე სოზიაშვილი

გამოსვენება ცხედრის თავის ბინიდან (ჩერქეზიშვილის ქუჩა № 38) დღეს, 12 აპრილს 11 საათზე, წმ. ნინოს სასაფლაოზე.

930 1—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 12 აპრილს

კომპოზიტორ ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილის 30 წ. მოღვაწეობის იუბილე

1. აბესალომ და ეთერი
3 და 4 მოქმედება
2. დაისი
1 მოქ.
3. მილოცვები

მილოცვების დროს შესრულებულ იქნება იუბილიარის ახალი ნაწარმოები და რომანსები

ნ. 1088 5—5

თელავის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოება

ამით აცხადებს თავის წევრთა საყურადღებოდ, რომ 26 აპრილს მიმდინარე წლისა დანიშნულია

წლიური კრება

დღის წესრიგი:

1. გამგეობის მოხსენება 1923 და 1924 წლის მოქმედებაზე.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება
3. განხილვა და დამტკიცება 1923 წ. და 1924 წ. ანგარიშების.
4. მოგების განაწილება
5. მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვის პროექტის განხილვა
6. გამგეობის არჩევნები
7. სარევიზიო კომისიის არჩევა
8. საბჭოს რწმუნებულების არჩევა
9. მიმდინარე საკითხები.

2—1 932 გამგეობა.

სახელმწიფო

საბუღალტრო კურსებზე

ეძლევა ჩაწერა 15 აპრილამდე.

ახალ მსმენელების მეცადინეობა დაიწყება 10 აპრილს. კურსებზე ჩაწერა და ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე (გარდა კვირა-უქმე დღეებისა) 1) განათლების კომისარიატში (ოთახი 5) 1—2 საათამდე, 2) კურსების ბინაზე საღამოს 5—7 საათამდე. (ყოფილი ქალთა პირველ გიმნაზიის შენობა, კეცხოველის ქუჩა, № 12).

კურსების გამგე
მ. თაქთაქიშვილი

№ 919 2—2

გამოვიდა გასასყიდათ

ხელმისაწვდომ ფასებში

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის

საკაიო ამხანაგობის

ქ. თბილისის სარდაფში ჩამოსხმული

საუკეთესო ღვინოები საუკეთესო

I.

1. სახ. უნივერსიტეტის მუხრანის მამულის ფრანგული ჯიშისა „ალიგოტე"
2. მუხრანის თეთრი
3. მუხრანის წითელი

II.

4. იმერული თეთრი
5. კახური თეთრი
6. იმერული წითელი
7. კახური წითელი

ღვინოების შესაძენათ მიმართეთ ამხანაგობის ღვინის ქვეგანყოფილებას თავისუფლების მოედანი, ქარვასლა, ტელ.—18—94, 7—71 და 15—01.

ნ. № 1105 3—1

სამეცნიერო-პოპულიარული კრებული

წელიწადი მესამე 1925 წ.

ჩვენი მეცნიერება

წელიწადი მესამე 1925 წ.

1 ნომ. (№ 13 წ. II) გამოდის გაფართოებული პროგრამით

წელიწადში გამოდის 12 ნომერი და ღირს ხელისმომწერთათვის 12 მან. მასწავლ. და სტუდენტ. 8 მან. ხელის მომწერლები იხდიან ნაწილ-ნაწილათ მიღებულ №№-ბის საფასურს მხოლოდ კრებულის მიღების შემდეგ ორი თვის განმავლობაში.

კრებული უმთავრეს მიზნად ისახავს ქართველ მეცნიერ-მკვლევართა ნაშრომებისა და პოპულიარული გამოკვლევების გამოქვეყნებას.

კრებულში—განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა აგრეთვე უცხოეთის მეცნიერებასაც მიმოხილვის სახით.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული აგრეთვე სოციალურ მეცნიერებათ და მოთავსდება წერილები მარქსისტულ მოძღვრებიდან.

კრებულში—იქნება როგორც ორიგინალური ნაშრომები, აგრეთვე თარგმანებიც.

კრებულში—წარმოდგენილი იქნება მეცნიერების შემდეგი დარგები:

— ფილოსოფია, ლოღიკა, სოციოლოგია, პოლიტ. ეკონომია, ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორია, ეკონომიური ისტორია (საქართველოს ეკონ. ისტორია), სამართლის თეორია, ქართული სამართლის ისტორია, სახელმწიფო და საერთაშორისო სამართალი, საფინანსო მეცნიერება, სტატისტიკა და სხვ.

— ფსიქოლოგია, პედაგოგიკა, ენათმეცნიერება, პალეოგრაფია, ეპიგრაფიკა, ისტორია, ისტორიის მეთოდოლოგია, ლიტერატურა, ხელოვნება არქეოლოგია და სხვა.

— მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, მინერალოგია, გეოლოგია, ბიოლოგია, ანთროპოლოგია, ეთნოგრაფია, ზოოლოგია, ბოტანიკა, ასტრონომია, სამკურნალო მეცნიერება და სხვა.

— სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკა და მექანიკა, მეტყეობა, მებაღეობა, სამთომადნო და საინჟინერო ხელოვნება.

— ბიბლიოგრაფია, სამეცნიერო მიმოხილვა (უცხოეთისა და საქართველოსი) ქრონიკა და სხვა.

კრებული გარდა საქართ. ყავს წლიური ხელისმომწერლები შემდეგ ქალაქ.: ბაქოში, კავკავში, როსტოვში, ხარკოვში, მოსკოვში, ლენინგრადში, ტაშკენტში, ძველი ბუხარაში კოგანში (ახ. ბუხ.) და სამარკანდში. კრებული ვრცელდება აგრეთვე ბერლინში, პარიზში და ლონდონში.

თანამშრომელთა საყურადღებოდ: ყოველი ავტორი მიიღებს თავისი წერილის ცალკე ამონაბეჭდს (ან ბროშურის სახით) 60 ცალად, თუ ავტორი მოისურვებს, ნაცვლად ცალკე ამონაბეჭდებისა მიიღებს ჰონონარს, ამიტომ რედაქცია თხოვს ავტორებს, წერილების გადმოგზავნისთანავე აცნობოს მას, ცალკე ამონაბეჭდების მიღება ჰსურს მას, თუ ჰონორარის.

თუ რომელიმე ავტორს ან გამომცემელს სურს, რომ რედაქციამ გამოსთქვას თავისი აზრი გამოცემულ წიგნის შესახებ—უნდა გადმოგზავნოს ასეთი რედაქციაში ორ ცალად.

მასალები უნდა გადმოიგზავნოს ამ მისამართით: რუსთავ. პრ. № 20. ტელეფ. 9—59.

რედაქტორ-გამომცემელი: ანდრო შილაკაძე.

8—7 ნის. 1000.

მოქალაქეთა საყურადღებოდ

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილება

აცხადებს

რომ შენობის შეკეთების გამო ა | წ. 15 აპრილიდან შესწყდება ქალაქის პირველ საავადმყოფოში სამეანო-გენიკოლოგიურ ავადმყოფთა მიღება.

თბილ. ჯანმრთელობის განყოფილება.

ნ. 1104 3—2

დაიწყო ხელისმოწერა საბჭოთა კავშირის 1925 წ.

სახელმწიფო

მოკლევადიან 5 პროცენტიან

შინაურ სესხზე

ხელისმოწერა მიიღება 7-დან 14 აპრილამდე

ქვემოდ დასახელებულ საკრედიტო დაწესებულებებში:

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკში: ყველა მის კანტორებში, განყოფილებებში და სააგენტოებში.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკში.

სრულიად საკავშირო კოოპერატიულ ბანკში: მის განყოფილებებში და სააგენტოებში თბილისში, ბაქოში და ერევანში.

სამრეწველო ბანკში: მის კანტორებში თბილისში და ბაქოში,

საგარეო ვაჭრობის ბანკში: მის განყოფილებებში თბილისში და ბაქოში.

რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებში: თბილისში, ბაქოში და ერევანში და მათ ფილიალებში.

თბილისის და ბაქოს კომუნალურ ბანკში და სომხეთის კომუნალურ ბანკში: თბილისში, ბაქოში და ერევანში და მათ ფილიალებში.

საურთიერთო კრედიტის საზოგადოებებში: თბილისში, ბაქოში და ერევანში.

ნ. 1080 2—2

თბილისის საბაჟო

აცხადებს, რომ 23 აპრილს, დილის 10 საათზე საბაჟოს ეზოში გაიმართება

საჯარო ვაჭრობა

სხვადასხვა საკონტრაბანდო საქონლის გასაყიდათ: ტყავის, საგალანტერიო ნივთების, ქსოვილების, პუდრის, კოსმეტიურ ნივთ. და სხ. გასასყიდათ.

2—1 ნ. № 1099.

საქართ. მიწ.-მოქმედების სახ. კომისარიატის

ცხენების სახელმწიფო თავლის განყოფილება

ა. | წ. 10 აპრილიდან თბილისის საქარხნო თავლასთან, ელისაბედის ქუჩა, 198

გახსნის ცხენოსნობის სკოლას

განცხადებების მიღება და ცნობების გაცემა ყოველდღე 3-დან 3 ნახ. საათამდი მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატში: ევანგულოვის ქ., 2.

1064 2—2 ნ.

„საქართველოს ბამბა"

ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს და ამიერ-კავკასიის ბამბის კომიტეტის დადგენილებით

დაარსდა

ა.-კ. ბამბის კომიტეტის საქართველოს განყოფილება

„საქართველოს ბამბა",

რომელიც შეუდგა საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე ბამბის საქმის წარმოებას.

მისამართი წერილებისათვის: თბილისი, რუსთველის პროსპ. № 23.
მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი „საქართველოს ბამბა".
ტელეფონი 12—90.

ნ. 1107 „საქართველოს ბამბის კომიტეტის" გამგე—თ. ი. ბიბინეიშვილი.

თბილისის ქალაქის ბანკი

(პუშკინის ქუჩა, 3).

განყოფილება ბათომში, ქუთაისში, ფოთში, გორში.

აქვს თავის საწყობებში სხვადასხვა საალმშენებლო მასალა.

რკინეულობა სხვადასხვა ზომისა, სახურავი თუნუქი ყველა ხარისხებისა, სასალტე რკინა და სხვა—ურალ ის ქარხნებისა, ლურსმანი, ცემენტი, ოლიფა და სალებავი მასალები „ლაკოკრასკა"-ს ქარხნისა, ყოფილი მამონტოვის ქარხანა, მინები ფანჯრებისა—ბემის „კონსტანტინოვის" ქარხნებისა, კაუსტიური სოდა, ბოთლები კონიაკისა და ღვინისა, ტყავეულობა ყოველგვარი, სხვადასხვა ხარისხისა და სხვ.

ფასები ხელმისაწვდომია.

სახელმწიფო ვაჭრობას შეღავათიანი პირობები.

2—1 ნ. № 1115

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიანი თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)

25—4

დაკარგე სახალხო კვების კავშირის საწევრო წიგნაკი და დასაზღვევი წიგნაკი № 3934, გაცემული ევგენი გასპაროვის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე პირადობის მოწმობა № 233, აღრიცხვის წიგნაკი № 321 აღებული ქალაქ ცაგერში, დავით სიმონის ძე სილაგაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1—1 934

დაკარგე შემთხვევით დაკვრის ნებართვა ტფილისის წ[illegible] შათა და გლეხთა მილიციის სამართველოსაგან მოცემული № 3214, ალექსანდრე შიხაშვილის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 929

დაკარგე ატესტატი მოცემული ჩოხატაურის ტეხნიკუმიდან თეოფილე რამიშვილის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 931

დაკარგე პირადობის მოწმობა № 77 | 3885 გაცემული ბორჯომის აღმასკომიდან ილია მასხარაშვილის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 397

დაკარგე სამხედრო-საღრიცხვო პირადი წიგნაკი № 115 მოცემული თელავის მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ, მიხო გასპარას ძე ბეჯანოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1—1 936

დაკარგე სამხედრო პირადობის წიგნაკი № 13 მოცემული თელავის მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ, ალექსა კიმოთიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1—1 935

დაკარგე დაზღვევის წიგნაკი მახოხიობ დავით ჩხეიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 938

საქ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თამბაქოს ტრესტის

1-ლი სახელმწიფო კარტონის ფაბრიკა

„ინტერნაციონალი"

ტელეფონი № 13—37, კამოს ქუჩა, (ყოფილი დიდი მთავრის) № 28

იღებს შეკვეთას სახელმწიფო, კოოპერატიულ დაწესებულებებისა და კერძო პირებისაგან კარტონის ყოველგვარ ნაწარმოების: პაპიროსების, თამბაქოს, საკანდიტრო (კონფეკტების და ნამცხვრების), საპარფიუმერო-კოსმეტიკურ, სააფთიაქო, საგალანტერიო ნივთების, აბრეშუმის თესლის და სხვ. კოლოფების მისაწოდებლად.

შეკვეთები სრულდება როგორც შემკვეთის მასალით, ისე საკუთარით.

მასალები უმაღლესი ხარისხისაა.

ნაწარმოების ფასები მნიშვნელოვნად დაკლებულია.

დიდი არჩევა მხატვრულად შესრულებულ საკონდიტრო კოლოფების.

სწრაფად და თავის დროზე

ცნობების მიღება შეიძლება ფაბრიკის კანტორაში დილის 8 ნახ. საათიდან—დღის 3 საათამდე.

906 2—1

თბილისის კომუნალური ბანკის

ბალანსი

აქტივი 1925 წ. 1 აპრილისათვის პასივი

ანგარიშების სახელწოდება	ჯამი
კასა და მიმდინარე ანგარიშები	247.422—24
ფასიანი ქაღალ. და ვალიუტა	369.440—59
სააღრიცხვო ოპერაციები	1.573.269—23
სესხის ოპერაციები	832.122—82
გრძელ-ვადიანი სესხები	901.424—86
მოკლე-ვადიანი სესხები	227.953—88
ანგარიში განყოფილებებიდან	541.080—50
ანგარიში სავაჭრო განყოფ.	111.174—75
საქონელი საკუთარი	40.850—62
მოძრავი ქონება	3.766—75
სხვა და სხვა პირები და დაწესებულებები	43.986—97
საორგანიზ. ხარჯები	5.276 —
მიმდინარე ხარჯები	49.129—69
პროცენტების და კომის. გადახდ.	48.600—42
გასაჩივრებ. თამასუქები	18.372—48
დანარჩენი აქტივები	23.205—41
	5.027.077—16

ანგარიშების სახელწოდება		ჯამი
თანხები	ძირითადი	798.536 —
	სათადარიგო	26.054—37
	სპეციალური	611.750 —
შენახული და მიმდინარე ანგარიშები		1.809.293—82
სესხები და სპეციალ. მიმდ. ანგარ.		
ა) სახელმწიფო ბანკში		646.318—21
გადანაღდება და გადაწინდრება		
ბ) სხვა და სხვა საკრედ. დაწესებ.		50.000 —
კორესპონდენტები		657.264—41
მოუთხოვნელი და გადაუხდელი თანხები		10.588—75
სხვა და სხვა პირები და დაწესებულებ.		114.438—98
პროცენტები, კომის. და სხვ. შემოსავალი მიღებული		274.755—73
დანარჩენი პასივები		28.076—89
		5.027.077—16

ნ. 1114 1—1

ტირაჟი—21.711

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, საბა წულუკიძის ქ. № 4